რეკლამა
„ალიაში“
5 77 444 442

N165/3287 30 ოქტომბერი, 2 ნოემბერი 2015 წ
ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

# „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს ჩანაფიქრი, რომ ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგოს“



როგორც ჩანს, ნაპროკურორალი ნიკა გვარამია, ეს „ნაციონალების“ საცვალი, აბსოლუტურ ისტერიკაშია და სოციალურ ქსელში სკანდალურ სტატუსს აქვეყნებს, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს მიმართავს და მხარდაჭერისკენ მოუწოდებს: „გთხოვთ მინიმუმ ათ-ათჯერ, ნუ დაგვტოვებთ მარტო „ნაციონალების“ ამარა, დადექით ჩვენ გვერდით...“ აშკარაა, რომ საქმე კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს, გვარამიამ ჩაისვარა

5

## ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების დარღვევები აღიარა

რა შეიცვლება ბანკების მევალეებისთვის?

9

## ნანა კაკაბაძე: „ეს მთავრობა ისეა დაშორებული ხალხს, ისე არიან გაუცხოებულები, მხოლოდ საკუთარი კაბინეტების ფანჯრებიდან უყურებენ მოვლენებს“

ხალხს ვერ მოატყუებ!

7

## რატომ მიეცა სუს-ს უცხოეთის ქვეყნებთან ხელშეკრულების გაფორმების ექსკლუზიური უფლება?



13

„ეს პროცესი არის ფარსი და ცირკი“ — ფეისბუკდაპირისპირება ხალვაშსა და „რუსთავი 2“-ის დამცველებს შორის



12

დავით თევზაძე კახა კოჟორიძეს: ძლიერი ნერვები დაგჭირდებათ თქვენც და ქ-ნ მინისტრსაც, რომ საკუთარ სინდისთან ჭიდაობას გაუძლოთ



6

აბა, ვისი ბიოგრაფია ჯობია — ღარიბაშვილის თუ სააკაშვილის?!



2

ახლავე გაგახსენებთ, ბატონო პრეზიდენტო წინასაარჩევნოდ თქვენ მიერ გაკეთებულ განცხადებას!



2

„ლევან ბერძენიშვილი ცოცხალია და საქართველოში მომდევნო დღეებში დაბრუნდება“



8

რა ფუნქცია აქვთ დღეს მრჩევლებს და რამდენია მათი ანაზღაურება — ყოფილი მრჩევლების გულახდილი პასუხები



3

ინვალიდის ეტლი — გლდანის ციხის დანატოვარი და დაწინაურებული მწამებლები — გაქვთ ამაზე პასუხი, „ოცნება“?!



3

# აბა, ვისი ბიოგრაფია ჯობია — ღარიბაშვილის თუ სააკაშვილის?!



**საფრანგეთში საქართველოს ყოფილი ელჩი და დიპლომატი მამუკა კუდავა, ქვეყნის მოქმედი პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ბიოგრაფიის შესახებ, „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე წერს:**

– როგორ არ უნდა დაწერო საკუთარი ბიოგრაფია – თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციას დავესწარი ნატოს კვირეულის ფარგლებში. ყველა მონაწილეს თვალში მოგვხვდა გამომსვლელების ბიოგრაფიებში დაწერილი პრემიერ ღარიბაშვილის საოცარი ბიოგრაფია.

1. იწყება იმით, რომ თურმე „31 წლის ასაკში მსოფლიოს ყველაზე ახალგაზრდა არჩეული ლიდერია“. ჯერ ერთი, ჩრდილოეთ კორეის ლიდერი უფრო პატარაა. მეორეც, ახალგაზრდა ასაკის პრემიერობით ყელყელაობა ქვეყანას არასერიოზულ ელფერს აძლევს, რადგან ასეთ ახალგაზრდა ასაკში, როგორც წესი, მესამე მსოფლიოს ლიდერები (რომ არ ეკუთვნით) ხდებიან. დაბოლოს, რაც მთავარია, რომელი არჩეული ლიდერია ღარიბაშვილი? სწორედაც იმიტომ დაინიშნა ასეთი ახალგაზრდა პრემიერად, რომ ერთმა ადამიანმა აირჩია (პრეზიდენტს რომ აბრალებს, იმისგან განსხვავებით).

2. შემდეგ უწერია, რომ ხელი მოუწერია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებისთვის. ბიოგრაფიაში ასეთი რამეები რომ არ იწერება, არ იცის? თუმცა, პრინციპში, პრეზიდენტს რომ წაართვა ხელმოწერის უფლება, ამიტომ აუცილებლად კი უნდა ჩაეწერა ცხოვრების მთავარი მოვლენა!

3. კიდევ რამდენიმე უადგილო და თან ტყუილი ბელეტრისტიკა წერია ბიოგრაფიაში, რაც წამკითხველს ღიმილს მოჰგვრის – „გაამყარა დემოკრატიული ინსტიტუტები“, „შექმნა მმართველობის სისტემა, რომელიც იცავს კანონის უზენაესობას“, „ოცნების მთავრობა ახორციელებს ყოვლისმომცველ რეფორმებს, რათა შექმნას 21-ე საუკუნის ეკონომიკა, რომელიც ეკუთვნის ყველა მოქალაქეს“, როგორც ივანიშვილის მთავრობის შს მინისტრმა პოლიცია გაათავისუფლა პოლიტიკური ზეწოლისგან“.

4. დანარჩენ ბიოგრაფიაში კი ერთი წინადადებით წერია, რომ იკავებდა მაღალ თანამდებობებს „ქართუ ბანკში“. ეს კი უცხოელ წამკითხველებში სამართლიანად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ ღარიბაშვილი სინამდვილეში არა ვუნდერკინდი პოლიტიკოსი, არამედ უბიოგრაფიო ხელდასხმული მარიონეტია. (marshalpress.ge)



**გამოვიჭირე ღარიბაშვილიო, სიამოვნებით გაინაბებოდა ეს ვაჟბატონო, მაგრამ ვინ გაახარა — „ფეისბუკში“ მას მალევე უპასუხეს ღარიბაშვილის მხარდამჭერებმა:**

„საინტერესოა, როცა ბატონი მამუკა კუდავა (სააკაშვილის დროინდელი ელჩი საფრანგეთში) ირაკლი ღარიბაშვილის ბიოგრაფიის ტექსტს აკრიტიკებს, წაკითხული აქვს თუ არა მიხეილ სააკაშვილის ბიოგრაფია.



მაგალითად:

„მიშა – მიხეილის შემოკლებული ფორმაა და მას ასე უწოდებენ შემოკლებით“. – წერია სააკაშვილის ბიოგრაფიაში.

ასევე, როდესაც კუდავა აკრიტიკებს იმას, რომ ირაკლი ღარიბაშვილი ყველაზე ახალგაზრდა პრემიერად არის მოხსენიებული, წაკითხული აქვს თუ არა ეს მონაკვეთი მისი კუმირის ბიოგრაფიიდან:

„37 წლის ასაკში მიხეილ სააკაშვილი გახდა ევროპაში ყველაზე ახალგაზრდა პრეზიდენტი“.

ან ეს მონაკვეთი:

„რევოლუციამ კულმინაციას მაშინ მიაღწია, როდესაც პარლამენტის კარებისკენ სააკაშვილი მშვიდობიანად მიუძღოდა მამაც მეოცნებე ადამიანთა რჩეულ ჯგუფს. იმის საჩვენებლად, რომ შეუიარაღებელი იყო, მიხეილ სააკაშვილმა ხელი აწია, რომელშიც მხოლოდ ერთი წითელი ვარდი ეჭირა.

და ეს ხო საერთოდ:

2009 წლის 19 დეკემბერს **Wall Street Journal**-მა მისი ციტატა მოიყვანა:

„ერთა შორის კავშირების შემოწმება მაშინ კი არ ხდება, როდესაც ამის გაკეთება ადვილია, არამედ მაშინ, როცა ეს რთულია. საქართველო აშშ-სა და ევროპის მადლიერია ბოლო წლებში გაწეული თანადგომისთვის. ახლა ჩვენ გვეამაყება ის, რომ ვიდგეთ და ვიბრძოლოთ თქვენ გვერდით“.



# ახლავე გაგახსენებთ, ბატონო პრეზიდენტო წინასაარჩევნოდ თქვენ მიერ გაკეთებულ განცხადებას!



– თუ პოლიტიკური ჯგუფი იტყვის, რომ მეორე პოლიტიკურ ჯგუფს არ აქვს არსებობის უფლება, იმ მომენტიდან იწყება ევროპული ღირებულებების ნგრევა, – აცხადებს საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი.

– ნუ შევაფასებთ ვითარებას, თითქოს, საქართველოში დემოკრატიული პროცესები უკვე დანგრეულია. გასაგებია, რომ არის უკმაყოფილება, ემოციები. ეს ემოციები პოლარიზებულია, არის გადაცდომებიც. მაგრამ არ ნიშნავს, რომ ჩვენ დავკარგეთ ერთიანი სივრცე დისკუსიის, ურთიერთობის.თუ ერთი რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი, პროდასავლურიც რომ იყოს, იტყვის, რომ მეორე პოლიტიკურ ჯგუფს არ აქვს არსებობის უფლება, ჩათვალეთ, რომ იმ მომენტიდან იწყება ევროპული ღირებულებების ნგრევაც და ჩვენი დასავლეთზე ორიენტაციის რღვევაც, რადგან ყველამ უნდა ვაღიაროთ, რომ მეორე პოლიტიკურ ჯგუფს, მეორე ადამიანს, მეორე სოციალურ ჯგუფს შეიძლება ჰქონდეს პრობლემები და ეს პრობლემები გადალახვადია ერთიანი დიალოგის შიგნით, – აცხადებს გიორგი მარგველაშვილი. (marshalpress.ge)

**ახლა ვნახოთ, რას ამბობდა პრეზიდენტი წინასაარჩევნო პერიოდში:**

**„მოიგონეს სიტყვა, რომლის შინაარსიც, ჩემი აზრით, ქართულად შემდეგნაირად ჟღერს: „შეუშალე ხელი სიკეთის კეთებაში“. აი, ამ სიტყვას ერქვა კოჰაბიტაცია, კოჰაბიტაცია, რომელსაც სულ რამდენიმე დღე დარჩა დასრულებამდე. 27 ოქტომბერს კოჰაბიტაცია დასრულდება“...**

**რა შეიცვალა ბატონო პრეზიდენტო, რატომ საუბრობთ დიალოგზე დღეს და რატომ იმუქრებოდით, სულ რაღაც, 2 წლის წინათ, რომ დასასჯელი აუცილებლად დაისჯებოდა, რომ კოჰაბიტაციას წერტილს დაუსვამდით?!**

**ალბათ, კი გექნებათ ამ კითხვაზე უზარმაზარი პასუხი, თუმცა ეს პასუხი ისეთი იქნება, დასკვნას მაინც რომ ვერ გამოიტანს კაცი — საერთოდ, ეს სჩვევიათ პოლიტიკოსებს — ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ და ბოლოში რომ გახვალ, აზრს მაინც ვერ გამოიტან. თუმცა იმას კი მიხვდები, რომ უბრალოდ, ცდილობს, „დაგაბოლოს“, ეგ არის და ეგ. ჰოდა, ავდგებით და ამ კითხვაზე პასუხის გაცემას თავად შევეცდებით. აბა, უცქირეთ: თქვენც საშუალო სტატისტიკური პოლიტიკოსი გამოდიხართ, რომელიც გადასარევად ცხოვრობს ხალხის ხარჯზე, თავს მშვენივრად გრძნობს და წინასაარჩევნო დაპირებებს წარსულში ტოვებს ისე, რომ სინდისის ქენჯნა საერთოდ არ აწუხებს. არადა, ეს ოხერი მეხსიერებაც გადასარევი გვაქვს და თანამედროვე ტექნოლოგიებიც გვაძლევს იმის საშუალებას, უცბად მოვძებნოთ, რას ამბობდით თანამდებობაზე მოსვლისთვის და რას ამბობთ თანამდებობაზე მყოფი.**

**მოკლედ, როგორც ნებისმიერმა სხვა პოლიტიკოსმა, თქვენც გაინაღდეთ თანამდებობა და ახლა დამნაშავეების დასჯაზე კი აღარ საუბრობთ, დიდ ჰუმანისტად გვაჩვენებთ თავს და დიალოგიო, ევროპული ღირებულებების ნგრევაო.**

**მიგვიფურთხებია იმ დიალოგისთვის და ევროპული ღირებულებებისთვის, რომლებიც ნაწამები ადამიანების უფლებების აღდგენას ეწინააღმდეგება, მიგვიფურთხებია იმ დიალოგისთვის და ევროპული ღირებულებებისთვის, რომლებიც დამნაშავეების დასჯას ეწინააღმდეგება. თუმცა არა, არც ერთი ევროპული ღირებულება არ კრძალავს იმას, რომ დამნაშავე ციხეში უნდა ეგდოს. ყოველ შემთხვევაში, თავად ევროპა არც ერთ ჩინოვნიკს არ პატიობს მამაძაღლობას, რისი მაგალითიც ძალიან ბევრი არსებობს. ეს ჩვენთან აქვთ მათ დიდი გული, ჩვენ გვიქნევენ თითს და გაუთავებლად ჭკუას გვარიგებენ, უკანალში რომ ბოთლებსა და ყავარჯნებს გთხრიდნენ, არც ეგენი უნდა დასაჯოთ და არც ისინი, ვინც ამ არაკაცებს ბრძანებებს აძლევდაო.**

**ჰოდა, თქვენ თუ ამ არაკაცებთან დიალოგს ემხრობით, ეგრე იყოს, ილაპარაკეთ რამდენიც გინდათ, იჭუკჭუკეთ და იბაასეთ, უბრალოდ, იცოდეთ, რომ ძალიან მალე როგორც მათი, ისე თქვენი პოლიტიკური კარიერის მზეც ჩაესვენება და ამ დაისს სიამოვნებით შევაცქერდებით, თან შიგადაშიგ ნეტარების ჟრუანტელიც დაგვივლის და შესაძლოა, სიხარულის ყიჟინაც აღმოგვხდეს!!!**

# ლარი ისევ გაუფასურდა



ეროვნულმა ბანკმა ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც, ეროვნული ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. კერძოდ, 30 ოქტომბერს 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,3962 ლარია. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი, რომელიც აქამდე მოქმედებდა, 2,3836 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0126 ლარი შეადგინა.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსის თანახმად, ეროვნული ვალუტა გაუფასურდა ევროსთან მიმართებაშიც. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,6502 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ როცა აქამდე მოქმედი კურსი 2,6344 ლარს შეადგენდა. ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0158 ლარი შეადგინა. (bpn.ge)



# კალაძე, მგონი, იმდენი გაზით მოგვამარაგებს, წყლის ონკანებსაც ავანთებთ

ირანი ძალიან საინტერესო ბაზარია, – ამის შესახებ მთავრობის დღევანდელი სხდომის დაწყებამდე ჟურნალისტებს ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ განუცხადა, რითაც ყოფილი პრემიერის, ბიძინა ივანიშვილის განცხადებას გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ პირადად არის ჩართული ირანიდან საქართველოში ბუნებრივი აირის შემოტანასთან დაკავშირებულ საკითხში.

როგორც კალაძემ განმარტა, ნოემბრის შუა რიცხვებში ირანში ვიზიტს გეგმავს, რომლის ფარგლებშიც გახდება ცნობილი, „რამდენად შევძლებთ ბუნებრივი აირის წამოღებას“.

– ირანი ძალიან საინტერესო ბაზარია. თქვენ იცით, რომ დღეისთვის ამ ქვეყანასთან არის განსხვავებული მიდგომები. ის რესურსი, რომელიც ირანს აქვს, მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ უახლოეს მომავალში, ნოემბრის შუა რიცხვებში ვგეგმავთ ირანში ჩასვლას, სადაც გვექნება მოლაპარაკებები. მაშინ გამოჩნდება, რამდენად შესაძლებელია ბუნებრივი აირის წამოღება, – განაცხადა კალაძემ. (bpn.ge)

**ალტერნატიული გზები გადასარევია, აღარ შეგვეშინდება ზამთრის დადგომის, მაგრამ ხალხს რომ ამხელა გადასახადების გადახდის საშუალება არ აქვს, ამაზე ვინ იზრუნებს?! ოღონდ ისევ სუბსიდიებზე არ დაიწყოთ ლაპარაკი — პირობები შეუქმენით ხალხს და აქეთ დაგეხმარებათ ყველა, ისედაც ჩვენს კისერზე გადადის სახელმწიფოს შენახვა.**

# ერთი, რომ დამსახურება უნდა გვერდში დგომას და მეორე — რატომ გვაყვედრით ეს რუსთაველები თქვენს არსებობას?!




ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი და ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ვეტერანი მონაწილე ნიკა გვარამია, ინტელექტკლუბის წევრებს მიმართავს:

„ინტელექტკლუბის ღრმადპატივცემულ საზოგადოებას არ აღელვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები? არ თქვათ ახლა, პოლიტიკაში არ ვერევითო, არ მაცინოთ ბევრი. დაარქივებულია ყველა ჩარევა, ბოლო პოლიტიკური მოლაპარაკებების ჩათვლით, ოცნების რიგები ინტელექტუალებმა რომ უნდა შეავსონ, იმის. :სისტემაუნდადაინგრესსმაილიკი:

**P.S.** ამ არხზე მაინც არ კეკლუცობდეთ და ყელყელაობდეთ ყოველ შაბათს. **ЧТО НАША ЖИЗНЬ ИГРА** კი არა და **СТЫДНО, ТОВАРИЩИ, СТЫДНО**! – წერს გვარამია „ფეისბუკზე“.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# იქცევა სირიის კრიზისი მესამე მსოფლიო ომის პროლოგად?! — ცხელი წერტილები მსოფლიოში

ერთი შეხედვით, ისტორიას თუ გადავხედავთ, ომებით, ძალადობითა და კონფლიქტებში დაღუპულ ადამიანთა რაოდენობით, სხვა ეპოქებთან შედარებით, 21-ე საუკუნე შეიძლება მშვიდობიანადაც კი მოგვეჩვენოს, თუმცა, ფაქტია – ომი, როგორც ფენომენი, კვლავ განაგრძობს არსებობას და ხშირად ის არანაკლებ სასტიკია, ვიდრე საუკუნეების წინათ. გაზრდილია ეთნიკური, რელიგიური და საერთაშორისო ხასიათის კონფლიქტები, კონფლიქტების შედეგად გარდაცვლილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობა. ყოველდღიურად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ადამიანები იღუპებიან ომების პირდაპირი თუ არაპირდაპირი გავლენის შედეგად. შიმშილი, რესურსებზე წვდომის შეზღუდვა, დაავადებები – ყველა კონფლიქტს თან სდევს ეს ფაქტორები, რომლებიც მსხვერპლთა რაოდენობას კიდევ უფრო ზრდის. გარდა სიკვდილიანობისა, თანამედროვე ომებს თან სდევს ადამიანთა უფლებების მასობრივი დარღვევებიც და რაც ყველაზე სახიფათოა, სულ უფრო და უფრო მასშტაბური ხდება ტერორისტული ომის საფრთხე.

სირია, ერაყი, ავღანეთი, ნიგერია, სამხრეთ სუდანი, უკრაინა, მექსიკა – იმ ქვეყნების მცირე ჩამონათვალია, სადაც ამჟამად აქტიური შეიარაღებული კონფლიქტები მიმდინარეობს. ყველაზე დიდი სისასტიკით მუსლიმანურ სამყაროში მიმდინარე პოლიტიკურ-რელიგიური კონფლიქტები გამოირჩევა. ახლო აღმოსავლეთი მსოფლიოს ყველაზე ცხელი წერტილია.

სირია-ერაყის კრიზისი

2011 წელს სირიაში დაწყებული მთავრობის საწინააღმდეგო საპროტესტო ტალღა ჯერ – სამოქალაქო ომში, ხოლო 4 წლის შემდეგ უკვე საერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. სირიის ვრცელ ტერიტორიაზე ერაყში ჩამოყალიბებულმა ჯიჰადისტურმა დაჯგუფებამ „ისლამურმა სახელმწიფომ“ მოიპოვა კონტროლი. ამერიკა და მისი პარტნიორები ებრძვიან როგორც „ისლამურ სახელმწიფოს“, ასევე ბაშარ ალ-ასადის რეჟიმს. ამ ბრძოლაში ამერიკის მხარეს აღმოჩნდნენ თურქეთი, ქურთები და სირიის ზომიერი ოპოზიცია. რუსეთის ფედერაცია, რომელიც სექტემბრის ბოლოს ღიად ჩაერთო კონფლიქტში ყველა ოპოზიციური ძალის წინააღმდეგ, იბრძვის ასადის რეჟიმის შესანარჩუნებლად. კონფლიქტში ჩართულია ირანიც.

კონფლიქტს დაწყებიდან დღემდე 300 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, ხოლო მილიონობით სირიელი ლტოლვილად იქცა. 2015 წლის მონაცემებით, სირიაში წელს კიდევ 42 000-მდე ადამიანია გარდაცვლილი საომარი მოქმედებების შედეგად და ეს რიცხვი, სავარაუდოდ, კიდევ გაიზრდება. სირიის ომს ბევრი მესამე მსოფლიო ომის პროლოგად მიიჩნევს, რადგან აქ ერთმანეთს კვეთს ძლიერი სახელმწიფოების ინტერესები.

სირიის ომი გავრცელდა მეზობელ ერაყშიც. მხოლოდ ამ წელს ერ-



აყში ომის შედეგად დაღუპულია 12 000-ზე მეტი ადამიანი. ერაყში ომი 2003 წლიდან მიმდინარეობს და მთლიანობაში მან ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი შეიწირა.

ისრაელი და პალესტინა

ახლო აღმოსავლეთში კვლავ მიმდინარეობს დაუსრულებელი კონფლიქტი ისრაელსა და პალესტინას შორის, რომელიც 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს შექმნით დაიწყო. ვითარება დაძაბულია თურქეთშიც, სადაც მიმდინარე წელს „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ აქტივისტებსა და მთავრობას შორის მშვიდობიანი მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ კონფლიქტი დაიწყო. ეს კრიზისი მჭიდრო კავშირშია სირიაში მიმდინარე მოვლენებთან. ქურთები თურქეთის ხელისუფლებას „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირში ადანაშაულებდნენ.

კატასტროფულია ავღანეთში მომხდარი ომების სერიის შედეგად გარდაცვლილთა საერთო რაოდენობა. 1978 წელს ავღანეთში დაწყებული შიდა დაპირისპირება, სირიის მსგავსად, საერთაშორისო კონფლიქტში გადაიზარდა. ავღანეთში გადაიკვეთა საბჭოთა კავშირისა და ამერიკის ინტერესები. ომის შედეგად წარმოიშვა ისეთი გლობალური ტერორისტული ქსელები, როგორებიცაა „ალ-ქაიდა“ და „თალიბანი“. მთლიანობაში 2 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ავღანეთის დაუსრულებელ ომს, ხოლო მიმდინარე წელს დაღუპულთა რიცხვმა უკვე 28 000-ს გადააჭარბა.

კონფლიქტები აფრიკაში

ნიგერიაში ჯიჰადისტური დაჯგუფების „ბოკო ჰარამის“ ამბოხება რელიგიურ კონფლიქტში გადაიზარდა და 20 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. კონფლიქტი გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში – ჩადში, ნიგერსა და კამერუნში. ბოკო ჰარამი ისლამისტური დაჯგუფებაა, რომლის მიზანიც „ისლამური სახელმწიფოსა“ და სხვა ტერორისტული ორგანიზაციების მსგავსად, ქვეყანაში ისლამური ხალიფატის დამკვიდრებაა. აღსანიშნავია, რომ ნიგერიაში მუსლიმანებისა და ქრისტიანების რაოდენობა თითქმის თანაბარია.

მთელი რიგი კონფლიქტები მიმდინარეობს აფრიკის კონტინენტზე (ნიგერია, სუდანი, სამხრეთ სუდანი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, სომალი, ლიბია, ეგვიპტე) და მათი უმრავლესობა ეთნიკური ან რელიგიური ხასიათისაა.

უკრაინა

შეიარაღებული კონფლიქტი გრძელდება ევროპის შუაგულში – უკრაინაში, სადაც ამჯერად ბრძოლები აქტიურად არ მიმდინარეობს, თუმცა კონფლიქტი დონეცკისა და ლუგანსკის თვითგამოცხადებულ სეპარატისტულ რესპუბლიკებსა და უკრაინის მთავრობას შორის არ დასრულებულა. მთლიანობაში ამ კონფლიქტის შედეგად უკვე 8000-მდე ადამიანია დაღუპული.

მექსიკა

მექსიკაში მიმდინარე ომი, რომელიც სხვადასხვა ინტენსივობით მიმდინარეობს 2006 წლიდან, არც ეთნიკურ და არც რელიგიურ ხასიათს არ ატარებს. აქ ერთმანეთს უპირისპირდებიან ნარკოსამყარო და მექსიკის მთავრობა. ამ ომმა მთლიანობაში 150 000-ზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. გარდა ამისა, არის უამრავი დაკარგული, რომელთა შესახებაც ინფორმაცია არ არსებობს.

2015 **Global Peace Index**-ის ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2014 წელს შეიარაღებული კონფლიქტების რაოდენობა დრამატულად გაიზარდა და მასთან ერთად კონფლიქტების შედეგად გარდაცვლილთა რიცხვიც, რომელმაც 180 000-ს მიაღწია. შედარებისთვის, ეს რიცხვი 2010 წელს 49 000 იყო. იგივე კვლევის მიხედვით, 9%-ით გაიზარდა ტერორიზმის მსხვერპლთა რაოდენობაც და 20 000-ს მიაღწია. მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის 1% ლტოლვილი ან იძულებით გადაადგილებული პირია – ეს 1945 წლის შემდეგ დაფიქსირებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

მშვიდობის დონე 162 ქვეყანაში სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით გამოიკვლიეს. მათ შორის – ზოგადი უსაფრთხოების დონე, სხვა სახელმწიფოებთან შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩართულობა და შიდა კონფლიქტების არსებობა. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 94-ე, ხოლო რუსეთის ფედერაციამ 152-ე ადგილები დაიკავეს. საქართველო 79-ე ადგილას გავიდა, რაც წინა წლების იგივე მაჩვენებელთან შედარებით გაუმჯობესებული შედეგია. კვლევამ მსოფლიოს ყველაზე მშვიდობიანი და არამშვიდობიანი ქვეყნებიც გამოავლინა. ყველაზე მშვიდობიანი ქვეყანა ისლანდიაა, ხოლო სირიამ ბოლო ადგილი დაიკავა აღნიშნულ კვლევაში. (kvirispalitra.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# რა ფუნქცია აქვთ დღეს მრჩევლებს და რამდენია მათი ანაზღაურება — ყოფილი მრჩევლების გულახდილი პასუხები

პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, მინისტრები თუ სხვა საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელები თავიანთი უფლებამოსილების შესრულებისას რჩევებს მრჩევლებისგან იღებენ. მინისტრებსა და სხვა თანამდებობის პირებს მინიმუმ 2-3 მრჩეველი მაინც ჰყავთ.



ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა **(IDFI)** ჩაატარა კვლევა იმის შესახებ, თუ როგორია მრჩევლების სამუშაო გამოცდილება, რა მოვალეობები აკისრიათ და რამდენია მათი შრომითი ანაზღაურება.

– კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში არ არსებობს ერთიანი სტანდარტი, საჯარო დაწესებულებებში დასაქმებულ მრჩეველთა ფუნქცია-მოვალეობების განსასაზღვრად.

მინისტრის/მინისტრის მოადგილის მრჩევლის სამუშაო აღწერილობების ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ რიგ სამინისტროებში მინისტრის მრჩეველს იგივე ფუნქცია აკისრია, რის შესასრულებლადაც ამავე უწყებაში ცალკე დეპარტამენტია შექმნილი.

მრჩევლები ზოგიერთ სამინისტროში თანაშემწის მოვალეობას ასრულებენ ან მათი ფუნქციები გადაზრდილია ტექნიკური პერსონალის ფუნქციებში, რაც საჯარო დაწესებულების რესურსების არაეფექტურ გამოყენებაზე მიანიშნებს, – წერია **IDFI**-ს კვლევაში.

იმის გასარკვევად, რა ფუნქცია-მოვალეობები აკისრიათ მაღალი თანამდებობის პირების მრჩევლებს, ყოფილ მრჩევლებს ვესაუბრეთ.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის ყოფილი მრჩევლის, გია ხუხაშვილის თქმით, დღეს მრჩევლის ინსტიტუტმა საპენსიო სამსახურის სახელი შეიძინა და ზუსტად განსაზღვრული არ არის, რა ევალებათ მათ.

– პირველ რიგში, მრჩეველი იმ დარგში უნდა იყოს პროფესიონალი, რაშიც საქმიანობს. მისი ფასეულობა ის გახლავთ, რომ ის არის დისტანცირებული კონკრეტულად მენეჯმენტიდან და როგორც წესი, თავის ხელმძღვანელს ბიუროკრატიისგან განსხვავებულ, ალტერნატიულ ხედვას სთავაზობს. სწორედ ამაშია მისი ფასეულობა, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელმძღვანელს ჰქონდეს ობიექტური გადაწყვეტილების მიღების საშუალება.

ჩემი აზრით, მრჩევლის მთავარი ფუნქცია სწორედ ეს არის, მაგრამ საქართველოში ამ ინსტიტუტის აბსოლუტური პროფანაცია მოხდა და დღეს მრჩევლობამ საპენსიო სამსახურის სახელი შეიძინა და ადამიანები აბსოლუტურად გაუგებარ პოზიციებში ხვდებიან. ხშირ შემთხვევაში არ ესმით, რაში სჭირდებათ მრჩევლები, უმეტესწილად ეს თანამდებობა ან საპენსიოა ან ფარული გავლენის საშუალება.

ხუხაშვილის თქმით, როდესაც ის ბიძინა ივანიშვილის მრჩეველი იყო, მის დროსაც არ ხდებოდა თემების იდენტიფიცირება.

„ეს ჩემი მინუსია და გულახდილად ვამბობ, შესაბამისად, ჩემი ადგილიც ცოტა ბუნდოვანი იყო და ამას ხშირად აღნიშნავდნენ“.

საგარეო ურთიერთობათა საკითხებში პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ვანო მაჭავარიანის თქმით, თუ მრჩეველი არის მხოლოდ და მხოლოდ დასაქმების საშუალება, სადაც თანამდებობიდან წასულ პირებს ხელფასს პენსიის სახით აძლევენ და კონკრეტული შედეგი არ დევს, „მაშინ უნდა იკითხოთ, რა კონკრეტულ საქმიანობას ემსახურება კონკრეტული მრჩეველი და რა შედეგებს დებს“.

– არსებობს გამოთქმა, რომ თუ ყველაფრის მრჩეველი ხარ, ე.ი. მუშაობ არაფერზე. ამიტომ ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული მრჩევლის ფუნქცია. სხვა შემთხვევაში კი, ეს არის დასაქმებისა და ტყუილი ხარჯის გაღების ერთ-ერთი მანკიერი პრაქტიკა, – ამბობს ვანო მაჭავარიანი.

დავინტერესდით, ისტორიულად, როდიდან დამკვიდრდა მრჩევლის ინსტიტუტი ქართულ პოლიტიკაში. ისტორიკოს მიხეილ ბახტაძის თქმით, ქვეყნის ისტორიაში მრჩევლის ინსტიტუტი, როგორც ასეთი, არ არსებობდა. მეფეები დარბაზის მოწვევით წყვეტდნენ ყველა საკითხს, იქ კი მრჩევლების როლში ვეზირები იყვნენ.

– ერთიანი საქართველოს დროს მეფე ეთათბირებოდა თავის ვეზირებს, ანუ მინისტრებს, და თუ რაღაც მნიშვნელოვანი საკითხი იყო გადასაწყვეტი, მოიწვევდნენ დარბაზის სხდომას, რომელიც უფრო გაფართოებული იყო და ესწრებოდნენ სასულიერო პირები, საერო თანამდებობის პირები და ფეოდალები.

ოფიციალური არა, მაგრამ არაოფიციალურად მეფეს ჰყავდა ახლო პირი, რომელიც რჩევას აძლევდა ამ უკანასკნელს. მაგალითად, დავით აღმაშენებლის შემთხვევაში ეს არის გიორგი ჭყონდიდელი, მაგრამ გიორგი ჭყონდიდელი იყო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი, ანუ. ფაქტობრივად, პრემიერ-მინისტრი.

თამარ მეფის მეფობის დასაწყისში მრჩევლის როლში იყო მისი მამა, გიორგი მესამე.

ისტორიკოსის თქმით, დღეს არსებული მრჩევლის ინსტიტუტი ზედმეტი დატვირთვაა და ამ ფუნქციის შესრულება მინისტრებისა და მათი მოადგილეების ვალდებულებაა.

– პრემიერმა ან პრეზიდენტმა ყველა მიმართულება არ იცის და სწორედ იმიტომ არსებობს მინისტრი, რომ მას ჰკითხოს რჩევა. კარგია, რომ რჩევას ვიღაცას ეკითხებიან, მაგრამ ამისთვის ცალკე მიმართულება რა საჭიროა? – ამბობს ისტორიკოსი. (ambebi.ge)

# ინვალიდის ეტლი — გლდანის ციხის დანატოვარი და დაწინაურებული მწამებლები — გაქვთ ამაზე პასუხი, „ოცნება“?!

რატომ არიან თავისუფლებაზე ციხის ის თანამშრომლები, რომლებსაც პატიმრები ძალადობაში ადანაშაულებენ? გამოუძიებელი საქმეებით „20/30“ დაინტერესდა. ყოფილი პატიმარი გიორგი გოგლიჩიძე ამბობს, რომ ინვალიდის ეტლს გლდანის ციხის თანამშრომლების წამების შედეგად მიეჯაჭვა. როგორც თავად ამბობს, 2011 წელს მასზე უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსის, ვიქტორ ყაჭეიშვილის ხელმძღვანელობით ძალადობდნენ. წამების შემდეგ ყოფილი პატიმარი ციხის სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც, მისი თქმით, ჯანმრთელობის გაუარესებისთვის არასწორი ინექციები განზრახ გაუკეთეს, რის შემდეგაც დამოუკიდებლად ვეღარ გადაადგილდება.




– 3-4 გრამს მიკეთებდნენ, ეს მაშინ, როცა 1 გრამიც კი არ შეიძლებოდა. გამოიწვია დამბლა, აღარც მეტყველება მქონდა, აღარც აზროვნება. ორგანიზმს საერთოდ ვერ ვგრძნობდი. მცემდნენ ადმინისტრაციის კორპუსში...

ყოფილი პატიმრის განცხადებით, ციხეში მასზე პროკურატურის დავალებით ძალადობდნენ, რათა აღიარებითი ჩვენება მიეღოთ და ხელი კიდევ სხვა პირებისთვის დაედო. ის ანტიკორუფციული საბჭოს მაშინდელ ხელმძღვანელს, ჯარჯი წიკლაურს ადანაშაულებს, რომელიც ახლა სპიკერი პროკურორია.

გოგლიჩიძის ადვოკატი ნათია კორკოტაძე „2030“-თან საუბარში აცხადებს, რომ საქმის გამომძიებელი იყო წიკლაური, რომელიც ახლა დააწინაურეს და სპიკერი პროკურორი გახდა.

კიდევ ერთი ყოფილი პატიმარი, შოთა იამანიძე ამბობს, რომ გლდანის ციხის მოძალადეები დღემდე დაუსჯელები არიან. მისი თქმით, 2011 წელს პირადად მასზე გლდანის ციხეში ფსიქიკურ და ფიზიკურ ძალადობას გლდანის ციხის სოციალური სამსახურის ყოფილი უფროსი გოგა ბუთლიაშვილი ხელმძღვანელობდა. მასთან ერთად იყვნენ ოფიცრები – ვახო ბაბუციძე და მალხაზ ღვინიაშვილი.

როგორც ყოფილი პატიმარი ვახტანგ მაისაია ამბობს, ეს ადამიანები დღეს თავისუფლებაზე არიან და მაღალ თანამდებობებზე მუშაობენ. მაისაია ამბობს იმასაც, რომ 2010 წელს გლდანის ციხეში მისი წამების დოკუმენტურად დასაბუთების შემდეგაც, პროკურატურამ ის დაზარალებულად არ ცნო. ის აცხადებს, რომ მის წამებას, გლდანის ციხის ყოფილი დირექტორი ალექსანდრე მუხაძე და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ვიქტორ ყაჭეიშვილი ხელმძღვანელობდნენ. მაისაიას განცხადებით, მოძალადე ადამიანები დღესაც მაღალ თანამდებობებზე არიან და არც პასუხი უგიათ.

მთავარ პროკურატურაში ჯარჯი წიკლაურზე გამოთქმულ ბრალდებაზე კომენტარის გაკეთება მიზანშეწონილად არ მიიჩნიეს. მოძალადეების დასჯის მოთხოვნაზე კი განაცხადეს, რომ გამოძიება გრძელდება და მტკიცებულებათა ერთობლიობის შემთხვევაში, მათ ბრალი წარედგინებათ. (postalioni.com)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge


უკრაინულმა ვებგვერდმა: **uareview.in.ua** მორიგი ფარული ჩანაწერები გაავრცელა, თუმცა ამჯერად საქმე გვაქვს არა ვინმეს წამებასთან, არამედ სააკაშვილ-გვარამიასა და სააკაშვილ-ბოკერიას სატელეფონო საუბრებთან.

გთავაზობთ ამ საუბრების სრულ ბეჭდურ ვერსიას (სტილი დაცულია):

**მიხეილ სააკაშვილი:** რაო, ძმაო, ნიკოლოზ, როგორა ხარ, დაიღალე?

**ნიკა გვარამია:** დავიღალე ძაან, ოღონდ მართლა.

**მიხეილ სააკაშვილი:** ჰო, მარა ცოტათი გაამხნევე შენი ისინი, თანამშრომლები.

**ნიკა გვარამია:** გამხნევებულები არიან, „პროსტა“, დაბნეულები არიან, მიშა, ვერ გაიგეს, დღეს იქ იჯდა ყველა გამოყ...დნენ ისეთი ქნა იმ ტიპმა.

**მიხეილ სააკაშვილი:** აბა, რას იზამდნენ ეხლა, შემდეგ იმაზე მიიღებს გადაწყვეტილებას.

**ნიკა გვარამია:** არა, გადაწყვეტილებას მიიღებს, ნუ, მთავარია, რას იზამს ეს აღსრულების ნაწილის ეშინია ყველას და იმედია, ჰო, რა ვიცი ეხლა...

**მიხეილ სააკაშვილი:** აღსრულების ნაწილს მიიღებს ერთმნიშვნელოვნად.

**ნიკა გვარამია:** მერე როგორ წარმოგიდგენია?

**მიხეილ სააკაშვილი:** უნდა წახვიდეთ რევოლუციურ სცენარზე, უნდა მოუწოდოთ ხალხს დაცვისკენ, უნდა გამაგრდეთ, უნდა ბარიკადები... ბარიკადები ოღონდ და არა რაღაცა ისე, „იმენა“... მოიმარაგოთ წყალი, ისა, ისა, უნდა იყოს ჩვეულებრივად, მრავალკირიანი „სტენდოფი“. გარშემო დააწყვეთ დიდი ბარიკადები, უნდა ეხლავე დაიწყოთ ამის მომზადება. რკინები, ისინი, ისინი, მიიტანოთ, დააწყოთ... „პროსტა“, ჩვეულებრივი ციხესიმაგრე უნდა გააკეთოთ... გარშემო რამდენიმე დაცვის ხაზი - კარვები, ისა, ისა... ეგ არის ერთ-ერთი ისა... სხვა გზა არ არსებობს. ის კონცერტი აუცილებლად უნდა მოაწყოთ და ასე შემდეგ.

**ნიკა გვარამია:** „იასნა“. კაი, გავიგე.

**მიხეილ სააკაშვილი:** ფიზიკური „უკრეპლენიები“ გააკეთე, რა, „იმენნა“ „პროსტა“, მაგის სპეციალისტებიც არსებობენ, ხო, რო ძაან ძნელი იყოს გახსნა, რა... რამდენიმე ბარიერი, მერე ბევრი რკინის კონსტრუქცია. სასწრაფოდ უნდა ააშენოთ. ეხლავე უნდა დაიწყოთ მშენებლობა.

**ნიკა გვარამია:** კაი, მივხედავ ხვალ...

**მიხეილ სააკაშვილი:** ერთმნიშვნელოვნად უნდა მიხედო. აღება, 22-ში შემოსვლა... ეს აღება არ უნდა დავუშვათ. ათას, ხუთას, ორი ათას კაცს ჩვეულებრივად ყოველთვის ვიშოვით, რო გაამაგროთ. როგორც კი გავამაგრებთ ერთი კვირა, „ვსიო“, ძაან გაუჭირდებათ.

**ნიკა გვარამია:** ჰო, ნუ „პროსტა“ მე შემოსავალში გამიჭირდება, მარა...

**მიხეილ სააკაშვილი:** რა შემოსავალი, „კ ჩორტუ“, ჩვეულებრივი რევოლუციაა, ომია.

**ნიკა გვარამია:** რაღაც ხო უნდა მივხედო, საჭმელი ხო უნდა ჭამონ.

**მიხეილ სააკაშვილი:** მაგი ხო, მარა ეხლა აქ არის საუბარი...

**ნიკა გვარამია:** შენ ფიქრობ, რომ ეგეთი „რაზვიაზკა“ იქნება ორ კვირაში?

**მიხეილ სააკაშვილი:** ერთმნიშვნელოვნად... და რა მაინტერესებს, რა ქვია... კონცერტი 23-ში სად არის, რა ადგილზე?

**ნიკა გვარამია:** თავისუფლების მოედანზე.

**მიხეილ სააკაშვილი:** ჰოდა, 22-ში ეგენი აპირებენ მიღებას, ეგ არ დაუშვათ და აპირებენ და მერე აპირებენ შემოვარდნას. ამიტომ 22-ში უნდა იყოს გარშემო კონსტრუქციები და ის კონცერტი მაინც უნდა იყოს და იქ უნდა იყოს ხალხი, აქ უნდა იყოს ხალხი.

**ნიკა გვარამია:** ელჩებს შევხვდები ხვალ და ზეგ და...

(ხმები გაურკვევლად ისმის)

**მიხეილ სააკაშვილი:** მე მგონი, ხო გეუბნები... იშოვეთ „ბაევიკები“, რომლებიც დაიცავენ, იმიტო, რო საბოლოო ჯამში ეს სროლით დამთავრდეს. ეგრეა, რა ვქნა ეხლა...

**ნიკა გვარამია:** კარგი, რა, დამილაგდება ეხლა „პროსტა“ გონებაში, ეს ღამე რო გამოვიძინებ და ხვალ დილიდან მივხედავ...

===========

**მიხეილ სააკაშვილი:** ნუ ეხლა გვარამიას ვუთხარი შემდეგი რაღაცა - ოცდაორში ეგენი მიიღებენ გადაწყვეტილებას და ოცდაორშივე აღასრულებენ, შევლენ „რუსთავში“. ეს რო არ დაუშვას, ხვალიდან უნდა დაიწყოს მშენებლობა რკინის კონსტრუქციები და ბევრი ბარიკადი უნდა გააკეთოს, რო იმის აღება იყოს... ციხესიმაგრე უნდა ააშენოს თავის დაცვით, გამაგრებებით, „ბაევიკებით“, რო „პროსტა“ სროლის გარეშე ვერ შევიდნენ.

**გიგა ბოკერია:** „ბაევიკები“ მაგათ არა ყავთ, მარა...

**მიხეილ სააკაშვილი:** არა, არა, რა შუაშია, პარტიამ უნდა დააყენოს...

**გიგა ბოკერია:** ჰო, მაგისთვის ჩვენ ვემზადებით, რო პარტიამ უნდა დააყენოს... ადგილის დათვალიერება და ისე ავხედეთ როგორ არი დიდი სივრცე არის ძაან, მარა მანდ პრობლემა ის არი, რო ორი ადგილია, სადაც უნდა შევიდნენ, რო გათიშონ... გათიშვა თუ უნდათ, „დელისში“ შეუძლიათ შევიდნენ.

**მიხეილ სააკაშვილი:** სადა, „დელისში“?

**გიგა ბოკერია:** სიგნალი იქიდან მოდის, ხო.

**მიხეილ სააკაშვილი:** მერე რა, ჯობია სიგნალი გათიშონ, „რუსთავი“ არსებობდეს ინტერნეტში, იმაში, ამაში.

**გიგა ბოკერია:** კი, რა თქმა უნდა, პრიორიტეტი ეგ არი რო...

**მიხეილ სააკაშვილი:** „დელისის“ გამაგრება ძალიან ადვილია...

**გიგა ბოკერია:** ჰო, ვიცი, რო ადვილია, მაგრამ ბევრი ხალხის დაყენებაა რთული. ხო გესმის, ბევრი ხალხი ორგან რთულია. მაგას გადიან ეხლა ჩვენები კიდე...

**მიხეილ სააკაშვილი:** უნდა ააშენოს რკინის კონსტრუქციები...

**გიგა ბოკერია:** მანდ როგორი რაღაცაა, ადგილი შენ გახსოვს, როგორია? ერთი რკინის კონსტრუქცია ეგრე, რო ვერ შეაღწიონ, არ არსებობს. მანდ უნდა იყოს, რო უნდა ჯახი მოხდეს, უნდა მაგრად მოგერიონ, რო აიღონ, თორე რკინის კონსტრუქცია, რო ვერ შევიდნენ სპეციალური დანიშნულების რაზმი, ეგეთი მე ესე უცებ, წარმოიდგინე, იმხელა სივრცე არი...

**მიხეილ სააკაშვილი:** აშენებადია, გიგა, სწრაფად თუ ააშენებთ, აშენებადია. სხვა გზას მე ვერ ვხედავ. ერთი კვირა უნდა გავმაგრდეთ და მერე... ეს იდიოტი უცხოელები რას შვებიან?

**გიგა ბოკერია:** ხვალ რაღაცა დიდ განცხადებას აკეთებს სახელმწიფო დეპარტამენტი ამ თემაზე.

**მიხეილ სააკაშვილი:** დიდ განცხადებას თუ „პროსტა“ ჰკითხავენ სპიკერს და რაღაცას წაიკითხავს.

**გიგა ბოკერია:** ჰო, ესე უთხრეს ამათ, შეხვდნენ და იქ დაუძახეს, რო მოდითო, უნდა გადმოგცეთ განცხადებაო... ვნახოთ, რა. შენ იქ ხო იქნები და გეტყვი დამატებით კიდე, მაინც ტელეფონით არ მინდა. როდის ჩამოდიხარ შენ? ხო გექნება ერთი ნახევარი საათი მაინც? როდის არი ეგა, ზეგ, ხო? რომელ საათზე?

**მიხეილ სააკაშვილი:** ხუთზეა თუ რაღაც...

**გიგა ბოკერია:** ოკეი. შენა და რა მაინტერესებს, ნიკასგან ეხლა წამოვედი მე ერთი საათის წინ, მერე უნდა შეხვედროდა ჟურნალისტებს და როგორ განწყობაზე გეჩვენა?

**მიხეილ სააკაშვილი:** დაბნეულები არიან ჟურნალისტებიო, მარა უნდა გაამხნევოს. ძაან დაღლილი ვარო და უნდა მოვიდე აზრზეო.

**გიგა ბოკერია:** ჰო, ნუ, დაღლილია, დღეს მთელი დღე იქ იყო.

**მიხეილ სააკაშვილი:** მანამდე უნდა ააშენოთ რკინის კონსტრუქცია. მე ვუთხარი, ნიკა, შეიძლება ატყდეს სროლა, მაგისთვისაც მზად უნდა იყო-თქო. საჭიროა ეხლა ფიზიკური დაპირისპირება, უნდა დავანახოთ, რო ეს შეგვიძლია. თუ ეგ არ შეგვიძლია, კაპიკია ჩვენი ფასი. სხვანაირად ვერ მივიქცევთ ყურადღებას.

**გიგა ბოკერია:** ყურადღებაზე არ არის, ბრძოლისუნარიანობა უნდა ვაჩვენოთ.

**მიხეილ სააკაშვილი:** უნდა იყოს ცხვირ-პირის დანაყვები და თუ გაისვრიან და გაისროლონ.

**გიგა ბოკერია:** კაი, გნახავ მერე...




**ამ ჩანაწერებით კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ სააკაშვილი და „ნაცმოძრაობა“ დიდი ხნის წინათ უნდა ჩაეყარათ ციხეში, „ქართული ოცნება“ ასეთი საშინელი და უპატიებელი უმოქმედობის გამო კი გასაგდებია!!!**




**ჩანაწერების გავრცელებიდან სულ ცოტა ხანში ნიკა გვარამიამ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ჩანაწერის ავთენტურობა დაადასტურა:**

– ქვეყანაში არ არსებობს თავისუფალი სივრცე. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის, რომ ვერ იარსებებს ვერანაირი სანქცია ფარული მიყურადების შესახებ. ერთადერთი, რის გამოც შეიძლება მე მისმენდნენ, ეს არის 315-ე მუხლით აღძრული საქმე, რომელიც ჩვენი ღრმა რწმენით აღძრულია იმიტომ, რომ სწორედ ლეგალიზება მოახდინოს ფარული მოსმენების, მაგრამ ეს ჩანაწერი, რომლის ავთენტურობასაც მე ვადასტურებ, არის ჩაწერილი უფრო ადრე, ვიდრე ეს გამოძიება დაიწყებოდა და ამის შესახებ განცხადება გაკეთდებოდა. ეს არის სასამართლოს სხდომის შემდეგ გაკეთებული ჩანაწერი და უნდა დავათარიღოთ, სავარაუდოდ, 19 ოქტომბრით.

პირველ რიგში, მიხეილ სააკაშვილი არის ჩემი ახლო მეგობარი. მისი პოზიციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით ჩემთვის ყოველთვის საინტერესოა. თუმცა ცხადია, არ ნიშნავს ეს იმას, რომ ჩვენ ყველაფერში ერთი პოზიცია გვაქვს და ყველაფერში ვიზიარებთ ერთმანეთის აზრს. რაც შეეხება იმ გარემოებებს, რომელზეც არის საუბარი, დიახ, ვადასტურებ, მიხეილ სააკაშვილის აზრით, ჩვენ სიტყვის თავისუფლება უნდა დაგვეცვა იმ მეთოდებით, რა მეთოდებზეც ის საუბრობს. ეს არის შენობის ბარიკადირება, კუნთმაგარი ადამიანების შემოჯარვა და ბოლომდე წინააღმდეგობის გაწევა. რამდენად გავიზიარე მე ეს დამოკიდებულება ბარიკადების აგების და ასე შემდეგ, შეგიძლიათ გახვიდეთ გარეთ, გასულია უკვე დაახლოებით ათი დღე ამ საუბრიდან და თუ იპოვით ერთ ბარიკადს მაინც, მაშინ შეგვიძლია გავაგრძელოთ. ყველა პოლიტიკურ ძალას აქვს უფლება და პოლიტიკური გემოვნება, ისე გადაწყვიტოს კონკრეტული საკითხები, როგორც მას სურს და ის ამისთვის პოლიტიკურ პასუხისმგებლობასაც იღებს საკუთარ თავზე. ჩვენ არ ვართ პოლიტიკური ძალა, ჩვენ გვაქვს კომუნიკაცია ბევრ პოლიტიკურ ძალასთან, „ნაციონალური მოძრაობა“ არის ერთ-ერთი. საქართველოში არსებულმა ძალიან ბევრმა ოპოზიციურმა ლიდერმა არა მხოლოდ ამ პარტიიდან, დაახლოებით იგივე შინაარსის მესიჯი გამოუშვა ჩემთან პირად საუბარში ან სატელეფონო საუბარში, არ გამიკვირდება, რომ ეს საუბრებიც დაიდოს, ყველამ დაახლოებით თქვა ერთი და იგივე - ჩვენი წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში, არც ერთი ოპოზიციური ლიდერი ამ ქვეყნის არ გამორიცხავს სროლას ბიძინა ივანიშვილის რეჟიმის მხრიდან. ყველამ გაგვაფრთხილა, რომ ამისთვის მზად უნდა ვიყოთ.

გამომდინარე კონკრეტული პარტიული ტემპერამენტიდან, რჩევები იყო განსხვავებული - დაგვენებებინა თავი და ვყოფილიყავით ფრთხილად, ან გაგვეწია წინააღმდეგობა ბოლომდე იმ ვითარებაში, როცა შესაძლებელიც იყო ჩვენთვის ესროლათ. მაგალითად, სააკაშვილი ფიქრობს ასე და ეს მისი პოლიტიკური გემოვნებისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხია.

ჩვენ, კიდევ ერთხელ ვუსვამ ხაზს, არ ვართ პოლიტიკური პარტია. ჩვენ ვართ ტელევიზია, ჩვენი სიმპათიები ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის მიმართ განპირობებულია ჩვენი სარედაქციო პოლიტიკით, რომელიც ეფუძნება ურღვევ ფასეულობებს, ევროინტეგრაციულ პროცესებს. შესაბამისად, აქედან გამომდინარებს ჩვენი პროცესების გაშუქების ხედვა და ის კუთხე, საიდანაც ჩვენ ვაშუქებთ პროცესებს, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვემსახურებით რომელიმე პოლიტიკიდან ან ხელისუფლებიდან წასვლას, ან პირიქით - რომელიმე პარტიის ხელისუფლებაში მოყვანას. მით უმეტეს იმგვარი მეთოდებით, რომელიც საერთოდ ვერ იქნება მედიასთან შეხებაში. რევოლუციურ სცენარზე თუ რაიმე სხვაგვარ სცენარზე, გადაწყვეტილებას იღებენ პოლიტიკოსები და არა მედია. ძალიან ღრმა შეცდომაა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ მედიას შეუძლია რევოლუციის მოხდენა. ძალიან ღრმა შეცდომა დაუშვა ამ მედიამაც, როცა ჩათვალა, რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ იყო მისი დამსახურება და თავი გამოაცხადა „გამარჯვებული ხალხის ტელევიზიად“. რა თქმა უნდა, ეს მითია, მედიები ვერ ახდენენ რევოლუციებს, ვერც სხვა ტიპის ცვლილებებს. ცვლილებებს საზოგადოებაში ახდენს ხალხი და პოლიტიკოსები. პოლიტიკურ პროცესებს მართავენ პოლიტიკოსები. კიდევ ერთხელ ვამბობ, როგორი ტემპერამენტით, როგორი მეთოდებით უდგებიან ისინი ამ საკითხებს, ეს არის მათი პოლიტიკური გემოვნების და პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხი.

**ჩანაწერებისშემდგომი განცხადებით გიგა ბოკერია:**

– ეს ჩანაწერი ადასტურებს ორ რამეს, ერთი იმას, რომ უკანონო მოსმენები გრძელდება და მეორე, მგონი, კონკრეტული მუქარაც იყო ნიკა გვარამიას მიმართ, რომ გამოგიქვეყნებთ სააკაშვილთან საუბარსო, ეს კი ადასტურებს იმ ამბავს, რომ ის შიკრიკი, ვინც გაგზავნა მთავრობამ მუქარებით გვარამიასთან, ნამდვილი შიკრიკი იყო. ისეთი აბსურდული ფაბრიკაცია გამოიყენა გამოძიების დასაწყებად, რომ ახლა, ამ საუბარს გამოიყენებს თუ არა, ამის პროგნოზირება ჩემთვის რთულია, თუმცა ხაზს ვუსვამ, რომ მე პირადად და ჩემს თანაგუნდელებსაც ახალი ამ თვალსაზრისით სათქმელი არაფერი გვაქვს, რადგან ეს გახლავთ ჩვენი საჯარო პოზიცია, რომელიც არაერთხელ გვითქვამს მედიისთვის. ჩვენთვის წითელი ხაზი არის „რუსთავი 2“-ის ჩახშობის მცდელობა და ამ მცდელობას ჩვენ ფიზიკურად აღვუდგებით. ჩვენში მხოლოდ პოლიტიკურ პარტიას არ ვგულისხმობ, აქ საზოგადოების ნაწილიც იგულისხმება. ამაში არავისთვის სიახლე არაფერი არ უნდა იყოს. ეს არის ჩვენი მყარი პოზიცია, რომელიც განხორციელებული იქნება აუცილებლად, – განაცხადა ბოკერიამ.

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge



# „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს ჩანაფიქრი, რომ ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგოს“



»» ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ეს არის მეგასკანდალი. დადასტურდა, რომ მიხეილ სააკაშვილი საქართველოში სისხლისმღვრელი პროცესების ინსტრუქტაჟს აძლევდა „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას და „ნაციონალური მოძრაობის“ საერთაშორისო პოლიტიკურ მდივანს გიგა ბოკერიას. მოვისმინეთ სატელეფონო საუბრები, საიდანაც ირკვევა, რომ ყველაფერი, რაც აქამდე დაწერილა, არის რეალობა...

გამოდის, რომ ბოკერია და გვარამია აღიარებენ, რომ სისხლისღვრას გეგმავდნენ. საინტერესოა, ამ აღიარების შემდეგ რა პოზიციას დაიკავებს დასავლეთი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გვაიძულებს, ვაპატიოთ ამ კრიმინალურ ძალას კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაული, გვაიძულებენ თვალი დავხუჭოთ არაადამიანურ წამებასა და გაუპატიურებაზე... სხვათა შორის, მათი მეგობარი მიხეილ სააკაშვილი ამ სკანდალურ ჩანაწერში მათ იდიოტ უცხოელებად მოიხსენიებს, ხოლო მანამდე ნიკა გვარამიამ უცხოელ დიპლომატებს ფარისევლები ეძახა, – თქვენი ხმა არ ისმის, უფრო ხმამაღლა იყვირეთ და დაგვიცავითო.

ამ ყველაფერს სამართლებრივ შეფასებებს თუ მივცემთ, სააკაშვილის მიერ იდიოტად წოდებული უცხოელები, კერძოდ, ევროპარლამენტარები, რომლებიც აღშფოთებულ განცხადებებს ზედიზედ აგზავნიან, არიან თუ არა სააკაშვილის კრიმინალური დაჯგუფების თანამონაწილენი? თუკი ისინი მოისმენენ ამ ფარულ ჩანაწერებს, რომლის ავთენტურობაზეც ეჭვი აღარავის ეპარება, რადგან სამი შეთქმულიდან ორმა საუბრის შინაარსი დაადასტურა, და კიდევ მათ ხელს დააფარებენ, როგორი იქნება საერთაშორისო საზოგადოების რეაქცია?

სახელმწიფოს წინააღმდეგ შეთქმულება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში უმკაცრესად ისჯება, ვისი მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი, მით უფრო, თუკი პირი ყოფილი პრეზიდენტია და ის აწყობს ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებას, ყველა ქვეყანაში უმკაცრესად ისჯება. დიახ, ვინც სახელმწიფოზე ხელს აღმართავს, მახვილითვე განიგმირება, ვინც არ უნდა იყოს იგი. სააკაშვილის მიერ „უცხოელ იდიოტებად“ წოდებულებმა, კერძოდ კი ევროპარლამენტარებმა, შემაშფოთებელი უსტარი აფრინეს ამ ჩანაწერის გამოქვეყნებამდე რამდენიმე საათით ადრე: „...უკიდურესად გვაღელვებს საქართველოს წამყვანი და ყველაზე პოპულარული დამოუკიდებელი ტელეარხის „რუსთავი 2“-ის შესაძლო ხელში ჩაგდება. ჩვენი მოსაზრებით, ეს ნაბიჯი მნიშვნელოვნად შეზღუდავს პოლიტიკური ველის დონეს და საფრთხეს შეუქმნის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების სამართლიანობას“-ო.

თქვე მართლა იდიოტებო, სატანის მონებო და ტერორისტების მფარველებო, რაღა „ისლამური სახელმწიფო“ და რაღა სააკაშვილის ტერორისტული დაჯგუფება, თქვენ იცავთ და მფარველობთ ტერორისტულ ორგანიზაციას, რომელიც ქვეყანაში „ბოევიკების“ შემოყვანით, სისხლისმღვრელი რევანშით იმუქრება. თქვე მართლაცდა ფარისევლებო. ახლა ის დროა, ქართველ ხალხს საჯაროდ ბოდიში მოუხადოთ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში იცავდით ჯალათებს, მანიაკებს, სექტანტებს, ტერორისტებს, ავანტიურისტებს, სამშობლოს მოღალატეებს...

სად არის პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც პრემიერის განცხადებაში სამოქალაქო დაპირისპირების ნიშნები, კონსტიტუციური საფრთხე დაინახა და ვერ დაინახა საფრთხე იმ კრიმინალურ დაჯგუფებაში, რომელთანაც კონსულტაციები გამართა პრემიერის განცხადების შემდეგ: „ნაციონალური მოძრაობა“ არის ის ჯალათი, რომელიც გაუპატიურების ვიდეოებში არის აღბეჭდილი და მადლობა გადაუხადეთ ხალხს, რომ ზუსტად ასე არ გექცევიან, როგორც ამ ვიდეოებშიაო. პრეზიდენტო, რატომ არ დაგეგმე ნაუცბადევი ბრიფინგი ამ აუდიოჩანაწერის გამოქვეყნების შემდეგ? სად არის ხელისუფლება, რატომ არ მოქმედებს სათანადოდ?!. მაინტერესებს, ეს ფაქტი რომ გვარამიას პროკურორობის დროს მომხდარიყო და მსგავსი ჩანაწერი ხელში ჩავარდნოდა, როგორი იქნებოდა მაშინ მისი და მისი მეგობრების რეაქცია?..

თქვენს უტიფრობას საზღვარი აღარ აქვს, დიდი ხანია უკვე მომსახურების ზონიდან გახვედით. თუ გვარამიას აინტერესებს, რას გულისხმობს „ბოევიკებში“ სააკაშვილი, შევახსენებთ. გვარამია, რომელიც თვითგანადგურების რეჟიმშია გადართული და თავს იშტერებს, თითქოს არ იცის, რა არის „ბოევიკები“, შევახსენებთ, რომ სააკაშვილმა პრეზიდენტობის ბოლო დღეებში 3200 ტერორისტს საქართველოს მოქალაქეობა მიანიჭა. ამაზე „ალია“ წერდა და ეს მან გააკეთა ფეთჰულაჰ გიულენის თხოვნით, რომელმაც მრავალი მილიონი გადაუხადა. გიულენი, ისევე როგორც მიხეილ სააკაშვილი, თურქეთში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისთვისაა დევნილი და მის მიერ დაფინანსებული ტელევიზია 28 ოქტომბერს ნატოს წევრმა ქვეყანამ შტურმით აიღო. გვარამია, რომელ „ბოევიკებს“ გულისხმობს სააკაშვილი, გაინტერესებს? უკრაინაში დღემდე სერიოზულად მიდიოდა მუშაობა, რომ მოცემულ სიტუაციაში, როცა თქვენ სისხლისღვრის სიგნალს მიიღებდით სააკაშვილისგან, საქართველოში ჩამოვიდოდა „ბოევიკთა“ დაჯგუფება, დაახლოებით 100 კაცი. ისინი საქართველოში შემოვიდოდნენ სხვადასხვა ფორმით და სხვადასხვა დავალებებით. დღევანდელი მონაცემით, დასავლეთ უკრაინაში, უკრაინულ-ამერიკულ სამხედრო ბაზაზე წვრთნას გადის 2000 ჯარისკაცი. აქედან 400 კაცი სააკაშვილის ბოევიკია, რომელსაც ხელმძღვანელობს გიგი კალანდაძე. ეს ბატალიონი გადიოდა კონკრეტულ წვრთნას, როგორ უნდა ეწარმოებინათ ქალაქში ბრძოლები: ქუჩების გადაკეტვა, სადარბაზოების დაკავება, ბარიკადების აღმართვა, მოწინააღმდეგის მოგერიება, აი, ამ ბოევიკებს გულისხმობდა კრიმინალი, პოლიტიკას შეფარებული ტერორისტი და ქვეყნის მოღალატე მიხეილ სააკაშვილი. როგორც ჩანს, ნაპროკურორალი ნიკა გვარამია, ეს „ნაციონალების“ საცვალი, აბსოლუტურ ისტერიკაშია და სოციალურ ქსელში სკანდალურ სტატუსს აქვეყნებს, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს მიმართავს და მხარდაჭერისკენ მოუწოდებს: „გთხოვთ მინიმუმ ათ-ათჯერ, ნუ დაგვტოვებთ მარტო „ნაციონალების“ ამარა, დადექით ჩვენ გვერდით...“ აშკარაა, რომ საქმე კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს, გვარამიამ ჩაისვარა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ რომელიმე თავმოყვარე პარტია ტერორისტული დაჯგუფების გვერდით დადგეს, რადგან მათ, ალბათ, მოუწევთ კანონის წინაშე პასუხისგება, საქმეში პროკურატურა ჩაერთვება და ასე დასრულდება ამ შემადგენლობით „რუსთავი 2“-ის ისტორიაც.

**ექსპერტი და კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ძაბირაძე ამ ჩანაწერებთან დაკავშირებით აცხადებს:**

– „ნაციონალურ მოძრაობას“ აქვს ჩანაფიქრი, რომ ხელისუფლება პროვოკაციაზე წამოაგოს. „ნაციონალურ მოძრაობას“ არა აქვს იმის შესაძლებლობა, ქუჩაში დესტაბილიზაცია რეალურად გამოიწვიოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება პროვოკაციას არ წამოეგება, ამიტომ ხელისუფლება უნდა იყოს ძალიან მშვიდი და გაწონასწორებული. მათ ძალიან კარგად იციან, როგორ ხდება მოსმენა, ამ 9 წლის მანძილზე მეტი არაფერი უკეთებიათ, ერთმანეთს უსმენდნენ, გარდა იმისა, რომ ყველას გვისმენდნენ. რაღაცნაირად გულუბრყვილობად მეჩვენება ის, რომ სააკაშვილმა, ბოკერიამ და გვარამიამ ასეთ საკითხზე ტელეფონით ისაუბრეს და არ გაითვალისწინეს, რომ უსმენდნენ. რევოლუციის ორგანიზება ვინ ვინ და მათ კარგად იციან, რომ ტელეფონით არ ხდება. მე ვფიქრობ, რომ ეს მათ სჭირდებათ, შეგნებულად ისაუბრეს ამ საკითხზე, რადგან ამ საუბრის გამოქვეყნების შემდეგ ახალი ტალღა აგორდება, მოსახლეობაში გაჩნდება ძალიან დიდი აგრესია, დაიმახსოვრეთ, „ნაციონალურ მოძრაობას“ სჭირდება მუდმივი აგრესია მოსახლეობაში. ერთადერთი, რასაც ისინი ამზადებენ, არის ის, რომ ხდება შემზადება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე დასავლეთისთვის, რომ 2016 წელს არჩევნები გაყალბდება, მათ „რუსთავი 2“ იმდენად არ ადარდებთ, როგორც ეს საკითხი. მთავარია, შექმნან ფონი და საერთაშორისო საზოგადოება დაარწმუნონ, რომ 2016 წლის არჩევნები გაყალბდება.

გასაგებია, რომ ეს არის მნიშვნელოვანი ჩანაწერი და არ ვამბობ იმას, რომ ეს უყურადღებოდ უნდა დარჩეს. საგამოძიებო სტრუქტურებმა დეტალურად უნდა დაადგინონ ყველაფერი, დაიწყება ამ თემის აჟიტირება. ჩვენ ვხედავთ, ისინი პროვოკაციაზე მიდიან. რა თქმა უნდა, ხელისუფლება იმოქმედებს და კონკრეტულ პირებს დააკავებს, მაგრამ ვფიქრობ, უფრო შორს წასვლა არ ღირს. როცა ასეთი ტექსტები საჯაროვდება, არ არის გამორიცხული, ვიღაც მესამე ძალა გამოჩნდეს და კიდევ უფრო დიდი პრობლემა შექმნას. აუცილებლად უნდა ჩატარდეს გამოძიება დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად, რადგან, ვიმეორებ, „ნაციონალები“ ვაბანკზე მიდიან და სახეზე გვაქვს მათი პროვოკაციული ქმედება. თუ ხელისუფლება ამ პროვოკაციაზე წამოაგეს, დასავლეთიდან გზავნილები უფრო ენერგიულ ხასიათს მიიღებს და აქ პრობლემები ნამდვილად გაჩნდება. მე მაინც მგონია, რომ საბოლოო სცენარი მაინც აქეთკენ მიდის. ამიტომ, უკვე მერამდენედ, მოვუწოდებ ხელისუფლებას, იყოს ფრთხილი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უგულებელყოს მოცემულობა, არხეინად წამოწვევს, მაგრამ ის უნდა იყოს ფრთხილი როგორც განცხადებებთან მიმართებაში, ვგულისხმობ როგორც პარლამენტის წევრების უმრავლესობის მხრიდან, გნებავთ პრემიერისა და გნებავთ, პრეზიდენტის განცხადებებს და ასევე, იყვნენ ფრთხილნი განცხადებებში. ძალიან რთული პოლიტიკური თამაში დაიწყო და მერწმუნეთ, ეს თამაში არ დასრულდება ხვალ და ზეგ, გაგრძელდება მომავალი წლის არჩევნებამდე.

**— ბატონო ვახტანგ, პროცესები ელვისებური სისწრაფით ვითარდება და ჩანაწერის ავთენტურობა დადასტურებულია ბოკერიას, სააკაშვილის, გვარამიას მხრიდან. რა ხდება ამის შემდეგ?**

– რეალურად უნდა აღიძრას სისხლის სამართლის საქმე. სასურველია, საქმეში ჩაერთოს დამოუკიდებელი საგამოძიებო ბიურო, ვინაიდან ჩვენი ხელისუფლების მხრიდან დასავლეთში დიდი ნდობა არ არის, რადგან ისინი თვლიან, რომ ამ კუთხით სამართალდამცავებს აქვთ პრობლემები... და თუკი მოხდა ფაქტის დადასტურება, სააკაშვილი გეგმავდა ხელისუფლების დამხობას და ქვეყანაში სისხლისმღვრელ რევოლუციას, დამერწმუნეთ, დასავლეთის დამოკიდებულება ხელისუფლებისადმი რადიკალურად შეიცვლება. რა თქმა უნდა, ამის შემდეგ იქნება უკრაინის ხელისუფლების მიმართ მოთხოვნა, რომ სააკაშვილი საქართველოს ხელისუფლებას გადმოეცეს და გასამართლდეს. შესაძლოა, პროცედურა გაიჭიმოს, მე არ ვიცნობ უკრაინის კანონმდებლობას, მაგრამ ასეთ შემთხვევაში უკრაინას ძალიან გაუჭირდება, უარი თქვას სააკაშვილის ექსტრადირებაზე, თუკი ხელისუფლების დამხობის მცდელობაში მისი მონაწილეობა დადასტურდა.



„როგორც ჩანს, ნაპროკურორალი ნიკა გვარამია, ეს „ნაციონალების“ საცვალი, აბსოლუტურ ისტერიკაშია და სოციალურ ქსელში სკანდალურ სტატუსს აქვეყნებს, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს მიმართავს და მხარდაჭერისკენ მოუწოდებს: „გთხოვთ მინიმუმ ათ-ათჯერ, ნუ დაგვტოვებთ მარტო „ნაციონალების“ ამარა, დადექით ჩვენ გვერდით...“ აშკარაა, რომ საქმე კლინიკურ შემთხვევასთან გვაქვს, გვარამიამ ჩაისვარა“

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პრეზიდენტით უკმაყოფილო ნიკოლაიშვილი დაძაბულობის ხელოვნურად გაზრდაზე საუბრობს



არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნით პრეზიდენტის სასახლეში გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრა გაიმართა. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია პრეზიდენტის მიერ რამდენიმე დღის წინ გაკეთებულ განცხადებას არ ეთანხმება. შეხვედრის მთავარი თემა სწორედ ქვეყანაში კონსტიტუციური წესრიგის დარღვევის საფრთხესთან დაკავშირებით პრეზიდენტის განცხადება და „რუსთავი 2“-ის საქმის ირგვლივ განვითარებული პროცესები იყო.

ქვეყანაში სიტუაციის კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გადასვლის საფრთხის შესახებ პრეზიდენტის განცხადებას არ ეთანხმება ადვოკატი გელა ნიკოლაიშვილი. როგორც ნიკოლაიშვილი აცხადებს, დაძაბულობა ხელოვნურად თუ არ იქნება მასშტაბებში გაზრდილი, სიღრმეებში წასვლის არანაირი საფუძველი არ არსებობს:

„ვფიქრობ, რომ ეს დაძაბულობა ხელოვნურად თუ არ იქნება მასშტაბებში გაზრდილი, სიღრმეებში წასვლის არანაირი საფუძველი არ არსებობს. მით უმეტეს, ამ ეტაპზე, როდესაც ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ გამოუტანია.

სულ არ გამიკვირდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება „რუსთავი 2“-ის დღევანდელი ხელმძღვანელობის სასარგებლოდ. როდესაც ბოლო დღეებში საზოგადოებისთვის საჯარო გახდა მხოლოდ სამართლებრივი საფუძვლები, რაზე დაობენ.

აქამდე იყო მხოლოდ პოლიტიკური მხარე. ახლა გავიგეთ, რომ თურმე არსებობს რაღაც ექსპერტიზის დასკვნა, რას ემყარება და ა.შ. ამაზე უნდა მიმდინარეობდეს სასამართლოში დავა და არა ის, რომ, თუ მიიღებს „რუსთავი 2“-ის სასარგებლო გადაწყვეტილებას, არხის ხელმძღვანელობამ თქვას, რომ აი, ჩვენ გავიმარჯვეთ იმიტომ, რომ ზეწოლას ჰქონდა ადგილი, საზოგადოებამ დაგვიჭირა მხარი და მეორე მხრივ, თუ მათ საწინააღმდეგოდ მიიღებს გადაწყვეტილებას, მაშინ თქვან, რომ აი, ხომ ვამბობდით, ჩვენს საწინააღმდეგოდ მიიღებდაო.

ეს დავა დღეს და ხვალ არ წყდება. ამას ნებისმიერი მხარე, წაგებული თუ მოგებული, სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრებს, შემდეგ – უზენაესში. ასე რომ, თვეების კი არა, შეიძლება წლების დავა იყოს. მაგრამ დაუყოვნებლივი აღსრულება, ალბათ, არ მოხდება და არც უნდა მოხდეს, – განაცხადა გელა ნიკოლაიშვილმა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ნარინჯისფერი რთველი“ – გლეხების მორიგი თავსატეხი



საქართველოში წელს ციტრუსის უპრეცედენტოდ დიდი რაოდენობის მოსავალს ელიან. თუმცა, „ნარინჯისფერი რთველის“ მოახლოების წინ გლეხები უკვე საუბრობენ რეალიზაციის მიმართულებით შექმნილ პრობლემებზე.

მერაბ ნოღაიდელი, ქობულეთში მცხოვრები:

– 10 ტონაზე მეტ მოსავალს ველოდები, რადგან წელს მოსავლიანობა ორჯერ მეტია, მაგრამ აღარ ვიცი, უნდა მიხაროდეს თუ მწყინდეს. რაც მეტია მოსავალი, მით მეტი მუშახელია საჭირო. ციტრუსის დაკრეფის სანაცვლოდ დაქირავებულ მუშას დღეში 30 ლარი უნდა გადავუხადო. როგორც გვეუბნებიან, ყველაზე უხარისხო მანდარინი 20 თეთრი ეღირება. ერთ კვირაში დავიწყებ კრეფას და მანამდე თადარიგის დაჭერა გადავწყვიტე – მსურველები არიან, ოღონდ კარგი ხარისხის მანდარინი, ნარჩევი 50-60 თეთრზე მაღალ ფასში არავის უნდა. აჭარის მანდარინს სიტკბო აკლიაო და უფრო მაღალ ფასში ვერ ჩავიბარებთ, დიდ ბაზარზე მოთხოვნა არ არისო, მითხრეს.

ციური ქარჩავა, ციტრუსის მწარმოებელი:

– მანდარინი შუა აზიაში, უკრაინასა და რუსეთში გაგვაქვს, მაგრამ ახლა იქაც რთული ვითარებაა. რუსეთში ხელფასები შემცირდა, რეორგანიზაციებია, სავაჭრო ობიექტები ვერ მუშაობენ და ეს ჩვენს მუშაობაზეც აისახება. წელს უპრეცედენტო რაოდენობის მოსავალს ველოდებით და დამატებითი ობიექტების ძებნაც მოგვიწევს. ხელისუფლება დახმარებას გვპირდება. ბათუმში საკოორდინაციო შტაბი იხსნება, რათა მანდარინის მიღება-ჩაბარების პროცესი ორგანიზებულად წარიმართოს. გლეხებს, რა თქმა უნდა, ყოველთვის მაღალ ფასში უნდათ მოსავლის ჩაბარება, მაგრამ კონკურენცია დიდია. ჯერჯერობით არავინ იცის, რამდენი იქნება ხარისხიანი პროდუქტის ფასი, ამას ბაზარი განსაზღვრავს.

მანდარინის რეალიზების პრობლემას უჩივიან სამეგრელოშიც. როგორც ხობელმა დათო ქირიამ აღნიშნა, საუკეთესო ხარისხის მანდარინის ფასი 80 თეთრია, რაც, ციტრუსის პლანტაციების მეპატრონეების აზრით, ძალიან დაბალია. მისივე თქმით, დასავლეთში ნესტიანი ადგილია და ციტრუსი მცირედ ყინვასაც ვერ უძლებს. ამიტომ მას განსაკუთრებული მოვლა სჭირდება, რაც საკმაოდ დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

კომპანიები სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილ ერთ კილოგრამ მანდარინს 20 თეთრად შეისყიდიან, მაგრამ, როგორიც კი სეზონი დაიწყება, უზარმაზარი რიგები დგება და ამასობაში ისე ფუჭდება ნაყოფი, რომ 10 თეთრად თუ ჩაიბარეს, მადლობელი უნდა ვიყოთ. ახალი საწარმოების აშენებას კი აანონსებენ, სადაც ციტრუსის დასაწყობების საშუალება გვექნება, მაგრამ ჯერჯერობით ეს პრობლემა მოუგვარებელია. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## და საერთოდ, რაში სჭირდებათ ბავშვებს ეს 12 კლასი?!



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განცხადებას ავრცელებს:

– საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს რიგი მედიასაშუალებებით გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად, მე-12 კლასი და შესაბამისად, საატესტატო გამოცდები უქმდება.

სამინისტრო მედიასაშუალებებს მოუწოდებს, ყურადღებით მოეკიდონ მსგავს თემებს, რადგან დეზინფორმაციის გავრცელებით, პირველ რიგში, ზარალდებიან სწორედ მეთორმეტეკლასელი აბიტურიენტები, რომელთაც წინ საგამოცდო წელი აქვთ, – ნათქვამია განცხადებაში. (რეპორტიორი)

## დავით თევზაძე კახა კოჟორიძეს: ძლიერი ნერვები დაგჭირდებათ თქვენც და ქ-ნ მინისტრსაც, რომ საკუთარ სინდისთან ჭიდაობას გაუძლოთ



თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით თევზაძე სოციალური ქსელის მეშვეობით პრეზიდენტის მრჩეველ კახა კოჟორიძეს მიმართავს:

– ისევ საგარეჯოსა და სამხედრო ნაწილის არჩევნებში მონაწილეობის თემას მინდა დავუბრუნდე: ვინც „რუსთავი 2“-ზე პრეზიდენტის მრჩევლის ბ-ნ კახა კოჟორიძის კომენტარი მოისმინა, ცალსახად დაასკვნიდა, რომ თავდაცვის სამინისტროსა და თავად მინისტრის განმარტება ამ საკითხზე გახლავთ, რბილად რომ ვთქვათ, ბლეფი. ბ-ნ კახას მინდა მივმართო: კანონის ბუნდოვანება არ ამართლებს იმ უზნეობას, რასაც არჩევნების გაყალბების მცდელობა ჰქვია მარტივად. და, თქვენ, როგორც სამართლიანობაზე პრეტენზიის მქონე იურისტმა, ჩემზე კარგად უნდა იცოდეთ ეს. მით უმეტეს, როდესაც გაყალბებული არჩევნები თავადაა დანაშაული სამართლებრივადაც. თანამდებობრივი მდგომარეობით „ნაკარნახევი“ ნახევრად სიმართლე არის ტყუილი, რომელიც შენივე საკუთარ ღირსებას აკნინებს. ამიტომაცაა, რომ ზოგჯერ სჯობია, არაფერი თქვა საერთოდ. თანამდებობაზე ყოფნა, რაგინდ ხანგრძლივადაც არ უნდა გაგრძელდეს, მთავრდება ერთ დღეს, შემდეგ კი იწყება ცხოვრება, რომელიც ყოველ ნაბიჯზე შეგახსენებს საკუთარი პრინციპებისა და ღირსების ღალატს. ძალიან ძლიერი ნერვები დაგჭირდებათ თქვენც და ქ-ნ მინისტრსაც ამ გზაზე, რომ საკუთარ სინდისთან ჭიდაობას მერე გაუძლოთ. ამიტომაც დავწერე ამ ერთი კვირის წინ, „განა რა გასამრჯელოს იღებთ იმისთანას, რომ ღირსების შელახვად ღირდეს?“ დავამატებ: განა რამდენ ხანს უნდა იყოთ ამ „სკამებზე“, რომ მთელ თქვენს წინანდელ (სკამებამდელ) იდეალებს ხაზი გადაუსვათ? – წერს თევზაძე. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## „დოიჩე ბანკი“ 10 ქვეყანაში ფილიალებს დახურავს და სამუშაო პერსონალს 9,000-ით შეამცირებს




„დოიჩე ბანკის“ დირექტორის განცხადების მიხედვით, ბანკი 10 ქვეყანაში ფილიალებს დახურავს, რის შედეგადაც სამუშაო კონტინგენტიდან 9,000 თანამშრომელს გაათავისუფლებს.

„დოიჩე ბანკი“ ფილიალებს დახურავს დანიაში, ფინეთში, ნორვეგიაში, მალტაში, ახალ ზელანდიაში, არგენტინაში, ჩილეში, პერუში, მექსიკასა და ურუგვაიში. აგრეთვე, ბანკი სავაჭრო ოპერაციებს ბრაზილიიდან სხვა „გლობალურ და რეგიონულ ცენტრებში გადაიტანს“.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბანკს თავის საერთაშორისო და საინვესტიციო განყოფილებებში, კლიენტების რაოდენობის 2-ჯერ შემცირება სურს. აღნიშნული გადაწყვეტილება განსაკუთრებით შეეხება „ისეთ ქვეყნებს, სადაც სამუშაო გარიგებების გაფორმება დიდ რისკს უკავშირდება“.

ფილიალების დახურვისა და სამუშაო პერსონალის შემცირების გარდა, ბანკი შვილობილ კომპანია **Postbank**-ის გაყიდვას აპირებს, სადაც 15,000 ადამიანია დასაქმებული.

„დოიჩე ბანკის“ სუფთა დანაკარგმა, მესამე კვარტალში 6 მილიარდი ევრო შეადგინა, ხოლო გასულ წელს, 92 მილიონი ევრო. შესაბამისად, ბანკის წლიური მოგების მაჩვენებელი 7 პროცენტით – 7,33 მილიარდ ევრომდე დაეცა. (ipress.ge)



## ქართველ ფეხბურთელთა 17 წლამდე ნაკრები ელიტრაუნდშია

საქართველოს 17 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი უნგრეთის წინააღმდეგ ფრედ დაასრულა და ელიტრაუნდში გავიდა.

ახალგაზრდა ქართველმა ფეხბურთელებმა უნგრეთთან, გასვლაზე მატჩი ფრედ, 2:2 დაასრულეს, ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავეს და ელიტრაუნდის საგზურიც მოიპოვეს.

ჯგუფში პირველი ადგილი სლოვაკეთმა, 5 ქულით, დაიკავა. მეორე ადგილზე ბურთების უკეთესი შეფარდებით ჩვენი ნაკრები მოხვდა, მესამეზე კი რუმინეთი 4 ქულით გავიდა. უნგრეთმა კი ბოლო ადგილზე, 1 ქულით დაასრულა ტურნირი. (ipress.ge)

## ცოლი ორსულობას მალავდა, ბავშვი გარდაცვლილი დაიბადა – წნორის ტრაგედიის დეტალები



წნორში მომხდარი შემზარავი ფაქტის შესახებ ახალი დეტალები გახდა ცნობილი. როგორც წნორიდან გვაცნობეს, ქმარს ორსული ცოლი არ უცემია.

ქალბატონმა 8 თვის ჩვილი სახლის პირობებში გააჩინა, რის შედეგადაც ბავშვი გარდაცვლილი დაიბადა.

– მე მათი მეზობელი ვარ, თუმცა ამ გოგოს ორსულობის შესახებ არ გამიგია. არც სხვა მეზობლებმა იცოდნენ ფეხმძიმობის შესახებ. იმასაც ამბობენ, რომ ქმარმა მეუღლის ორსულობის შესახებ ინციდენტის დროს გაიგო. როგორც ამბობენ, ფიზიკურ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია. საქმეს პოლიცია იძიებს. სახლიდან წაიყვანეს ახალგაზრდა მამაკაცი, ქალბატონის დაკითხვა კი საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მოხდება, – ამბობს თ.მ.

არსებული ინფორმაციით, წნორში ორსული ქალი მეუღლემ სასტიკად სცემა, რის შემდეგაც მას ნაადრევი მშობიარობა დაეწყო. ამის შემდეგ ქალმა ბავშვის თავიდან მოშორება გადაწყვიტა. როგორც ცნობილია, ქალმა ბავშვი გაგუდა.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, ბავშვის გარდაცვალების ფაქტზე გამოძიება უკვე დაწყებულია. დამატებით დეტალებზე უწყებაში არ საუბრობენ. მათი ინფორმაციით, დანიშნულია რამდენიმე ექსპერტიზა, რომელიც ჩვილის გარდაცვალების მიზეზს დაადგენს.

»» დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**რაზე ისაუბრეს არასამთავრობო ორგანიზაციებმა გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრაზე? რა უსაყვედურეს პრეზიდენტს? რას უყვება შეხვედრის შესახებ „ალიას“ ნანა კაკაბაძე?**

**„ალიას“ ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები — ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე, ნანა კაკაბაძე ესაუბრა:**

– პრეზიდენტს ის არასამთავრობო ორგანიზაციები შეხვდნენ, რომლებიც არ შეხვედრიან გიორგი მარგველაშვილს მაშინ, როცა ახლო წარსულში გამართა ამ ტიპის შეხვედრა არასამთავრობო სექტორთან. შეხვედრის მთავარი მიზანი, ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით პრეზიდენტის პოზიციები იყო.

პირველი კითხვების დასმა მე მომიწია და მე მას ვუთხარი, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველი პოლიტიკური ძალა იყო „ქართული ოცნება“ და გიორგი მარგველაშვილი, რომელთაც მე ხმა მივეცი და ეს მოხდა იმიტომ, რომ დასრულებულიყო ის უბედურება ქვეყანაში, რაც წლების განმავლობაში სუფევდა და ამ ფონზე, ჩემთვის გასაოცარი იყო ის შეფასებები, რაც მოვისმინე მისგან, როცა ის ამბობდა, რომ შესაძლოა, პროცესები გავიდეს კონსტიტუციური ჩარჩოებიდან. მე ვკითხე – რა სიმპტომები და კითხვის ნიშნები დაინახა, როცა ამ შეფასებებს აკეთებდა. გავახსენე განცხადების ის მონაკვეთიც, როცა მოსამართლეს მიმართა, არ მიეღო ხისტი გადაწყვეტილება.

**— რა გიპასუხათ პრეზიდენტმა?**

**— პრეზიდენტმა თქვა, რომ მას არაფერი უთქვამს კანონსაწინააღმდეგო, — უბრალოდ, მე არ ვარ იურისტი და ჩემი აზრი პოპულარულ ენაზე ჩამოვაყალიბეო.**

როგორც მან განმარტა, აღნიშნული განცხადება გააკეთა იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადების გასანეიტრალებლად, რომელიც სასამართლოს მოუწოდებდა, სწრაფად გამოეტანა გადაწყვეტილება.

ასე თუ ვიმსჯელებთ, მიხეილ სააკაშვილმაც გააკეთა განცხადება და თქვა: ნულოვანი ტოლერანტობა – ყველანი ციხეშიო, მაგრამ როცა მას განმარტება მოსთხოვეს, განაცხადა, რომ არაფერი გაუკეთებია კანონსაწინააღმდეგო, უბრალოდ თქვა, რომ კრიმინალი უნდა დაისაჯოს. ამის მერე, მისი ეს განცხადება გახდა იმის მაპროვოცირებელი, რომ ციხეები გაივსო პატიმრებით და ევროპაში „წამყვანი“ ქვეყანა ვიყავით ამ მიმართულებით. დაინერგა წამება, ქუჩებში ახალგაზრდების ჩაცხრილვა და ა.შ. ეს ყველაფერი მოიტანა მისმა ერთმა, ერთი შეხედვით, უწყინარმა განცხადებამ. მე ეს ყველაფერი ვუთხარი პრეზიდენტ მარგველაშვილს. მან საბოლოოდ თქვა, რომ სამომავლოდ, ალბათ, მართლაც უნდა გაიცხრილოს განცხადებები.

**მე მას ვკითხე, ნიკა გვარამიას, რომელიც იმ სისასტიკესთანაა გაიგივებული,**

**რაც წლების განმავლობაში ხდებოდა ქვეყანაში, რატომ მიიჩნევდა თავისუფალი სიტყვის მებაირახტრედ.**

მას გავახსენე წართმეული ქონების საკითხი და ვუთხარი, რომ, თუ ქვეყანაში არსებობს 6 ათასამდე ქონებაწართმეული, რატომ გამორიცხავდა, რომ „რუსთავი 2“ არ იყო უკანონოდ წართმეული ქონება? მან თქვა, რომ ის არაფერს არ გამორიცხავს და მისი განცხადებები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერია, ან ოდესმე უფიქრია, ამ პოლიტიკურ ძალასთან ყოფილიყო გაიგივებული. უბრალოდ, აღნიშნა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ კარგადაა განსწავლული პიარში და სათავისოდ იყენებს ჩემს განცხადებებსო.

## ნანა კაკაბაძე: „ეს მთავრობა ისეა დაშორებული ხალხს, ისე არიან გაუცხოებულები, მხოლოდ საკუთარი კაბინეტების ფანჯრებიდან უყურებენ მოვლენებს“

# ხალხს ვერ მოატყუებ!



**მოსახლეობის 65% არც ერთ პარტიასთან არ აიგივებს თავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ხალხი ელის ახალ ძალას**

ასევე, შეხვედრაზე დასმული იყო კითხვა – როდის დადგება რეჟიმის გასამართლების დრო? რაზეც მარგველაშვილმა განაცხადა, რომ სანამ ჩვენ გვერდით ჯერ კიდევ არსებობენ ჯალათები, რომლებიც ხალხს აწამებდნენ მანამდე არ იქნება ამ საკითხის საშველი.

შემაშფოთებელია ის, რომ პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი ერთად ვერ სხდებიან და მათ შორის კომუნიკაცია არის გართულებული. კეთილი უნდა ინებონ და გამონახონ საერთო ენა და მოიქცნენ ისე, როგორც ამას ქვეყნის უმრავლესობა ითხოვს. მთავრობა ამ დროს მშვიდადაა, ფიქრობენ, რომ ხალხს არ აქვს სხვა არჩევანი და 2016 წელს ისევ ხელისუფლებაში მოსვლას ელოდებიან. ფაქტია, არ არსებობს ქვეყანაში რეიტინგული პარტია – არის „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც მანამ ვერ დაბრუნდება ხელისუფლებაში, სანამ ქართველის მეხსიერებაში იარსებებს – რას აკეთებდნენ ეს ადამიანები. მეორე მხრეს არის ხელისუფლება, რომელიც დაშორდა ხალხს. მე არ მახსოვს პრემიერ-მინისტრს მოეწყო შეხვედრა, რომელშიც ჩვენ მიგვეღო მონაწილეობა. ის ხელისუფლება, რომელსაც არ აინტერესებს ხალხის აზრი და მარტო წინასაარჩევნოდ ახსენდება ის – განწირულია. რომც მოიგონ 2016 წლის არჩევნები, უნდა ახსოვდეთ, რომ ბევრი ხელისუფლება ვიცით, რომლებიც მოსულან, მაგრამ ძალიან დიდი უბედურებებით წასულან. ამიტომ არჩევნების მოგება ყოველთვის არ ნიშნავს გამარჯვებას.

**— სააკაშვილმა რა საშინელებებიც ჩაიდანა, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ დასანახად მაინც ხვდებოდა ხალხს, ხან მეტროში ჩადიოდა, ხან ქუჩაში ხვდებოდა. ესენი 3 წელია ხელისუფლებაში არიან და ხალხში არ გამოსულან. რატომ, როგორ ფიქრობთ?**

– დღეს ეს მთავრობა ისეა დაშორებული ხალხს, ისე არიან გაუცხოებულები, მხოლოდ საკუთარი კაბინეტების ფანჯრებიდან უყურებენ მოვლენებს. მგონია,

**მათ წარმოდგენაც კი არ აქვთ, რა ხდება ქვეყანაში და ფიქრობენ, რომ აი, რადგან ხალხს არ ვაუპატიურებთ, ეს საკმარისია იმისთვის, რომ ჩვენ აგვირჩიონო.**

ეს არის ძალიან არასაკმარისი იმისთვის, რომ ეს ისევ ესენი უნდოდეს ხალხს მმართველ ძალად. ხალხს ვერ მოატყუებ! ძალაუფლება ხალხშია და ეს ძალაუფლება დღეს არის ქუჩაში. მოსახლეობის 65% არც ერთ პარტიასთან არ აიგივებს თავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ხალხი ელის ახალ ძალას. ის დანარჩენი 35% იმიტომ არის გადანაწილებული „ქართულ ოცნებასა“ და „ნაციონალურ მოძრაობას“ შორის, რომ უბრალოდ სხვა ძალას ვერ ხედავს.

**სავალალოა, რომ ისე დაჩაჩანაკდა ჩვენი ქვეყანა, რომ რამდენიმე ათეული ღირსეული ადამიანი ვერ მოიძებნა. უნდა დასრულდეს გუშინდელი და გუშინწინდელი 2-3-კაციანი პარტიები. არასდროს არ ვიცით, ვინ დგას იმ 1-2 ადამიანის უკან. ამიტომაცაა მერე, რომ მოსხდებიან პარლამენტში, საუბარი მაგათ არ იციან, იურისდიქცია, ეკონომიკა და ხალხი აღარ ახსოვთ. სდიე მერე ამ უცოდინარ-უტვინო დეპუტატებს...**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საკუთრებიდან გამოსახლების ახალი ინიციატივა საკუთრების უფლებას დაუსაბუთებლად ზღუდავს

Transparency International Georgia
საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საკუთარ შენიშვნებს აქვეყნებს:

„27 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მეორე მოსმენით განიხილა იურიდიულ საკითხთა კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის ავტორიც პარლამენტის წევრი პაატა კიკნაველიძეა. პროექტი ცვლილებების შეტანას სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში, ასევე „პოლიციის შესახებ“ და „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონებში ითვალისწინებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ 2015 წლის 5 ივნისს, კანონპროექტის პარლამენტში ინიცირების შემდგომ, პირველად გამოეხმაურა ცვლილებებს და აღნიშნული ინიციატივა ნეგატიურად შეაფასა. ჩვენი შეფასება ასევე წარედგინა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს.

დღეს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, მესაკუთრეს მისი კუთვნილი უძრავი ნივთის მფლობელის (რომელსაც მფლობელობის უფლების დამდგენი წერილობითი საბუთი არ გააჩნია) გამოსახლების მოთხოვნით შეუძლია პოლიციას მიმართოს. შემოთავაზებული ცვლილებით უქმდება სასამართლოსთვის მიმართვის გარეშე უძრავი ნივთების უკანონო/არამართლზომიერი მფლობელების გამოსახლების შესაძლებლობა. კანონპროექტის მეორე მოსმენისას ცვლილება შევიდა ინიცირებულ ვარიანტში და გამონაკლისის სახით შესაძლებელი ხდება გამოსახლება პოლიციის მეშვეობით, თუკი სახეზეა ბინაში ან სხვა მფლობელობაში თვითნებური შეჭრის დასაბუთებული ვარაუდი.

კანონპროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, ცვლილების საჭიროება გამოწვეულია არსებითი ხასიათის სამართლებრივი ხარვეზებით, რაც, ავტორის თქმით, ახასიათებს არასასამართლო, მათ შორის, საპოლიციო წესით უძრავი ქონებიდან პირთა გამოსახლების ინსტიტუტს, რომელიც შემოღებულ იქნა და მოქმედებს 2007 წლიდან.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მიიჩნევს, რომ კანონპროექტით შემოთავაზებული რეგულაციები დაუსაბუთებლად ზღუდავს კანონიერი მესაკუთრის უფლებას. კანონპროექტის მიღებას უარყოფითი შედეგები მოჰყვება საქართველოში მოქმედი კომერციული ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების, საკრედიტო კავშირების, სალიზინგო და დეველოპერული კომპანიებისა და უძრავი ქონების ბიზნესში ჩართული მოქალაქეებისათვის. ვფიქრობთ, რომ ეს თავის მხრივ იქონიებს გავლენას ეკონომიკის ამ სექტორების განვითარებაზე, და გააუარესებს საქართველოს პოზიციებს შესაბამის საერთაშორისო რეიტინგებში. კანონპროექტის მიღების შემთხვევაში უარყოფითი შედეგების რისკებს ვერ ამცირებს მეორე მოსმენის დროს განხორციელებული ცვლილებებიც“. – აღნიშნულია განცხადებაში. (newpost.ge)

## „ხუთი მსუბუქი ყოფაქცევის დედალი კურდღელი არ არის საკმარისი საქართველოს დასაღუპად?“



ბერ-მონაზონი ილია ვაშაკიძე ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე სოციალურ ქსელში წერს.

ვოლსკი – დღესაც კომუნისტური პარტიის ერთგული მომხრე, მეჭიაური – პიონერთა რაზმეულის შრამიანი საბჭოს თავმჯდომარე, ზაქარეიშვილი – მარქსიზმლენინიზმის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, თოფაძე – რომელიც მოგვიწოდებს სტალინის კულტის რეანიმაციისკენ, ამაშუკელი – ვითომ პოეტ-მარაზმატიკი, რობიკო სტურუა – დღესაც ფეესბეშნიკი... ექვსი მსუბუქი ყოფაქცევის დედალი კურდღელი არ არის საკმარისი საქართველოს დასაღუპად? სტალინიო, რომ გაიძახის ეს ტვინგაღუნული თოფაძე, სტალინი პირველ რიგში მაგას გააკულაკებდა... ასეთ უტვინო და უგუნურ მდგომარეობაში საქართველო, მე პირადად, ბრეჟნევის დროსაც არ მახსოვს... მიუხედავად ჩემი ამ მწარე კრიტიკისა, ყველა ზემოჩამოთვლილს სინანულსა და ღვთის წყალობას ვუსურვებ და მოგიწოდებთ, გაემიჯნოთ ზემოჩამოთვლილ მსუბუქი ყოფაქცევის დედალ კურდღელთა მოწოდებებს და ბოიკოტი გამოუცხადოთ თოფაძის ყველა ნაწარმს, არ ვიყიდოთ და არ მოვიხმაროთ საქართველოს მოქალაქეებმა... როგორ შეიძლება ქართველმა კაცმა ხელი შეუწყოს მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიციან ტაბიძის მკვლელის – სტალინის რეაბილიტაციის მომხრის ბიზნესს? დანარჩენზე თავად იმსჯელეთ და თავად მიიღეთ გადაწყვეტილება... (news.ge)

რეკლამა: ☎ 2-333-170; 577-444-442 reklama@alia.ge

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# „დედათა მონასტრიდან დაურეკავთ, შველა უთხოვიათ...“ — მამა ილია კარტოზიას უცნაური წინასწარმეტყველება

2014 წლის 28 დეკემბერს იტალიურ ბორან „ნორმან ატლანტიკზე“ გაჩენილი ხანძრის დროს უბედური შემთხვევის შედეგად დავით აღმაშენებლის სახელობის მამათა მონასტრის წინამძღვარი, არქიმანდრიტი ილია კარტოზია გარდაიცვალა. ბორანი ადრიატიკის ზღვაში სამხრეთ იტალიისკენ მიემართებოდა. მამა ილია ქალაქ ბარში, წმინდა ნიკოლოზის საფლავის მოსალოცად მიემგზავრებოდა. ცეცხლში გახვეული ბორნიდან მაშველებს მგზავრები სამაშველო ნავზე გადაჰყავდათ. მამა ილიამ თავისი ადგილი ბავშვიან ქალბატონს დაუთმო, საკუთარი სიცოცხლის ფასად დედა-შვილი გადაარჩინა, თავად კი სამშვიდობოს გასვლა ველარ შეძლო. არქიმანდრიტ ილია კარტოზიას 1-ელ მაისს 28 წელი შეუსრულდებოდა.

**ნიკა კარტოზია** (მამა ილიას ძმა):

– 28 დეკემბრის დილის 8 საათი იყო, რომ დამირეკეს. პირველმა მე გავიგე. რამდენიმე საათის შემდეგ კი დედამ ტელევიზიით შეიტყო.

**— რატომ გადაწყვიტა მამა ილიამ მონასტერში წასვლა? ბავშვობიდან იყო მონდომებული?**

– გადაწყვეტილება იმის გამო მიიღო, რომ ღმერთთან უნდოდა ახლოს ყოფნა. 12 წლის იყო, ტაძარში რომ მივიდა და მამაოს ესაუბრა. რაღაც პერიოდი დადიოდა ტაძარში, მერე კი სტიქარიც ჩააცვეს. ძალიან დიდი სურვილი ჰქონდა, სასულიერო სემინარიაში ესწავლა. 2004 წელს სკოლა დაამთავრა და სექტემბერში საფარის მონასტერში წავიდა სასწავლებლად. 2005 წლის აგვისტოში, სვეტიცხოვლის მონასტერში წავიდა და მას მერე იქ იყო. 2007 წლის 9 მარტს ბერად აღიკვეცა. ყველა ეტაპი გაიარა და 2010 წლის ნოემბერში, 23 წლის ასაკში იღუმენი ილია არქიმანდრიტად აკურთხეს.



**— თქვენ რამდენად ხართ ეკლესიური და აღსარება თუ ჩაგიბარებიათ მამა ილიასთვის?**

– ტაძარში დავდივარ, მარხვას ვიცავ, აღსარებას ვაბარებ... როგორც შემიძლია, მორწმუნე ვარ, მაგრამ ისე არა, როგორც მამა ილია. როცა ცოცხალი იყო, ხშირად დავდიოდი მონასტერში მასთან. თვეობით ვრჩებოდი და ერთად ვიყავით, მაგრამ მისთვის აღსარება არასდროს ჩამიბარებია. ჩემი ძმა რომ იყო, ალბათ, ამიტომ.

**— როცა მამა ილია ბარში მიდიოდა მოსალოცად, ერთ-ერთ ბავშვობის მეგობარს ხუმრობით ისიც უთხრა, რომ უკან ველარ დაბრუნდებოდა.**

– კი, ასეთი რამ მართლა თქვა. ველარ დავბრუნდები, ჩამომასვენებენო. საერთოდ, ხშირად ამბობდა, ამ ქვეყნიდან ახალგაზრდა წავალო. იმასაც ამბობდა, მცხეთაში, დავით აღმაშენებლის მამათა მონასტერში დამასაფლავეთო. იმ მონასტერში რომლის წინამძღვარიც იყო. მეც მქონდა წინათგრძნობა. წასვლამდე ორი დღით ადრე ძალიან დიდხანს ველაპარაკე, მაგრამ მაინც ვერაფერი ვუთხარი მას ჩემი უცნაური წინათგრძნობის შესახებ. თითქოს ვგრძნობდი, რომ რაღაც ცუდი მოხდებოდა. ვერც გავაცილე, ჩემი თბილისში ჩასვლა არ მოხერხდა იმ მომენტისთვის.

**— როგორც გავიგეთ, მამა ილია ჩადენილი გმირობისთვის, ნოემბერში სპეციალური ჯილდოთი ჯილდოვდება.**

– მამა ილია პირველი ქართველია, რომელსაც საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაცია ზღვაში ჩადენილი გმირობისთვის განსაკუთრებული სიმამაცის ჯილდოთი დააჯილდოებს.

**გიორგი შონია** (მამა ილიას მეგობარი):

– მამა ილია ბავშვობიდან გამოირჩეოდა. რომ არა საეკლესიო ცხოვრების არჩევა, მას ყველა ასპარეზზე შეეძლო წარმატების მიღწევა. ადამიანს ვერასდროს პატიობდა უსამართლობასა და ჩაგვრას. ერთხელ, გვიან ღამით, დედათა მონასტერში მთვრალი კაცი შევარდნილა თოფით, რომელიც დედაოებს ლეკვის მოპარვას აბრალებდა და ემუქრებოდა. შეშინებულ დედებს მამა ილიასთვის დაურეკავთ და შველა უთხოვიათ. რა თქმა უნდა, მამაოც მაშინვე იქ გაჩნდა. მისულა გონებაარეულ მთვრალ კაცთან და უთქვამს: მართალი ხარ, დედაოები გამომიტყდნენ, ბოდიშს გიხდიან და ლეკვს პირადად მე მოგიყვან, ახლა კი მომეცი თოფი, ეშინიათ დედაოებსო. გამოართვა თუ არა იარაღი მთვრალ კაცს, მიუბრუნდა, მოდი ახლა და გაჩვენებ, როგორ უნდა შეშინება და აწიოკებაო. კაცი მაშინვე გამოფხიზლდა და უკანმოუხედავად ცხვირ-პირის მტვრევით გავარდნილა იქიდან. მეორე დღეს ის კაცი დედაოებთან მისულა, მოუბოდიშებია და სულ იმას ფიქრობდა, რით დახმარებოდა მათ.

**თათია ვეკუა** (მამა ილიას მეგობარი):

– ერთად გავიზარდეთ. ეკლესიასთან ძალიან ახლოს ვცხოვრობდით. წინამძღვარი ჩვენი მეზობელი იყო, რომელიც ყოველთვის ცდილობდა, უბნის ბავშვები ეკლესიაში წავეყვანეთ და ეკლესიურად გვეცხოვრა. ბავშვობიდან დავდიოდით წირვაზე. ალბათ, მას უფრო მეტად ესმოდა მამაოს ახსნილი ქადაგებები. იმდენად სწრაფად ითვისებდა ყველაფერს, რომ მამაომ მალევე გადაწყვიტა, მისთვის სტიქარი ჩაეცმია. არქიმანდრიტი და წინამძღვარი რომ გახდა, იცოდა, რომ მასზე ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იყო დაკისრებული. მაქსიმალურად ცდილობდა, ახალი მონასტერი, სადაც ბოლომდე მსახურობდა, რაც შეიძლება მალე აეშენებინა. თითქმის ორ წელიწადში ხრიოკ მიწაზე მონასტერი ააშენა. თითქოს ელოდებოდა, რაც მოხდებოდა და უნდოდა, რაც შეიძლება ბევრი მოესწრო. ფიზიკურადაც შრომობდა. მეგობრებიც ეხმარებოდნენ, მალე რომ დასრულებულიყო მონასტრის მშენებლობა. ტაძარი მამაოს, მისი მეგობრებისა და მრევლის შრომითა და მონდომებით აშენდა. დიდი მონასტერი არ არის, მაგრამ რაც ამ ორ წელიწადში მოესწრო მცირე ფინანსებით და დიდი შრომით, მართლა წარმოუდგენელი იყო. მე მამა ილიას მრევლში ვიყავი და მისთვის აღსარებაც ხშირად ჩამიბარებია. ეს არასდროს გამჭირვებია, რადგან ბავშვობიდან, როცა რამე გვიჭირდა ან რჩევა გვჭირდებოდა, მასთან მივდიოდით და როგორც დიდ ადამიანს ეკითხებიან რჩევას, ისე ვეკითხებოდით ჩვენც. როგორც კი მოძღვრად აკურთხეს, იმ დღიდან მის მრევლში ვიყავი. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ყოჩაღ, სომხეთს!



ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტრო სომხეთში გამართული საერთაშორისო ტურნირიდან აფხაზი სპორტსმენების მოხსნის ფაქტის გამო შეშფოთებას გამოთქვამს. როგორც დე ფაქტო სამინისტროს ოფიციალურ განცხადებაშია ნათქვამი, „უწყება გმობს საქართველოს განუწყვეტლივ მცდელობებს, უარყოფითად იმოქმედოს აფხაზეთის კონტაქტებზე და აღნიშნულ ქმედებას აფხაზეთის გარესამყაროსგან იზოლაციად აფასებს“.

აფხაზური მხარის განცხადებით, სპორტსმენებს შეჯიბრში მონაწილეობა საქართველოს საელჩოს ჩარევის შედეგად აუკრძალეს.

– ღრმა მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფაქტი სომხეთში მოხდა – ქვეყანაში, რომელსაც აფხაზეთი მეგობრულ სახელმწიფოდ განიხილავს იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთში დიდი სომხური დიასპორაა, მთიანი ყარაბახის რესპუბლიკასთან კი შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს. სომხეთის ხელისუფლების და ტურნირის ორგანიზატორების გადაწყვეტილება რთული გასამართლებელია, – ნათქვამია განცხადებაში.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ მომხდარ ფაქტზე ჟენევის დისკუსიის მორიგ შეხვედრაზე ისაუბრებენ, რომელიც დეკემბერშია დაგეგმილი.

თავისუფალ ჭიდაობაში ტურნირი სომხეთის დედაქალაქში 21-23 ოქტომბერს ჩატარდა და მასში საქართველოს, ირანის, დაღესტნის, ინგუშეთის, ჩრდილოეთ ოსეთის, აზერბაიჯანისა და უკრაინის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის თავისუფალი ჭიდაობის სექციის მთავარი ტრენერის, იგორ ბერაიას განცხადებით, მათ დელეგაციას კარგად დახვდნენ, თუმცა მოგვიანებით უთხრეს, რომ „აფხაზეთის რესპუბლიკა“ ტურნირიდან მოხსნილია, როგორც გაარკვიეს, სომხეთში საქართველოს საელჩოს ძალისხმევის შედეგად. (ნიუპოსტი)

## „ლევან ბერძენიშვილი ცოცხალია და საქართველოში მომდევნო დღეებში დაბრუნდება“



სოციალურ ქსელში „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის, ლევან ბერძენიშვილის გარდაცვალების შესახებ გავრცელებულმა ინფორმაციამ უამრავი ადამიანი დაამწუხრა. მოგვიანებით დაიწერა ისიც, რომ გარდაიცვალა არა ლევან ბერძენიშვილი, არამედ მისი უფროსი ძმა - ფრიდონი.

**„ალია“ დავით ბერძენიშვილს დაუკავშირდა:**

– თუ ლევანის გარდაცვალების ფაქტზე მირეკავთ, ის ცოცხალია და საქართველოში მომდევნო დღეებში დაბრუნდება. ის ახლა სტრასბურგშია. რაც შეეხება გავრცელებულ ინფორმაციას, ბევრმა გაავრცელა ეს ამბავი და მათ შორის ტელეკომპანია „მაესტრომაც“. იმედი მაქვს, აღიარებს, რომ შეცდომა დაუშვა და ბოდიშს მოიხდის, ასე როგორ შეიძლება?!

**მოგვიანებით აჟიოტაჟს სტრასბურგიდან თავად ლევან ბერძენიშვილიც გამოეხმაურა:**

– დღეს შუადღისას გარდაიცვალა ჩემი უფროსი ძმა – ფრიდონ (მამუკა, ფორე) ბერძენიშვილი. მე ცოცხალი ვარ. ბოდიში ყველას, თუ გული გატკინეთ, როდესაც ჩემი სიკვდილის ამბავი გეუწყათ. მეც თქვენსავით ინტერნეტით გავიგე; ოღონდ მას შემდეგ, რაც უცხოეთში საყვარელმა მეგობარმა დამირეკა და ჩემი ხმის გაგონებაზე ცუდად შეიქნა...

**„ალია“ უსამძიმრებს ლევან და დავით ბერძენიშვილებს უფროსი ძმის გარდაცვალებას.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ჩამოდი, მიხეილ, ჩამოდი და აქ ილაპარაკე ეგრე თამამად, შენ ხომ ვაჟკაცი და თავისუფლებისთვის მებრძოლი რაინდი ხარ?!



გავრცელებულ აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა საქართველოს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა:

– თავისუფალი სიტყვის ბოლო ციხესიმაგრის დაცვა საქართველოს ყოფნა-არყოფნისთვის ბრძოლის ტოლფასია. ნურავის გაუკვირდება, რომ მე ამ ბრძოლისკენ მოვუწოდებ ყველას, ვისაც ამის ძალა და შესაძლებლობა შესწევს. თუ გვინდა, რომ საქართველოს მომავალი გააჩნდეს, ჩვენ არ უნდა დავუშვათ პუტინის სცენარით საქართველოში თავისუფალი აზრის ჩახშობა. თუ თავისუფლების ფიზიკურად დაცვა გახდა საჭირო, ჩვენ ამისთვისაც უნდა ვიყოთ მზად. როცა დემოკრატიას კლავენ, მას ფიზიკური დაცვა სჭირდება, ამას გვასწავლის ევროპული დემოკრატიის ისტორია. სწორედ ასე, უხეში ძალის წინაშე მშვიდობიანი წინააღმდეგობით დაიცვა უკრაინელმა ხალხმა საკუთარი თავისუფლება. ჩვენ უნდა ვიყოთ მზად იმისთვის, რომ ივანიშვილის რეჟიმი მოქმედებს იანუკოვიჩის მოდელით, მან უკვე ყველა დაარწმუნა, რომ ყველაფერზეა წამსვლელი. ბოლო განცხადებების ფონზე, უნდა ვიყოთ მზად, რომ ეს პროვინციელი დიქტატორი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ სროლასაც კი არ მოერიდება. მაგრამ, თუ ჩვენ ღირსებას შემართებით დავიცავთ და არ დავთმობთ თავისუფლებას, მისი ხვედრი ზუსტად იგივე იქნება, რაც იანუკოვიჩმა გაიზიარა.

ჩვენ არც ერთ შემთხვევაში არსად არ უნდა შევიჭრათ და არავინ არ უნდა დავამხოთ, მაგრამ თუ მოძალადე ხელისუფლებისგან თავდაცვა გახდება საჭირო, ამისთვისაც მზად უნდა ვიყოთ და არ უნდა მივცეთ მას საშუალება, უხეში ძალით მოკლას თავისუფალი სიტყვა, – ნათქვამია სააკაშვილის განცხადებაში. (ნიუპოსტი)



## სალომე ზურაბიშვილი: „ჩემი აზრით, ესეც მომზადებული მახეა“

პარტია „საქართველოს გზის“ საპატიო თავმჯდომარე, სალომე ზურაბიშვილი გავრცელებულ ჩანაწერებთან დაკავშირებით „ფეისბუკში“ წერს:

– ამ საუბარზე (უკრაინელების მიერ ჩაწერილს თუ თვით მიშას გავრცელებულს) ხელისუფლება თუ რამე რეაგირებას მისცემს, ჩაჯდება კიდევ ერთხელ „ნაციონალების“ მიერ მომზადებულ ყალიბში! გვარამიას რომ დაჰბრალდეს სახელმწიფო გადატრიალების განზრახვა და ამის გამო დაიჭირონ, უკვე მზად ექნებათ ლოზუნგები და დემარშები: „ადამიანის უფლებების დარღვევა“, „მოსმენების აღდგენა“ და ასე შემდეგ და ხელისუფლება კიდევ ერთხელ თავის მართლების რეჟიმზე გადავა!

ამიტომ ჩემი რჩევა ხელისუფლებას: „გაატარეთ“! ეს განგებ ჩაწერილი დიალოგია, არაფერს ნიშნავს თუ არა იმას, რომ ნელ-ნელა ეწურებათ „ნაცებს“ თემები და მსხვერპლის მანტია ეხევათ ტანზე.

ამიტომ ყველაზე სწორი მიდგომა არის სიწყნარე და არაყოლა! არც სამოქალაქო დაპირისპირება გვემუქრება, არც სახელმწიფო გადატრიალება! ჩვენ გვემუქრება მხოლოდ ხელისუფლების შეცდომები და არამდგრადი პოლიტიკა! დანარჩენი არის მოდელირებული რეალობის შექმნის მცდელობა, რომელსაც მხოლოდ ერთი რამე შეუძლია: ხელისუფლებას აურიოს გზა და კვალი და მის გასაკეთებელ საქმიდან გადაიყვანოს უაზრო და უმიზნო ორომტრიალში. (news.ge)

**თავდაპირველი ელდისა და აგრესიის შემდეგ, რომ დავფიქრდეთ, სწორედ ასეა - ახლა ამ ჩანაწერების გამო ამ ვაჟბატონების დაკავება უფრო მეტად დაძაბავს სიტუაციას, ვიდრე დაალაგებს. უბრალოდ, „ქართულ ოცნებას“ აქამდე უნდა გამოეჩინა სიმამაცე და ციხეში ჩაეყარა ყველა დამნაშავე - ლანგარზე მირთმეული ჰყავდა თითოეული მათგანი, მაგრამ გააკეთა რამე? არაფერი, საერთოდ არაფერი!!!**

»»» გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

# ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების დარღვევები აღიარა

## რა შეიცვლება ბანკების მევალეებისთვის?





რატომ გამოაგდეს კვლევა ახლა, არჩევნებიდან 3 წლის შემდეგ, ამ 3 წლის განმავლობაში სწორედ ამ დარღვევებზე ვწერდით და ხმას არ იღებდნენ. რა მოხდა ახლა ასეთი?

ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, ოთარ ნადარაიამ კომერციული ბანკების წარმომადგენლებს 2015 წლის იმ კვლევის შედეგები გააცნო, რომლის მიხედვითაც კომერციული ბანკების მხრიდან საბანკო მომსახურების გაწევისას მომხმარებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების წესის მოთხოვნები მნიშვნელოვანი დარღვევებით მიმდინარეობს.

მისი თქმით, კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ძირითად შემთხვევებში, კომერციული ბანკები მომხმარებლებს ზეპირსიტყვიერად არ აცნობენ ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას, როგორიცაა კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, სავალუტო რისკი და ფინანსური ხარჯები. ასევე მომსახურების გაწევის დროს არ ხდება პრეტენზიის დაფიქსირების შეთავაზება ბანკის მხრიდან. გარდა ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში, მომხმარებელს თავის ინიციატივით, პრეტენზიის დაფიქსირების კუთხითაც შეექმნა პრობლემა. ასევე პრობლემები დაფიქსირდა ხელშეკრულების გადაცემასთან დაკავშირებითაც.

ნადარაიას თქმით, თურმე მათ ორგანიზაციაში 2012 წლის შემდეგ, მთელი 3 წლის გამოტოვებით, ჩაუტარებიათ კვლევა და აი ეს დარღვევები აღმოუჩენიათ. იგი იმასაც ამბობს, ჩვენთან შემოსული საჩივრები და ზარები თანდათანობით მცირდებაო (ტყუილი – ცოტა ქვემოთ გაჩვენებთ, რომ სტატისტიკა საპირისპიროს გვიჩვენებს). თუმცა ამაზე არ იდარდოთ, ბატონი დანელია გვპირდება, ეროვნული ბანკი ინტენსიურ დაკვირვებასა და კვლევებს გააგრძელებს, „დაჟე“, მარეგულირებელ ჩარჩოსაც გავამკაცრებთო.

რატომ დაიწყო ეროვნულმა ბანკმა თავისი პირით იმაზე საუბარი, რაზეც წლებია ვწერთ და ვაკრიტიკებთ? რა შეიცვალა, რა მოხდა ასეთი?

**„ალიას“ ეკონომიკის ექსპერტი, ლია ელიავა ესაუბრა:**

– ეროვნულ ბანკს შემუშავებული აქვს სპეციალური დებულება და ვალდებულია, ამ მხრივ ყველა ბანკი შეამოწმოს. დღეს მომხმარებლები ძირითადად რაზე ჩივიან? მომსახურების უხარისხობაზე, ადმინისტრაციის უხეშობაზე, უპასუხისმგებლობაზე, უყურადღებობაზე, საკომისიოების ჩამოჭრაზე. ასევე, ჩივიან იმაზე, რომ ხშირად რეკლამა სხვაა და რეალობა სხვა, ამიტომ ტყუვდებიან. ხშირად ბანკების თანამშრომლები ატყუებენ მომხმარებლებს და ასე შემდეგ. აღარაფერს ვამბობ საპროცენტო გადასახადებზე, როცა სწორად არ უთვლიან. ასევე, არის პრეტენზიები გადარიცხვებთან დაკავშირებით და ჯარიმებზე. აქვე გეტყვით, რომ მომჩივანთა რაოდენობა პრეტენზიებთან შედარებით, არის ძალიან მცირე.

**— რატომ, ზოგს გასაჩივრება ეზარება და ძალიან ბევრი კიდევ თვლის, რომ შედეგს ვერ მიაღწევს და ტყუილად წვალებას აზრი არ აქვს?**

– ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, კომერციულ ბანკს უჩივლოს ეროვნულ ბანკში, თუ ვერ მიიღებს სათანადო პასუხს, მერე უფლება აქვს, წავიდეს სასამართლოში. ეროვნულ ბანკს დადგენილი აქვს ასეთი ფორმა: შეგიძლიათ, იჩივლოთ წერილობითაც და ზეპირსიტყვიერადაცო. როდესაც ზეპირად ხდება პრეტენზიის გამოთქმა, ბანკი ამას არ აფიქსირებს. ამიტომ, ყოველთვის უკეთესია, საჩივარი დაიწეროს წერილობით. ყველამ აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოს იმას, რას წერენ ხელშეკრულებაში. ხშირად ისე ადგენენ ხელშეკრულებას, თუ ერთი „პოლიტრა“ არ დალიე, ვერაფერს გაიგებ. უკეთეს შემთხვევაში კვალიფიციური იურისტი გჭირდება. უმეტეს შემთხვევაში, დარღვევები უფრო შემოიფარგლება ბანკების „წვრილფეხა“ თანამშრომლების არაკვალიფიციურობით. თუ მათ გადაახტებით და ხელმძღვანელობამდე მიხვალთ, სიმართლის წინაშე მაინც ფარხმალს ყრიან ხოლმე. ზოგს ჰგონია, ბანკებში ყველაფერი საათივით აქვთ აწყობილი, რა არაპროფესიონალიზმიც სხვა სფეროებში სუფევს, იგივე ხდება იქაც. სხვათა შორის, ეროვნული ბანკი მოსახლეობას არ აწვდის ინფორმაციას, რომ ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია, იჩივლოს მათთან და შემდეგ სასამართლოში. თუ ხართ მართალი, ბანკებში ნამდვილად არ სხედან გენიოსი იურისტები, თუმცა ამას სჭირდება ნერვები, დრო, ფული და ასე შემდეგ.

**— რატომ გამოაგდეს კვლევა ახლა, არჩევნებიდან 3 წლის შემდეგ, ამ 3 წლის განმავლობაში სწორედ ამ დარღვევებზე ვწერდით და ხმას არ იღებდნენ. რა მოხდა ახლა ასეთი?**

– რაც ახლა გამოაქვეყნეს, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ირღვეოდა საქართველოს მოსახლეობის უფლებები. ახლა ვნახოთ სტატისტიკა: 2013 წელი – შესულია 2612 საჩივარი, 2014 წელი – 2835 საჩივარი, 2015 წელს, აგვისტოს ჩათვლით არის 1861 საჩივარი. ყოველ შემთხვევაში, წინა წელს მატებაა, წელს რა იქნება, ჯერ არ ვიცით, საიდან დაინახა ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა, რომ სიტუაცია გაუმჯობესებულია? ეროვნული ბანკი ადამიანს ერთხელ აფიქსირებს, თქვენ რომ ათჯერ იჩივლოთ, მაინც ერთხელ დაფიქსირდებით და მეორეც, რამდენმა ადამიანმა ჩაიქნია ხელი, ამას ვერავინ დათვლის. გამოვიდნენ ეროვნული ბანკის ხელმძღვანელები და ხალხს უთხრან, შეგიძლიათ ჩვენთან პრეტენზიებით მობრძანდეთო, ამას რატომ არ აკეთებენ? მარტო იმაზე ლაპარაკობენ, რომ რაღაც კვლევა ჩაატარეს და ცოტაოდენი დარღვევები აღმოაჩინეს.

**— დაბოლოს, ეროვნული ბანკის მხრიდან იმის აღიარებით, რაზეც ჩვენ წლებია ვწერდით, რამე შეიცვლება ბანკებისგან გაწამებული კრედიტორებისთვის?**

– მე ვიძლევი ასეთ რჩევას: ყველა ადამიანმა იცოდეს, რომ როდესაც ბანკში შედის, იქ უნდა არსებობდეს საპრეტენზიო ფორმა. თუ ეს ფორმა არ დევს ხელმისაწვდომ ადგილას, უნდა მოითხოვოთ და ბანკის მესვეურები ვალდებულნი არიან, გადმოგცენ. შეავსეთ, იქ ჩაწერეთ, რა დარღვევებს აქვს ადგილი. ამის შემდეგ ბანკი, ასევე, ვალდებულია, გიპასუხოთ წერილობით. თუ პასუხმა არ დაგაკმაყოფილათ, მიბრძანდით ეროვნულ ბანკში და შეიტანეთ იგივე საჩივარი, თან დაურთეთ ბანკის პასუხის ქსეროასლი.

თუ უხეშად ირღვევა თქვენი უფლებები, არავითარ შემთხვევაში არ დაიხიოთ უკან, არ ჩაიქნიოთ ხელი. მოვეშვათ ქართულ ვარიანტებს: უი, არ ვაწყენინო, მერე რომ მივალ, არ მომემსახურებიან, შეიძლება კრედიტი აღარ მომცენ და ასე შემდეგ. კი, არსებობს შიშის ფაქტორები, როდესაც მიდიხარ ფულის სათხოვნელად, შენ მაინც ხარ დამცირებულ მდგომარეობაში, თუ ცოტა სხვანაირად დაელაპარაკები, სულ ელოდები, რომ სესხზე უარს გეტყვიან. ეს ფაქტორი არსებობს, მაგრამ თუ ღირსება დავკარგეთ, არაფერი გამოვა.

თუკი თქვენ არ მოეწონებით კრედიტ-ოფიცერს, მაგალითად, პიროვნულად, შეუძლია, მიიღოს ერთპიროვნული გადაწყვეტილება და უარით გამოგისტუმროთ. უცხოეთის ბანკებში ასეთი რაღაცები არ ხდება იმიტომ, რომ სესხების გაცემა არის ძალიან გამარტივებული. ადამიანი ემიგრანტიც რომ იყოს, თუ მუშაობის დამადასტურებელი საბუთი აქვს, იმასაც კი აძლევენ. ჩვენთან რომ მძიმე სიტუაციაა სესხების გაცემის მხრივ, ასეთს ვერსად ვერ ნახავთ, აქ თავიდანვე დაკომპლექსებული მიდიხარ, ვაიმე, უარი არ მითხრანო. ეს ხდება იმიტომ, რომ არსებობს ცუდი ზედამხედველი და არსებობს ძალიან ცუდი რეგულირება.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თურქეთში, ოპოზიციური ტელეკომპანიების ოფისების შტურმით აღებას აშშ და დასავლეთი გამოეხმაურნენ



თურქი სამართალდამცველები „კოზა იპეკის“ ჰოლდინგის კუთვნილი ტელეკომპანიების, **Kanalturk**-ისა და **Bugun TV**-ის ოფისებში 28 ოქტომბერს შეჰვიდნენ. შენობებთან შეკრებილი აქტივისტები და მედიის წარმომადგენლები კი, ძალისმიერი გზით დაარბიეს.

თურქეთის ხელისუფლებამ „კოზა იპეკის“ მფლობელობაში მყოფი 22 კომპანიის მართვა ჩაიბარა. ოფიციალური ანკარა ჰოლდინგს აშშ-ში მცხოვრები თურქი ოპოზიციონერის ფეთჰულაჰ გიულენის მხარდაჭერაში ადანაშაულებს. რეიდები 1-ელ ნოემბერს დაგეგმილი, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ფონზე ჩატარდა.

როგორც თურქული გამოცემა „**Today's Zaman**“-ი წერს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯონ კირბიმ, მოვლენების შეფასებისას განაცხადა, რომ აშშ მოუწოდებს თურქეთის ხელისუფლებას, „დაიცვას უნივერსალური დემოკრატიული ფასეულობები“.

ევროპარლამენტის პრეზიდენტმა მარტინ შულცმა მომხდართან დაკავშირებით ღრმა შეშფოთება გამოთქვა. „თავისუფალი მედია – დემოკრატიის ქვაკუთხედია“, – აღნიშნა მან „ტვიტერის“ საკუთარ მიკრობლოგში.

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, კეტრინ ეშტონის პრესმდივანმა მაია კოსიანჩიჩმა განაცხადა, რომ ევროკავშირი „ყურადღებით აკვირდება“ „კოზა იპეკის“ ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისარმა ნილს მუიჟნიეკსმა კი, „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე აღნიშნა, რომ თურქული პოლიციის რეიდები „საგანგაშო ილუსტრირებაა იმ სახიფათო გზის, რომელიც თურქეთმა ბოლო თვეებში, მედიის თავისუფლების მიმართ საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად აირჩია“.

შეშფოთება გამოთქვა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ან ბრასერმა და დაინტერესებულ მხარეებს მოუწოდა, პატივი სცენ დემოკრატიულ სტანდარტებს და თავი აარიდონ დაძაბულობის ესკალაციას, რათა არჩევნები თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარდეს. (ინტერპრესნიუსი)

## 9 სახელმწიფო ნატო-ს რეგიონში ალიანსის სამხედრო ძალების გაფართოების თხოვნით მიმართავს




ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 9 სახელმწიფო ნატო-ს, რეგიონში ალიანსის სამხედრო ძალების გაფართოების თხოვნით მიმართავს. როგორც „ბიბისი“ იტყობინება, ამის შესახებ რუმინეთის პრეზიდენტმა კლაუს იოჰანისმა განაცხადა.

მისი თქმით, ევროპისა და ნატო-ს აღმოსავლეთ საზღვრებზე უსაფრთხოების ზომების გაძლიერებაა საჭირო.

რუმინეთის გარდა, აღნიშნულ ინიციატივას ბულგარეთმა, ჩეხეთმა, სლოვაკეთმა, უნგრეთმა, ესტონეთმა, ლატვიამ, ლიტვამ და პოლონეთმა დაუჭირეს მხარი.

აღნიშნული ქვეყნები ნატო-ს ხელმძღვანელობას ოფიციალურ მიმართვას 4 ნოემბერს, ალიანსის სამიტზე გადასცემენ. (ინტერპრესნიუსი)

## „ადვოკატს, ვინც სარჩელი დაწერა, წესით, ლიცენზია უნდა ჩამოართვა, იმიტომ, რომ დაწერილია ოროსნის მიერ“



ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გარშემო განვითარებულ მოვლენებს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებიც გამოეხმაურნენ. „თავისუფალი საქართველოს“ თავმჯდომარე კახა კუკავა აცხადებს, რომ ხელისუფლებას ამ საქმეში უკან დახევა მოუწევს.

„ამაზე მეტყველებს მთავრობის სხდომაზე ღარიბაშვილის უკვე ნახევრად ბოდიშის ტონით საუბარი, აგრეთვე დასავლეთში გაკეთებული სხვადასხვა განცხადებაც ამაზე მეტყველებს.

რაც შეეხება იმ სარჩელს, რომელიც შეტანილია „რუსთავი 2“-ის წინააღმდეგ, თავი რომ დავანებოთ მის შინაარსს, ადვოკატს, ვინც სარჩელი დაწერა, წესით, ლიცენზია უნდა ჩამოართვა, იმიტომ, რომ დაწერილია ოროსნის მიერ“ – განაცხადა კუკავამ. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## „როგორც ჩანს, ღარიბაშვილი არ იყო საქმის კურსში, რომ ამ ყველაფრის უკან იდგა ბიძინა ივანიშვილი“




„ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერის მანანა ნაჭყებიას განცხადებით, „გაზპრომი“ ქვეყნის ინტერესებისთვის საფრთხეს წარმოადგენს და ეს ხელისუფლებამ კარგად უნდა გააცნობიეროს.

ნაჭყებია მიიჩნევს, რომ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება, თუნდაც დამატებითი მოცულობების მიღების მიზნით, ძალიან სახიფათოა საქართველოს უსაფრთხოებისთვის.

– „გაზპრომთან“ დაკავშირებით გამართულ სპეციალურ ბრიფინგზე საგანგებოდ ამოვწიე წლების განმავლობაში „ახალი მემარჯვენეების“ ძველი პრესკონფერენციები, დაწყებული 2005 წლიდან, როდესაც ამ თემამ აქტუალობა შეიძინა. გახსოვთ, ალბათ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“, რომელიც დღეს თითქოს ფლაგმანად გვევლინება, რომ არ უნდა გაიყიდოს სტრატეგიული ობიექტები, გაზსადენი, მაშინ აპირებდა მაგისტრალური გაზსადენის გაყიდვას. მაშინ თითქოს ბატონ ბენდუქიძესა და „ნაციონალური მოძრაობის“ სხვა წევრებს არ ჰქონდათ არანაირი შიშები იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლოა, სტრატეგიული ობიექტების რუსეთზე მიყიდვა, საქართველოს უსაფრთხოებისთვის საშიში ყოფილიყო. იქიდან მოყოლებული „ახალი მემარჯვენეები“ არ ვიცვლით პოზიციას. დღესაც ვთვლით, რომ რუსეთზე ენერგოდამოკიდებულება, ასეთი ტიპის გარიგებებზე წასვლა, თუნდაც დამატებითი მოცულობების მიღების მიზნით, არის ძალიან სახიფათო საქართველოს უსაფრთხოებისთვის. ამ მოლაპარაკებების პოლიტიკურ დატვირთვაზე ისიც მიანიშნებს, რომ მილერი, რომელიც ხელმძღვანელობს „გაზპრომს“ და ის არასდროს ხვდება ქვეყნების ვიცე-პრემიერებს, ხვდება მხოლოდ ქვეყნის პირველ პირებს, მოიცალა და შეხვდა კახა კალაძეს. ცხადია, რუსეთს აქვს ამით პოლიტიკური დატვირთვა, მისი ყოფნის გახანგრძლივება საქართველოში და საქართველოს ჩაგდება ხელში ეკონომიკური ბერკეტებით და შემდეგ სხვა ბერკეტებითაც, სამწუხაროდ, – აცხადებს მანანა ნაჭყებია.

მისივე თქმით, ყველა პოლიტიკური ძალა, რომელიც ფიქრობს მომავალზე, ვალდებულია, გაამახვილოს ყურადღება ამაზე.

– ნებისმიერი ექსპერტი, რომელიც, ასევე, კარგად აფასებს და იცის ამ სფეროში შექმნილი რეალობა, ვფიქრობ, უნდა ამოვიდეს ქვეყნის ინტერესებიდან და არა ეკონომიკური მოსაზრებებიდან. ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები იყო. ერთი განცხადება გააკეთა ღარიბაშვილმა, მეორე – კალაძემ. როგორც ჩანს, ღარიბაშვილი არ იყო საქმის კურსში, რომ ამ ყველაფრის უკან იდგა ბიძინა ივანიშვილი. სწორედ ბიძინა ივანიშვილის დავალებებს ასრულებს კახი კალაძე. შემდეგ თითქოს ყველაფერი დალაგდა და ასე შემოგვაპარეს „გაზპრომის“ თემა, რომელიც სახიფათოდ მიმაჩნია ქვეყნის ინტერესებისთვის, – განაცხადა ნაჭყებიამ. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## „ISIS“ კავკასიელ „ძმებს“ ამხნევებს და რუსეთს ემუქრება: „რუსებო, მოვდივართ“

„ისლამური სახელმწიფო“ კავკასიაში მიმდინარე „ჯიჰადის“ მონაწილეებს ამხნევებს და გამარჯვებას ჰპირდება, რუსეთს კი სწრაფი დასასრულით ემუქრება.

– არავისთვისაა საიდუმლო, რომ კავკასიაში ჯიჰადი ყველაზე რთულია, ბევრი მიზეზის გამო, თუმცა ეს არანაირად არ ასუსტებს ჩვენს ძმებს - პირიქით, ეს ჰმატებს მათ მიზანდასახულობას, სიძლიერესა და სიმხნევეს ამ გზაზე. ეს იმიტომ, რომ არავის აქვს არც ძალა, არც სიძლიერე არავისგან, გარდა ალაჰისა. ძმებო, თქვენი გამარჯვება მართლაც ახლოსაა, ვინაიდან უკვე აღსრულდა ალაჰის ყურანისეული დაპირება და თუ თქვენ დაეხმარებით ალაჰს, ისიც დაგეხმარებათ თქვენ და გაგაძლიერებთ. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ვილოცოთ, შევქმნათ მიზეზები, გამოვიჩინოთ მოთმინება.




რაც შეგეხებათ თქვენ, რუსებო, რეალურად, თქვენ ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებთ, რაში ჩაერიეთ, რა ომია ეს და რა გელით მომავალში. თქვენ აგზავნით აქ თქვენს ხალხს და ტექნიკას, გსურთ რა, გვიჩვენოთ, თითქოს შეგიძლიათ, აწარმოოთ ბრძოლა ყველა მიმართულებით, თუმცა ჩვენ ხომ ვიცით თქვენი სისუსტეები; ჩვენ ხომ ვიცით, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ამ ომის დასრულება კავკასიაში უკვე ასწლეულების განმავლობაში! და ჩვენ გეუბნებით, რომ სულ მალე თქვენ აქ იქნებით მოკლულები, თავმოჭრილები, ტყვედ აყვანილები, ან უკან გაბრუნდებით, როგორც ყველა სხვა ძაღლისშვილი. ძალიან მალე ეს ომი უკვე პირადად თქვენ და თქვენს ოჯახებს შეეხება. რუსეთი ყოველ ჯერზე ცდილობს, ჩააქროს ალაჰის სინათლე, მაგრამ ეს არ გამოსდის და არც გამოუვა. რუსებო, მოვდივართ! – ნათქვამია ვიდეომიმართვაში, რომელიც ინტერნეტით გავრცელდა. (accent.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „იმედმა“ პანღურით გამომაგდო სამსახურიდან — ინგა გრიგოლია



ჟურნალისტი ინგა გრიგოლია სოციალურ ქსელში ავღანეთში ვიზიტს იხსენებს და ამბობს, რომ იქიდან დაბრუნების შემდეგ „იმედმა“ პანღურით გამოაგდო.

– ფილმს აკეთებს იმედა დარსალია და ალგეთში სამხედრო პოლიგონზე ავღანეთზე ვსაუბრობდით და მთელი დღე ამეკვიატა მერე ეს ფიქრი... თინა ხიდაშელის პირველი უცხოური ვიზიტი თავდაცვის მინისტრის რანგში ავღანეთში შედგა, იქ მყოფ ქართველ ჯარისკაცებთან... უსერიოზულესი ვიზიტი ჰქონდა თინას. ძალიან მაგარი. მისი ვიზიტი დაემთხვა იმ დღეებს, ქაბულში თალიბების მიერ ზედიზედ რამდენიმე ტერაქტი რომ განხორციელდა. მოკლედ, ძალიან დიდი რისკი იყო მისი იქ ჩასვლა და ბუნებრივია, დელეგაციისაც, ვინც მინისტრს ახლდა, მათ შორის ვიყავი მეც, ვაშუქებდი თინას ჩასვლას ავღანეთში და იქ მყოფი ჩვენი ბიჭების ავღანურ ცხოვრებას. ძალიან საინტერესო რეპორტაჟი გამოვიდა. ჰოდა, ავღანეთიდან ჩამოსვლიდან ორ თვეში „იმედმა“ პანღურით გამომაგდო სამსახურიდან.

...თითქოს ქაბულიდან კი არა, სამტრედიაში, ბებიაჩემის სოფლიდან ვიყავი დაბრუნებული. აი, სად შეიძლებოდა ჟურნალისტს სხვაგან დამართნოდა ეს ამბავი (ავღანური დღეების მერე!!!). კი არაფერი, მაგრამ დღეს, ალგეთის გადაღებებისას, გამახსენდა ეს ამბავი ერთხელ კიდევ და ველარ მოვიშორე ეს აზრი.

**P.S. არ ვწუწუნებ, უბრალოდ, დღევანდელმა გადაღებებმა გამახსენა, როგორ უფასებენ არცთუ იშვიათად ჟურნალისტებს ასეთ შრომას... — წერს გრიგოლია.** (ნიუპოსტი)

## ბენდუქიძის „საიდუმლო“ ქალიშვილმა მის ქვრივთან მილიარდიანი ქონებისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა



ბრიტანული **The Telegraph**-ის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ანასტასია გონჩაროვამ, რომელიც თავს კახა ბენდუქიძის შვილად აღიარებს, შეინარჩუნა უფლება, რომ საკუთარი წილისთვის ბრძოლა გააგრძელოს. ლონდონის სასამართლომ დეენემის ტესტის ჩატარების ნებართვა გასცა, ტესტის მასალები მოსკოვში გაიგზავნება.

შეგახსენებთ, ბენდუქიძის ქონებასთან დაკავშირებით სასამართლო დავა კახა ბენდუქიძის ქვრივს, ნატალია ზოლოტოვასა და ანასტასია გონჩაროვას შორის მიმდინარეობს. ანასტასია გონჩაროვა ამტკიცებს, რომ კახა ბენდუქიძე მისი ბიოლოგიური მამაა.

კახა ბენდუქიძე 2014 წლის 13 ნოემბერს 58 წლის ასაკში ლონდონში გარდაიცვალა, მას შემდეგ, რაც ერთი კვირით ადრე ციურიხში გულის ოპერაცია გაიკეთა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## რუსთავში ავტომობილი ხევში გადავარდა — არის მსხვერპლი




რუსთავში ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა გოგონას სიცოცხლე ემსხვერპლა. არსებული ინფორმაციით, „მერსედესის“ მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ხევში გადავარდა. გოგონა ადგილზე გარდაიცვალა, ავტომობილში მყოფი 4 ადამიანი კი საავადმყოფოშია მოთავსებული. (ნიუპოსტი)

## მამაძაღლობა წლების მანძილზე „ქართული ოცნების“ დუმილი და უმოქმედობაა, თორემ „ნაცები“ რაზე წამსვლელებიც არიან, ეგ ვიცით!



რეჟისორი გოგა ხაინდრავა უკრაინული სააგენტოს მიერ გავრცელებულ აუდიოჩანაწერებს აფასებს. მისი თქმით, არაფერი ფარული და ახალი ამ ჩანაწერებიდან არ გამოიკვეთა, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ ქვეყანაში დესტაბილიზაციას დიდი ხანია გეგმავს და რაღაცით გაოცება, თითქოს საზოგადოებამ ან ჟურნალისტებმა ეს ყველაფერი პირველად გაიგეს, არაადეკვატურია.

– არაფერი ფარული ამაში არ არის. ეს კაციჭამიები დიდი ხანია დესტაბილიზაციას გეგმავდნენ. რა არის ამაში ფარული, გამაგებინეთ? რამდენი ხანია მიხეილ სააკაშვილი და მისი თანამოაზრეები ქვეყანას აუბედურებენ.

ამას მხოლოდ პრესა უწევს ანტურაჟს. რით ვერ დაინახა საზოგადოებამ ის მკვლელობები, იური ვაზაგაშვილის, გირგვლიანის, რობაქიძის მკვლელობები. გეკითხებით, არის ამაში რაიმე ფარული?

მიხეილ სააკაშვილი პირდაპირ აკონტროლებს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-სა და „ნაციონალურ მოძრაობას“. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას ამას წერტილი და შეწყდეს „ნაციონალური მოძრაობის“ ბოგინი, – განაცხადა ხაინდრავამ. (რეპორტიორი)

**ჰმ, ნეტა ვის ეუბნებით ამას, ბატონო გოგა, ხალხს? ხალხმა უნდა დაუსვას წერტილი „ნაცმოძრაობას“? ჰო, პრინციპში, „ოცნება“ ყურებს არ იწმენდს და სწორედ აქეთ მიჰყავს საქმე, სხვას უნდა ხელები შეაწმინდოს და ევროპასთან თავი იმართლოს - აი, ჩვენ რა შუაში ვართ, ხალხმა გამოუტანა განაჩენი იმ ოღრაშებსო. იმას კი არ ფიქრობენ, რომ არც თავად დაადგებათ კარგი დღე!**

## წესით, ამაზრზენი კადრებისა და ჩანაწერების გარეშეც კი უნდა დაესვა წერტილი „ოცნებას“ „ნაცმოძრაობისთვის“, მაგრამ...



მცხეთა-მთიანეთის ყოფილი გუბერნატორი ვასილ მაღლაფერიძე უკრაინული სააგენტოს მიერ გავრცელებულ აუდიოჩანაწერებს აფასებს. მაღლაფერიძის განცხადებით, საზოგადოების ყველა წევრისთვის ახლა მაინც უნდა გახდეს ნათელი, რა ბინძური მიზნები აქვს მიხეილ სააკაშვილსა და „ნაციონალურ მოძრაობას“ ხელისუფლებაში დასაბრუნებლად.

მაღლაფერიძე უკრაინელ ხალხს მიმართავს და აღნიშნავს, რომ ოდესის ოლქის გუბერნატორმა, სულ მცირე, ბოდიში მაინც უნდა მოიხადოს თავისი ამომრჩევლების წინაშე.

– ახლა, წესით, ყველაზე ტენდენციური ადამიანისთვისაც ნათელი უნდა გახდეს, რა მიზნები აქვთ სააკაშვილსა და მის ბანდას, რომელთაც შიში, ტერორი და „ბეზპრედელი“ დანერგეს საქართველოში და ახლაც მორიგ სისხლისღვრას გეგმავდნენ, რათა ამ გზით ისევ თავზე დასჯდომოდნენ თავის ერს.

წესით, უცხოელმა პოლიტიკოსებმა, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ ფანებად ჩამოყალიბდნენ, ახლა მაინც, ობიექტურად უნდა შეაფასონ, ვის ბრმა იარაღადაც იყვნენ გადაქცეულები წლების განმავლობაში.

რაც შეეხება ტრაგიკომიკურ მდგომარეობაში აღმოჩენილ უკრაინის ხელისუფლებას, რომლის მაღალჩინოსანიც საქართველოში სისხლისღვრას გეგმავდა, საკუთარ მოსახლეობას უნდა მოუხადოს ბოდიში, ასეთი ავანტიურისტების იმპორტირებისთვის, – აღნიშნავს მაღლაფერიძე. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# რატომ ქრებიან ათონის მთიდან ბერები

ათონის მთაზე ბევრი მონასტერია, მათ შორის ბერძნული, რუსული, ბულგარული, სერბული, რუმინული, არის სკიტი, სენაკი და კალივი (დაყუდებულ მეუდაბნოეთა სამყოფელი). ნახევარკუნძულზე ბერ-მონაზვნების გარდა არავინაა და საუკუნეებია ასეა. დაახლოებით ათასი წელია, იქ ქალს ფეხი არ დაუდგამს (მდედრობითი სქესის ცხოველებსაც ეკრძალებათ იქ ასვლა).



წმინდა მთას ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მეორე და უმთავრეს წილხვედრს უწოდებენ. მრავალი საუკუნეა, ამ მთაზე ქალის ასვლა აკრძალულია. გადმოცემით, რომის იმპერატორ კონსტანტინე პლაკიდას ცოლმა ათონზე ასვლა გადაწყვიტა. მეუღლის თანხმობის მიღების შემდეგ, პლაკიდა ათონზე ვატოპედის მონასტერში მივიდა, მაგრამ ზეციდან მრისხანე ხმა მოისმა, რომელიც უბრძანებდა, სასწრაფოდ დაეტოვებინა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სავანე.

ათონის მახლობელ ქალაქ ურანოპოლისის მკვიდრნი იმის შესახებ ჰყვებიან, როგორ უჭრის გზას უხილავი ძალა ათონის მთისკენ მიმავალ ქალებს. მაგალითად, მიცურავს მეთევზეთა ნავი, რომელზეც ძმები დასთან ერთად არიან. ქალიშვილმა ათონის მთასთან მისვლა ითხოვა, მაგრამ როგორც კი ნავიდან გადმოვიდა, ფერდობიდან ქვებმა დაიწყო ცვენა. შეშინებულმა მენავეებმა სწრაფად გაცურეს ზღვაში. არც კოლოების თავდასხმაა გამორიცხული. ამის მხილველი არც ერთი ქალი აღარ მოისურვებს, რომ წმინდა მიწაზე ფეხი დაადგას, სადაც ათასი წლის განმავლობაში ქალთაგან მხოლოდ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი იმყოფებოდა.



1941 წელს ღირსი პეტრე ათონელის კელიიდან ბერი გაქრა. თავის ორ მორჩილს უთხრა, რომ კუნძულ სამოსზე მიდიოდა, მაგრამ მის კვალს ვერსად მიაგნეს, ვერც მკვდარი იპოვეს და ვერც ცოცხალი.

დაახლოებით 1984 წელს ივერიის სკიტის კელიიდანაც გაქრა ბერი სერგი, ფრიად ღვთივსათნო, მდუმარე და ქველმოქმედი მოღვაწე. მისი კელიის კარი დიდი ხნის განმავლობაში ღია იყო.

„ვატოპედის მონასტრის კელიიდან გაქრა აგრეთვე ბერი ნექტარიოსი, იგი ვერც ცოცხალი იპოვეს და ვერც მკვდარი, – წერს ბერი ვლასი, – და კიდევ ორი ბერი – ნიკოდიმოსი ქსენოფონტის სკიტიდან და მარტინიანი კაპასალიდან; და ვერც მათ კვალს მიაგნეს სადმე“.

ბერები ამ გაქრობას ათონის სხვა დიდ საიდუმლოს უკავშირებენ, ე.წ. „უხილავ მოსაგრეებს“. წმიდა მთაზე ასეთი თქმულებაც არსებობს: როდესაც ვინმე იკარგება, ამბობენ: იგი „უხილავმა მოსაგრეებმა“ წაიყვანესო.

ვინ არიან „უხილავი მოსაგრეები“? ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთნი ვარაუდობენ, ძველი წმინდანები არიან, რომლებიც ოდესღაც მოღვაწეობდნენ წმინდა მთაზე, ახლა კი ხალხს ეცხადებიან. მეორენი საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, თითქოს ისინი თანამედროვე მოღვაწეები არიან, რომლებიც ათონის უშორეს და მიუდგომელ გამოქვაბულებში ცხოვრობენ, სამყაროსგან განცალკევებით, რათა განუწყვეტლად იმყოფებოდნენ ღმერთთან. ისინი „უხილავნი“ იმიტომ გახდნენ, რომ სხვა შემთხვევაში მათი გამოქვაბულები არა მხოლოდ კეთილკრძალული მონაზვნებით გაივსებოდა, არამედ ცნობისმოყვარე უცხოელი ტურისტებითაც.

ძველი გადმოცემა გვამცნობს, რომ XIX საუკუნის დასაწყისში უცნობ მოსაგრეებს თავისთან იღებდა ბერი ქრისტოფორი იანაკოპულის კალივიდან. „უხილავი მოსაგრეები“ მისგან ქრისტეს წმიდა საიდუმლოებებს ეზიარებოდნენ.

გადმოცემის თანახმად, „უხილავი მოსაგრეები“ შვიდნი იყვნენ. ისინი ათონის გამოქვაბულში ცხოვრობდნენ. როდესაც ერთ-ერთი მათგანი გარდაიცვლებოდა და ექვსნი რჩებოდნენ, მაშინ რაღაც საიდუმლო სახით მთიდან მოდიოდა სხვა სათნო ბერი, იკავებდა გათავისუფლებულ ადგილს და ისინი კვლავ შვიდნი ხდებოდნენ“.

1835 წელს ათონის მთაზე რამდენიმე მონადირე უცნობ, მოხუც ბერს შეხვდა, რომელთანაც ისაუბრეს. მან მონადირეებს უთხრა, რომ მასთან ერთად გამოქვაბულში კიდევ ექვსი ღრმად მოხუცი ბერი ცხოვრობდა. როდესაც მონადირეებმა ამის შესახებ წმიდა ანას სკიტში მყოფთ მოუთხრეს, ადგილობრივმა ბერებმა საგზალი აიღეს და უცნობ მოსაგრეთა საძებნელად გაემართნენ, მაგრამ ვერავის მიაგნეს.

ერთ ლიბანელს ათონზე ასვლა სურდა, მაგრამ გზა დაებნა და ვიღაც უცნობ ბერს შეხვდა, რომელიც მას ლეღვით გაუმასპინძლდა. როდესაც ამის შესახებ წმინდა ანას სკიტში მყოფთ უამბო, ბერები უცნობი მოღვაწის საძებნელად წავიდნენ, მაგრამ ვერავინ ნახეს.

კვიპროსის კიკოსის მონასტრის ბერდიაკონი ეფრემი ერთხელ, ათონის მთაზე ყოფნის დროს, დიონისიატის მონასტრიდან წმინდა პავლეს მონასტერში მიდიოდა და ბილიკზე უცნობ მოღვაწეს შეხვდა. ისინი შეჩერდნენ, ერთმანეთს მიესალმნენ და საუბარი დაიწყეს. უცნობი მოსაგრე ძველი კაბით იყო შემოსილი, გრძელი წვერი კი ქამარში ჰქონდა ჩატანებული. ახალგაზრდა კვიპროსელმა რამდენიმე შეკითხვა დაუსვა ზიარების შესახებ. ბერმა მას უპასუხა. შემდეგ თითოეული თავის გზაზე წავიდა. რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ ეფრემი მობრუნდა, რათა კიდევ ერთხელ შეეხედა მოხუცი ბერისთვის, მაგრამ მხოლოდ ველური ბუჩქები და ცარიელი ბილიკი დაინახა.



ცნობილი მოღვაწე ბერი პაისი ათონელი, აგრეთვე, ამბობდა, რომ ათონზე არცთუ ცოტა უცნობი წმინდა ბერია, რომლებიც ხალხს თავიანთ ადგილ-სამყოფელს უმალავენ.

„ნებისმიერ შემთხვევაში, თუკი „უხილავი მოღვაწენი“ მართლაც არსებობენ, – წერს ბერი ვლასი, – მთელი სამყარო უნდა ხარობდეს, რამეთუ მათი ლოცვით შეჩერებულია ღვთის სამართლიანი რისხვა (ჩვენი ცოდვების გამო) ადამიანთა მოდგმაზე“.

ძნელია, „უხილავ მოსაგრეებზე“, ათონის მთის უდიდეს საიდუმლოზე რაიმე თქვა, მართლაც არიან თუ არა ისინი, ეს მხოლოდ ყოვლისმხილველმა უფალმა უწყის. სამაგიეროდ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ XX საუკუნეში წმინდა მთაზე ერთი ბერი მოღვაწეობდა, რომელიც თავისი სიწმინდით ათონელთათვის ჭეშმარიტად იყო „უხილავი მოსაგრე“, მაგრამ ათონელი მამები ვერ ხედავდნენ ამას. იგი ყველას ჩვეულებრივ მშრომელ ბერად მიაჩნდა, ის კი ლოცვით იმ წმინდა მამებს მიემსგავსა და უფალს მთელი კაცობრიობისთვის ევედრებოდა. ეს წმინდა სილუან ათონელი გახლდათ. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

# შოუბიზნესური ნათელმირონობა — ცნობილი ნათლიების ცნობილი ნათლულები

## ცნობილ ადამიანებს ერთმანეთთან ნათელმირონობა აკავშირებთ. ვინ ვისი ნათლიაა?

### თამრიკო ჭოხონელიძე

მომღერალი თამრიკო ჭოხონელიძე ბიძინა ივანიშვილის ვაჟის, ბერას ნათლიაა. ბერა მომღერალმა პატარა ასაკში მონათლა. როგორც თავად ამბობს, ბოლო დროს საკუთარ ნათლულთან ხშირი ურთიერთობა აღარ აქვს.

### კოტე თოლორდავა

ყველასთვის საყვარელი მსახიობი კოტე თოლორდავა, რომელიც რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა, მსახიობ ლევან ყოჩიშვილის ვაჟის ნათლიაა. ლევანი და კოტე უნივერსიტეტიდან მეგობრობდნენ და ბოლოს დანათესავდნენ კიდეც. ერთად თამაშობდნენ სერიალში „ჩემი ცოლის დაქალები“.

### თიკა ჯამბურია, ნინი ქარსელაძე და დოი

მომღერალი თიკა ჯამბურია ლელა წურწუმიასა და „მამულიჩას“ ქალიშვილის, მარიკოს ნათლიაა. თიკამ პატარა მარიკო რამდენიმე წლის წინათ მონათლა. მაშინ თავადაც ბავშვი იყო. თიკას და ლელა წურწუმიას ოჯახს დღემდე ახლო ურთიერთობა აქვთ. მარიკოს ნათლიები არიან ნინი ქარსელაძე და დათო დოიაშვილი.



### ეკა ანდრონიკაშვილი

მსახიობი ეკა ანდრონიკაშვილი დუტა სხირტლაძის ქალიშვილის, სოფოს ნათლიაა. ეკას კიდევ ერთი ნათლული მსახიობი თამუნა ბუხნიკაშვილია. ეკას სულ ოთხი ნათლული ჰყავს და ნათლისღების დღესასწაულზე ხშირად მასპინძლობს მათ.

### ნინი ბადურაშვილი

ნინი ბადურაშვილის ნათლიები თამრიკო ჭოხონელიძე და მაია ჯაბუა არიან. როგორც ნინი ამბობს, რაც ეკა ახსოვს, იმ დროიდან ახსოვს თამრიკო და მაია, მისი მეორე დედები არიან. როგორც ნინიმ ერთ-ერთ გადაცემაში განაცხადა, სიმღერის გარდა, თამრიკო ჭოხონელიძისგან მას ტრავმებიც დაენათლა, რადგან ხშირად იღებს სხვადასხვა სახის ტრავმებს და ტრავმატოლოგიურში ნაცნობი სახეა. ცნობილი ნათლიები ჰყავს ნინის ქალიშვილს, ელენე კუტალაძეს. მისი ნათლიები ქრისტინე, ქეთა, სალომე გოგიაშვილი და თაკო გაჩეჩილაძე არიან.

### ბერა ივანიშვილი

ბერა ივანიშვილს რამდენიმე ნათლული ჰყავს, მისი ნათლულები არიან კახი კალაძის უფროსი ვაჟი ლევანიკო და ირაკლი ღარიბაშვილის პატარა გაბრიელი. პატარა ლევანიკო 2011 წელს გაქრისტიანდა, პრემიერ-მინისტრის ვაჟი კი რამდენიმე თვის წინ მოინათლა. (ambebi.ge)

# „ეს პროცესი არის ფარსი და ცირკი“ — ფეისბუკდაპირისპირება ხალვაშსა და „რუსთავი 2“-ის დამცველებს შორის

ტელეკომპანია „კავკასიის“ გენერალური დირექტორის, ნინო ჯანგირაშვილის პოსტს სოციალურ ქსელში დიდი გამოხმაურება მოჰყვა:

„მაინტერესებს: რომ გამოვიდე და ოფიციალურად განვაცხადო, რომ რაღაც კომპანია მილიონ დოლარად ვიყიდე, დოკუმენტურად და ბუღალტრულად კი მხოლოდ 50 000 დოლარის გადახდა მქონდეს დაფიქსირებული, არ დამიჯერებთ?“ – დაწერა ჯანგირაშვილმა. მის პოსტს ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში გამოეხმაურა.

**ქიბარ ხალვაში:** „ყველას დაიჯერენ და მეც დამიჯერენ. მაგათთან ერად ჯდომა სამოთხეა“.

**ნინო ჯანგირაშვილი:** „ღმერთმა დაგიფაროთ, ბატონო ქიბარ, უბრალოდ მიკვირს, რატომ არ გეშინიათ არაოფიციალური თანხების მიმოქცევაზე ასე ხმამაღლა რომ საუბრობთ“.

**ქიბარ ხალვაში:** „ტყუილს ხომ არ ვილაპარაკებ, ზოგიერთებივით“.

**ნინო ჯანგირაშვილი:** „ეგ კარგია. მაგრამ თქვენდამი დიდი პატივისცემის მიუხედავად, მაინც ვფიქრობ, რომ ხელისუფლების მხარდაჭერა გაქვთ ამ საქმეში. ეგ მაწუხებს, თორემ თქვენ გისურვებთ თუნდაც ხუთი ტელევიზია გქონდეთ, ხუთივე ერთმანეთზე უკეთესი“.

**ქიბარ ხალვაში:** „ხელისუფლების მხარდაჭერა რომ მქონოდა, აქამდე დავიბრუნებდი. და კიდევ ბევრ რამეს მოვაწყობდი. არ სცალიათ მაგათ სხვისი პრობლემებისთვის. აქამდე რა უშლიდა ხელს მხარი რომ დაეჭირათ?.. და კიდევ პრეზიდენტი გადაირია გუშინ, არა, მე მოგეხმარებიო“.

**ნინია კაკაბაძე:** „და ეგ 7 მილიონი თქვენ გადაიხადეთ საკუთარი ჯიბიდან?“

**ნინია კაკაბაძე:** „რამ გაიძულათ ამხელა ფულის გადახდა წამგებიან ბიზნესში?“

**ნინო ჯანგირაშვილი:** „ბატონო ქიბარ, კარგად ვიცი თქვენი მძიმე ისტორია და მართლა გისურვებთ, რაც უკანონოდ დაკარგეთ, ყველაფერი დაიბრუნოთ. თუმცა გული მწყდება, რომ „რუსთავი ორის“ საქმეში პირადად თქვენ მონაწილეობთ. იმედია, თქვენც „ნაციონალების“ მხარდამჭერად და „რუსთავი ორის“ ფანად არ მთვლით. ამიტომ გულწრფელად გეუბნებით: ძალიან საშიში პროცესი მიდის ქვეყნისთვის. ხელისუფლება ვერ აცნობიერებს, რა მძიმედ შეიძლება შემოუბრუნდეს მასაც და ქვეყანასაც ეს საქმე. არ მგონია, თქვენც რამეში გჭირდებოდეთ იმიჯის შელახვით დაბრუნებული „რუსთავი“. წარმატებას გისურვებთ ზოგადად, მაგრამ არა „რუსთავი 2“-ის საქმეში“.

**ქიბარ ხალვაში:** „მე არ ვთვლი ჩემი იმიჯი ამით შეილახება, მე სხვა გზა არ დამრჩა. მარტო ტელევიზია კი არა, კიდევ ბევრი რამე გამინადგურა პირადად სააკაშვილმა, რომლის საკუთრებაშიც არის „რუსთავი 2“, პლუს რვა წელი ემიგრაცია. არავითარი უხერხულობის გრძნობა არ გამაჩნია, ნეტა კიდევ ბევრ რამეს მივწვდე.“

**ნინია კაკაბაძე:** „ბევრი რამე თუ გაგინადგურათ, რაღა წამგებიან ბიზნესს მიადექით? თუ ფული არ გაინტერესებთ?“

**ქიბარ ხალვაში:** „და კიდევ, თუ გავიმარჯვებ, დამიჯერეთ, ძალიან მაგარ რამეს გავაკეთებ. და აქ რომ მოქილიკეები არიან, ცხოვრებაში არაფერი არ უკეთებიათ, მაგრამ სხვისი საქმის პროფესორები არიან, იმათაც არ ექნებათ ბევრი სალაპარაკო“.



**ქიბარ ხალვაში:** „წარმატებებს გისურვებთ, და ნუ შეეცდებით სხვისი ნერვების, ბედისა და შეცდომების ხარჯზე ძალიან „მაგრობას“. ღამე მშვიდობისა, სიკეთესა და წარმატებებს გისურვებთ“.

**ნინია კაკაბაძე:** „როგორ არა, მე ვაკეთებდი „რუსთავი 2“-ზე, კვირის გადაცემაში კრიტიკულ სიუჟეტებს თქვენი მფლობელობის დროს და გამომიშვეს“.

**ნინო ჯანგირაშვილი:** „თუ ბოლო რეპლიკა მე მეხება, გარწმუნებთ, ძალიან მაგრობას კი არა, იმას ვცდილობ, ხელისუფლებამ კიდევ არ აფათუროს ხელი მედიაში და კიდევ ერთხელ არ დაალაგოს თავისი გემოვნების მიხედვით სატელევიზიო სივრცე. მგონი, ცოტა უსამართლოა ჩემთვის იმის თქმა, რომ ვინმეს ხარჯზე რამეს ვცდილობ. აღარ მინდა, ის განმეორდეს, რამაც ცხრა წელი ყველაზე მძიმედ ჩემს კისერზე გადაიარა. თქვენი საქმის თქვენ იცით. თუმცა არ მესმის, რაში გჭირდებათ აღმასრულებლით და სპეცრაზმით აღებული ტელევიზია“.

**მანანა ნაჭყებია:** „მინდა გითხრათ, რომ მე ვესწრებოდი დღეს სასამართლოს და სამარცხვინო იყო სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ცენტრის ექსპერტი! კაცმა შუბლის ძარღვი გაიწყვიტა. მოგეხსენებათ, ვესწრებოდი ხოლმე სასამართლოებს „ნაცმოძრაობის“ დროსაც და თამამად შემიძლია ვთქვა: ერთი ერთში!“

**ქიბარ ხალვაში:** „ქალბატონო მანანა, ექსპერტიზამ დაწერა დასკვნა იმ ანგარიშის საფუძველზე, რომელიც დაწერა ადამიანმა, რომელიც იყო ფინანსური მენეჯერი. თუმცა ვიღაც უნამუსოები ამტკიცებენ, რომ ასეთი კაცი არ არსებობდა. მაშინ ვინ იყო ფინანსური მენეჯერი?“

**მანანა ნაჭყებია:** „მე არ ვიცი, ვინ იყო მენეჯერი, მაგრამ ის კაცი დღეს სამარცხვინო იყო. მერწმუნეთ“.

**ქიბარ ხალვაში:** „თუ ის საბუთი იყო ყალბი, რა იყო რეალობა? ხომ ჰქონდათ ადვოკატებს დრო? რატომ არ წარმოადგინეს. არ წარმოადგინეს იმიტომ, რომ ის საბუთი სწორია და არ არსებობდა სხვა დოკუმენტი!!!!! ან დეზინფორმაციის მსხვერპლი ბრძანდებით, ან თვითონ გაწყობთ დეზინფორმაციის გავრცელება პოლიტიკური მიზნით“.

**მანანა ნაჭყებია:** „მე მაწყობდა და მაწყობს დამოუკიდებელი სამართალი. სასამართლოს ვინ გაიგდებს ფეხქვეშ – „ნაცმოძრაობა“ თუ „ოცნება“, მნიშვნელობა არ აქვს. ყველა სხდომას ვესწრები და ყველაფერს ვაფასებ. გამოცდილება მაქვს საკმაოდ მიღებული. ვერავინ ვერაფერს გამომაპარებს. ნუ გიხარიათ, დღეს რაც ხდება. ასე გიხაროდათ თავის დროზე მიშა ყველას, ჩვენ გარდა. დღესაც იყავით ფხიზლად, თორემ მერე გვიან იქნება!“

**ნინო ჯანგირაშვილი:** „მოკლედ, „რუსთავი ორის“ მფლობელობის საქმე არის ჩახლართული პოლიტიკური თრილერი. ამიტომაც გამოიყურება სასაცილოდ ურთმელიძის პროცესი და იქ წარდგენილი კონტექსტიდან ამოგლეჯილი ორი ფარატინა ფურცელი, რაღაც ფრაგმენტებზე მსჯელობა და ამით გადაწყვეტილების გამოტანა, ვის რა ეკუთვნის სინამდვილეში, რეალური გარემოებების და პრედისტორიის სერიოზული შესწავლის გარეშე. ამიტომაც არის ეს პროცესი ფარსი და ცირკი. ძილინებისა. ძალიან არ იჩხუბოთ“.

**ქიბარ ხალვაში:** „ურთმელიძის პროცესი არის პოლიტიზებული მასკარადი მიშას მიერ. თუ მართლები არიან და რაიმე სხვა დოკუმენტი ჰქონდათ, რომელიც ამტკიცებს, რომ აქტივების რაოდენობა იმაზე მეტი არ იყო, ვიდრე მე გადამიხადეს, წარმოედგინათ, მე გამოვართვი და დავუმალე. ონლაინში შეეძლოთ ამოეღოთ და წარედგინათ. რატომ არ გააკეთეს და 6 საათი ილაყბეს? პროკურატურაში დეტალური ჩვენება მივეცი. სამწუხაროა, რომ ამას შედეგი არ მოჰყოლია. უბრალოდ, საწყენია, ერთ მხარეს რომ იცავ მეორის ხარჯზე. დაიცავით, თქვენი ნებაა. ოღონდ მე ზარალს ნუ მომაყენებთ. კიდევ გავიმეორებ, სხვის ხარჯზე „კაი ტიპობა“ მთლად კარგი არ არის. ნება თქვენია“.

**ნინო ჯანგირაშვილი:** „მე რა ზარალს გაყენებთ, ბატონო ქიბარ? ემანდ მე არ დამიჯეროს ურთმელიძემ. ჩემს აზრს გამოვთქვამ და თქვენ თუ ამას „კაი ტიპობად“ თვლით, ჩემი პრობლემა არ არის. ნახევარსიმართლეებმა უტირა დედა ამ ქვეყანას და ყოველ ჩვენგანს. მეჩვენება, რომ თქვენც ნახევარსიმართლით ცდილობთ ფონს გასვლას. ამდენი ხანია ვცდილობ, პირადად თქვენ არ შეგეხოთ. იმიტომ, რომ მართლაც უსამართლოდ დაზარალდით და ბევრი რამ დაკარგეთ. თუმცა ვერ ამიკრძალავთ, ჩემი აზრი ვთქვა“. (ნეწპოსტ.გე)






## ეკა ბერიძე: „უნდა იყოს ცხვირ-პირის დანაყვები“, „თუ გაისვრიან გაისროლონ“ — იმედია, ყველა ენაზე ხარისხიანად იქნება თარგმნილი

ჟურნალისტი ეკა ბერიძე სოციალურ ქსელში გავრცელებულ აუდიოჩანაწერებთან დაკავშირებით წერს:

„უნდა იყოს ცხვირ-პირის დანაყვები; თუ გაისვრიან გაისროლონ; ეს კრეტინი უცხოელები რას შვებიან“ – „პროდასავლური“ ლიდერის საპროგრამო ფრაზები, იმედია, ყველა ენაზე ხარისხიანად იქნება თარგმნილი“, – წერს ბერიძე. (რეპორტიორი)

## რუსმა ოკუპანტებმა ქართველი ჟურნალისტები დააკავეს



სოფელ თაგილონის მცხოვრებლების ინფორმაციით, რუსეთის მესაზღვრეებმა აფხაზეთ-სამეგრელოს ადმინისტრაციულ საზღვართან სამი ჟურნალისტი დააკავეს. მათივე ცნობით, ერთ-ერთი მათგანი ჟურნალისტი მანანა გოგოხიაა.

თაგილონელების განცხადებით, დაკავებისას რუსეთის მესაზღვრეებმა ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ მათ ე.წ. საზღვარი უკანონოდ გადაკვეთეს. ისინი რუსეთის სამხედრო ბაზაზე არიან გადაყვანილი.

სოფლელების ინფორმაციით, ჟურნალისტები ინტერნეტგამოცემა „პოოტნაშენიე სოხუმი-მასკვა“-ში მუშაობენ და თაგილონში რეპორტაჟის გადასაღებად იყვნენ ჩასულები. (newpost.ge)

## გაიგე ახლა, სადაურ ხორცს ყიდულობ



გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბნავისში ადგილობრივებს მსხვილფეხა პირუტყვი ეხოცებათ. არსებული ინფორმაციით, ჯერჯერობით დაუდგენელ ვირუსს ათამდე ძროხა ემსხვერპლა. ბნავისელებში შიშობენ, რომ დაავადება ადამიანზეც გადავა, ისინი ხელისუფლებას დროულ რეაგირებას სთხოვენ.

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის განცხადებით, ბნავისში არსებული მდგომარეობის შესახებ, შესაბამის სამსახურებს უკვე აცნობეს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ცნობით, უწყების რეგიონალური სამსახური შემთხვევის ადგილზე ვითარების შესასწავლად შესაბამის ზომებს მიიღებს. (newpost.ge)

## „ეს ამბავი უნდა ვთქვა და ვერც კოლეგიალობა და ვერც სიტყვის თავისუფლებაზე შეტევის ბოდვა დამაბრკოლებს“




ეკონომიკური პოლიტიკის მკვლევარი, ასისტენტ-პროფესორი გიორგი მიქანაძე სოციალურ ქსელში აქვეყნებს პოსტს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ეს ამბავი უნდა ვთქვა და ვერც კოლეგიალობა და ვერც სიტყვის თავისუფლებაზე შეტევის ბოდვა და ვერაფერი ვერ დამაბრკოლებს.

რამდენიმე დღის წინ ტრენინგს ვატარებდი. მოხდა ისე, რომ ჯგუფში დამიმატეს რამდენიმე ადამიანი და ცოტა მეტი ისხდნენ აუდიტორიაში, ვიდრე ტრენინგისთვის იყო საჭირო – 40 სამოქალაქოდ აქტიურ ახალგაზრდამდე. კურსი შეეხებოდა თემას „სამოქალაქო აქტივობა და მენეჯერული უნარ-ჩვევები“.

ერთ-ერთ კონტექსტში მინდოდა მესაუბრა „რუსთავი 2“-ის საკითხზე, როგორც საზოგადოებრივად აქტუალურ თემაზე. დავსვი კითხვა, რა პოზიცია ჰქონდათ მიმდინარე პროცესებზე. ახალგაზრდებმა ისე შემომხედეს, იფიქრეს, „რუსთავი 2“-ის დამცველიაო და ხმას არ იღებდნენ თავიდან. ველოდებოდი. შემდგომ თამამად ითქვა, თითქმის ერთ ხმად, ცოტა ზედმეტი მოსდითო და ზედმეტად აწუხებენ საზოგადოებასო. ძირითადი პრეტენზია მენეჯმენტის მიმართ გამოთქვეს და იმ ჟურნალისტების მიმართ, რომლებიც ერთგულობენ არა საზოგადოებას, არამედ კონკრეტულ ხელმძღვანელებს... მერე კიდევ რაღაცები დაამატეს, მეტს არ ვიტყვი. გაოგნებული დავრჩი. 1 ახალგაზრდას მაინც რომ ეთქვა საწინააღმდეგო პოზიცია, მე ამ პოსტს არ დავდებდი. სრული ხმათა უმრავლესობით გამოხატეს და არიან სტუდენტები **jobs.ge** და **facebook**-იდან არჩეულები. არავის არ ვიცნობდი, 3-4 სტუდენტის გარდა.

ჩემო ძვირფასებო, ეს არის სამოქალაქო პოზიცია. მომავალი მინისტრების, სახელმწიფო მოხელეების, ბიზნესმენებისა და მომავალი თაობის. და ისინი გაცილებით ძვირფასები არიან ჩემთვის. მე რომ ამ ამბავში ვტყუოდე, თავს გადამჭამენ აქვე, – ისეთები იყვნენ. ეს მოხდა თბილისში“, – წერს მიქანაძე. (რეპორტიორი)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# რატომ მიეცა სუს-ს უცხოეთის ქვეყნებთან ხელშეკრულების გაფორმების ექსკლუზიური უფლება?



„საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ და „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ კანონებში ცვლილება შედის, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების უფლებამოსილებას ანიჭებს. პროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ ორმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, ბელორუსის უსაფრთხოების კომიტეტისგან არსებობს შემოთავაზებები საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების დადების თაობაზე. ასევე, იგეგმება თანამშრომლობის შეთანხმების დადება უკრაინის უშიშროების სამსახურთან, ნატო-სა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების, საქართველოს მეზობელი და სხვა ქვეყნების შესაბამის უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

როდესაც სახელმწიფოებს შორის ასეთი ხელშეკრულებები უკვე არსებობს რა საჭიროა სუს-ისთვის ასეთი პრივატული უფლებამოსილების მინიჭება?

**„ალიას“ ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, ვახტანგ მაისაია ესაუბრა:**

– ამით სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა უფრო გააქტიურა თავისი საერთაშორისო საქმიანობა. საუბარია კონტრდაზვერვით ოპერაციებში, საერთაშორისო დამნაშავეობასთან, ნარკოდანაშაულებთან და სინდიკატურ ჯგუფებთან ბრძოლაში თანამშრომლობაზე. ასევე, საუბარია კრიმინალურ დაჯგუფებებთან ბრძოლაზე, რაც ცალკე გამოსაყოფია და იარაღის უკანონოდ მოვაჭრე ქსელების წინააღმდეგ ბრძოლაზე. ამ ოთხი მიმართულების კუთხით, სუს-ისთვის აღნიშნული უფლებამოსილების მინიჭება ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

**— მსგავსი ტიპის თანამშრომლობაზე ხელშეკრულებები სახელმწიფოებთან ხომ ისედაც გვაქვს გაფორმებული, რატომ გახდა საჭირო ცალკე სუს-ისთვის ამ უფლებამოსილების მინიჭება?**

– მესმის, მაგრამ ეს სხვა რამეა. როგორც უკვე ვიცით, შინაგან საქმეთა სამინისტრო გაიყო, სახელმწიფო უშიშროების სამსახურს გადაეცა იმ საკითხებისა და პრობლემების მოგვარება, რაც უკავშირდება აი, ამ ძირითად მიმართულებებს, როგორიც არის ნარკოტრაფიკი, იარაღის უკანონო ვაჭრობა, საერთაშორისო კრიმინალურ ორგანიზაციულ დანაშაულთან და რაც მთავარია, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა.

**— ეს ინფორმაცია „ფეისბუქზეც“ დაიდო და ასეთი კომენტარებიც გაკეთდა, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ხელისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“ დამნაშავე რეჟიმის უცხოეთში გაქცეული წევრების დაკავებას აპირებსო? ეს რომ სდომოდათ, აქამდეც დაიჭერდნენ და ჩამოიყვანდნენ, კარგადაც იციან ვინ სად იმყოფება ამჟამად, თუმცა დღემდე არავინ დაუკავებიათ.**

– სუს-ისთვის მინიჭებული ეს უფლება მაგას არ ეხება. იმ კრიმინალების დაკავება, რომლებმაც საქართველოში დანაშაული ჩაიდინეს, ეს არის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეროგატივა. სუს-ს ევალება აქტიური კონტრსადაზვერვო ოპერაციების განხორციელება, რაც გულისხმობს აგენტურული კუთხით მუშაობას, ტერორიზმთან ბრძოლაც მოიცავს ასევე აგენტურულ ქსელთან მუშაობას – ეს, რა თქმა უნდა, შედის ამ ფუნქციებში. ასევე, ანალიტიკური მასალებისა და ინფორმაციების ურთიერთგაცვლას.

**— გავრცელებულ ინფორმაციაში, ჩამოთვლილ ქვეყნებში, მეზობელ ქვეყნებს შორის არის ასევე, რუსეთი. როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, საქართველოს სუს-მა ამ კუთხით რუსეთთან ითანამშრომლოს?**

– არ ვიცი, ტერორიზმთან ბრძოლის კუთხით, ალბათ, ეს შესაძლებელია, მაგრამ პოლიტიკური ვითარება ვიცით ჩვენ – რუსეთთან საომარ მდგომარეობაში ვართ და შეიძლება, ამ კუთხით თანამშრომლობა გართულებული იყოს. რაღაც სპეციფიკურ საკითხებში კონსულტაციებთან დაკავშირებული საუბრები შესაძლოა, იყოს, მაგრამ ჩემთვის ცოტა რთულია, გავარკვიო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს რა პრიორიტეტები აქვს ამ მიმართულებით... პრინციპში, ალბათ, არა. ეს რომ იყოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, მაშინ კი, ბატონო, მესმის, მაგრამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დონეზე – არა. იმიტომაც არ იყო დაკონკრეტებული ჩამონათვალში რუსეთის სახელმწიფო.

**— განმარტებით ბარათში ნატო-სა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან ამ კუთხით თანამშრომლობაზეა საუბარი. აღნიშნული ფაქტი, თავისი შინაარსით, შეიძლება ჩავთვალოთ ნატო-სკენ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად?**

– გარკვეულწილად არის, კი. ჩვენ გვეძლევა სამართლებრივი საფუძველი და საშუალება, თუნდაც ამ ოთხი სპეციფიკური მიმართულებით ვითანამშრომლოთ ჩვენს კოლეგებთან სხვა ქვეყნებიდან, სხვადასხვა სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან.

**— უკვე რამდენიმე დღეა ისმება კითხვა: რატომ არ აკავებს ხელისუფლება ქვეყნიდან გაქცეულ იმ პირებს, რომლებიც ავადსახსენებელ კადრებს იღებდნენ, ხალხს აწამებდნენ, აუპატიურებდნენ?**

– მოკლედ გეტყვით: არ არსებობს ამის პოლიტიკური ნება და იმიტომ არ ხდება. პოლიტიკური ნება რომ იყოს, ყველაფერი თავის ადგილას დადგებოდა.

**— რატომ არ არის პოლიტიკური ნება, ეს უნდა თქვან პრემიერმა და პრეზიდენტმა და ზოგადად, მმართველი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებმა, ვისაც ამის გაკეთება ევალება.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ჩვენ ვეღირსებით ამას?

მოლდოვის პარლამენტმა, მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ მინისტრთა კაბინეტს უნდობლობა გამოუცხადა, ქვეყნის მთავრობის გადადგომას მხარი დაუჭირა. გადაწყვეტილებას 101 დეპუტატიდან კენჭი უყარა 65-მა დეპუტატმა.

„ბი-ბი-სის“ ცნობით, პრემიერ-მინისტრმა ვალერი სტრელეცმა მინისტრთა კაბინეტი სამი თვის წინ ჩამოაყალიბა. მანამდე პრემიერ-მინისტრი აცხადებდა, რომ თანამდებობის დატოვებას არ აპირებდა, რადგან, მისი თქმით, ეს მისი მხრიდან მისდამი წაყენებული ბრალდებების აღიარება იქნებოდა.

„სერიოზულად მადარდებს ქვეყნის ბედი. ვხედავ, რომ პოლიტიკოსთა ნაწილს სურვილი არ გააჩნია, მინიმალურ სტაბილურობას დაუჭიროს მხარი ქვეყანაში“, – განაცხადა სტრელეცმა.

თვეზე მეტია, მოლდოვის დედაქალაქში პროტესტი არ ცხრება, რომლის მონაწილეები ქვეყანაში არსებული კორუფციის წინააღმდეგ გამოდიან და დამნაშავეთა დასჯას ითხოვენ. (ინტერპრესნიუსი)

## „ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ პრეზიდენტმა რამდენჯერმე ახსენა სიტყვა „ფაშიზმი“



საქართველოს პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი არასამთავრობო ორგანიზაციების კიდევ ერთ ნაწილს შეხვდა. ავლაბრის რეზიდენციაში გამართულ შეხვედრაზე საუბარი სხვადასხვა აქტუალურ საკითხს შეეხო.

„შეხვედრაზე რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი დაისვა. ძალიან კმაყოფილი ვარ იმით, რომ პრეზიდენტმა რამდენჯერმე ახსენა სიტყვა „ფაშიზმი“, როდესაც ბოლო 15-20 წლის მოვლენებს აღწერდა. ეს ძალიან კარგია, მაგრამ გვაქვს კონკრეტული წინადადება, რომლითაც გიორგი მარგველაშვილს მივმართეთ – გვსურს შეიქმნას საზოგადოებრივი კომისია, რომელიც 1992-წლიან დღემდე არსებულ მოვლენებს დაარქმევს თავის სახელს. აღმასრულებელმა ხელისუფლებამ გვიმტყუნა. მთავრობა, ღარიბაშვილი არაფერს აკეთებს, რომ დადგინდეს სიმართლე – რა და როგორ ხდებოდა. არაფერი კეთდება, რომ ადამიანების შელახული უფლება აღდგეს, ამიტომ საზოგადოებამ ეს თავის ხელში უნდა აიღოს. იმედი მაქვს, პრეზიდენტი ჩვენს ინიციატივას გამოეხმაურება“, – განაცხადა ირაკლი კაკაბაძემ. (ინტერპრესნიუსი)

## ლალი აფციაური: „რუსთავი 2“ მაშინ რატომ არ აღშფოთდით?



უფლებადამცველი ლალი აფციაური სოციალურ ქსელში პატიმრის შესახებ კომენტარის სახით წერს:

„ნაცებო“ და მხარდამჭერებო! 2009 წელს ეს ადამიანი ციხეში წამებით რომ მოკალით და ყველგან, სადაც კი ხელი მიმიწვდებოდა, დავდე დოკუმენტური მტკიცებულებები, თავისი ჟურნალისტური გამოძიებით, რატომ არ დაიწყეთ გამოძიება?.. „რუსთავი 2“ მაშინ რატომ არ აღშფოთდით? ეს ადამიანი არ არის ნაწამები? ეს ადამიანი არ არის წამებით მოკლული? თუ ესეც დადგმული კადრებია?.. ასეთი კიდევ ბევრია და ეს იცის რამდენიმე ათასმა ყოფილმა პატიმარმა, მათი ოჯახების წევრებმა, ახლობლებმა და ა.შ.“ - წერს აფციაური. (ივერიონი)

## საპატრიარქოს განცხადება



საპატრიარქო განათლების სამინისტროსთან ჩატარებულ აქციასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

„როგორც საზოგადოებისთვის გახდა ცნობილი, ა.წ. 28 ოქტომბერს სასულიერო და საერო პირების ერთმა ნაწილმა განათლების სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გამართა.

შევნიშნავთ, რომ ამ ქმედების შესახებ საქართველოს საპატრიარქო საერთოდ არ იყო ინფორმირებული; ამასთანავე, ჩვენ ვერ გავიზიარებთ იმ სულისკვეთებას, რაც მათ მიერ იქნა დაფიქსირებული“, – ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, განათლების სამინისტროსთან სასულიერო პირებმა და მრევლმა აქცია გამართეს, რომლითაც სკოლებში „ჰელოუინის“ აღნიშვნა გააპროტესტეს. (newpost.ge)

## არჩილ გამზარდია: „ნაციონალურ მოძრაობას“ ახასიათებს საკუთარი წევრების გაწირვა ლიდერების მიზნებისთვის...



ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია ვარაუდობს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას გაწირავს. ამ საკითხზე გამზარდია **facebook**-გვერდზე წერს:

„მგონი, სააკაშვილმა გვარამიას უთხრა, რომ კანონგარეშე ქმედებები ჩაიდინოს, რათა დააკავონ და შემდეგ კვლავ პოლიტიკურ დევნაზე ალაპარაკდნენ, „ოპოზიციური“ არხის დირექტორი დააკავესო.

ეს არის ნაცნობი ხელწერა. გვარამიას, სამწუხაროდ, გაწირავენ „ნაციონალები“ და მისი მხრიდან ძალიან სამწუხაროა ასეთი უგუნურება. „ნაციონალურ მოძრაობას“ ახასიათებს საკუთარი წევრების გაწირვა ლიდერების მიზნებისთვის. სამწუხაროა, რომ გვარამია „ნაციონალური მოძრაობის“ მსხვერპლშეწირვის მორიგი ობიექტია.

მწუხარებით ვადევნებ თვალს ამ ადამიანის თავისებურ სუიციდს. მისივე გუნდი დაუფიქრებლად და სინანულის გარეშე წირავს მას“, – წერს გამზარდია. (რეპორტიორი)

# სკანვორდი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. უგუმბათო ტაძარი
2. ბოსტნეული
3. სახორცე ქათმის ჯიში
4. ადამიანის უფლებათა დამცველი
5. მსაჯი
6. ამერიკელების მეტსახელი
7. მსახიობი ... გარსია
8. დედნიდან გადაღებული პირი
9. ვერძი, კურო, ტყუპები
10. ... პუგაჩოვა
11. მსახიობი ... სტრიპი
12. ცხვრის ჯიში
13. დასარტყამი საკრავი
13ა. მომღერალი ... გეგელია
14. ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი
15. მსახ. ბენისიო ... ტორო
16. შტატი აშშ-ში
17. სიტყვით გამომსვლელი
18. მხ/ფ „... რეისი"
19. მომღერალი ... ვაიკულე
20. სამხედრო აღჭურვილობა
21. მდინარე აფხაზეთში
22. მაღალი სვეტი წარწერით
23. მით. ქალი ჯადოსნური ხმით
24. მსახიობი ... ფლინი
24ა. თეატრის სცენის განათება
25. მწერალი ... ალან პო
26. ნასესხები ფული
27. დაბა თიანეთის რაიონში
28. მაგნიტი
29. უმაღლესი ხარისხის ბროლი
30. მეცნიერება მიწისძვრების შესახებ
31. სანიკიძე. „... ხმლები"
32. კურორტი ბულგარეთში
33. იაპონელი თვითმკვლელი
34. ისტორიულად: ... გზა
35. ღორის შიგნეულის საჭმელი
36. ... ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო
37. ცივი დესერტი
38. ფრედი მერკურის ანსამბლი
39. მომღერალი იან ...
40. შტატი აშშ-ში
41. ყანწის მასალა
42. ქიმიური ელემენტი
43. ხუთიანი ნარდში
44. კარტოფილის კერძი
45. პავაროტი როგორც მომღერალი
46. მწვადის შესაწვავი ღუმელი
47. გემის ტუალეტი
48. პოეტი ... ახმატოვა
49. დახურული სივრცის შიში
50. „გეპეის" წყლის გამაცხელებელი
51. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
52. მდინარის დატოტვილი შესართავი
53. ერთგვარი ქუდი ნიღაბი
54. ფეთქებადი ნივთიერება
55. იჩქარე ...
56. მსახიობი ... ჟირარდო
57. ბუდისტი მღვდელი
58. სოფელი კასპის რაიონში
59. მსახიობი ... ჰარისი
60. მსახიობი ანა ...
61. იაპონური მულტიპლიკაცია
62. ტალახის კურორტი საქართ.
63. უცნობი მიწა- ... ინკოგნიტა
64. ... მორჩილაძე
65. ციტრუსი
66. დაცლილი ვაზნა
67. რეჟისორი ... კუროსავა
68. ქალაქი აფხაზეთში
69. ხუთკაპიკიანი ძველად
70. ის, ვისაც დაბადების დღე აქვს
71. ძაღლის ჯიში
72. რეჟისორი ჯორჯ ...
73. არაყი
74. მწერალი კარლო ...
75. სოფელი ოზურგეთ. რაიონში
76. მხატვრების უბანი პარიზში
77. მცენარე. ხდიან ტეკილას
78. „ნირვანა" კურტ ...
79. მსახიობი ან ...
80. ცხენბურთი
81. რადიოლოკატორი
82. ბოსტნეული
83. ტკბილი კარტოფილი
84. მომღერალი ... ჯოხაძე
85. ოდისევსის სამშობლო
86. ექსპრომტი
87. ძვ. ქართ. ცხენოსნობა
88. მსახ. ... საკანდელიძე
89. ხის პალო
90. აღმოსავლური საჭმელი
91. მხარე საქართველოში
92. კოშკი პარიზში
93. ანიკოს პირველი ქმარი
94. მსახიობი ... ანდერსონი
95. მანქანის საყვირი
96. შტატი აშშ-ში
97. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
98. ხუმარა, მასხარა
99. მომღერალი ... რამაზოტი
100. შოტლანდიური ნაგაზი
101. თბილისის უბანი
102. ქედი საქართველოში
103. იანის საპირისპირო
104. რაჯ კაპური ფილმში
105. ინკვიზიციის სასამართლოს წევრი
106. კურორტი ბულგარეთში
107. ... კეისარი
108. ფეხბურთელი ... ზიდანი
109. სილამაზის ქალღმერთი
110. სლავური ანბანი
111. იტალიელი მხატვარი
112. სახოტბო ლექსი
113. მით. პერსონაჟი. ცნობილია ქუსლით
114. მწვერვალი კავკასიონზე
115. მდინარე ჭიათურაში
116. ნორჩი ღერო
117. მომღერალი ... პიეხა
118. მისი დედაქალაქია თეირანი
119. მონღოლი დიდებული
120. მარცვლოვანი მცენარე
121. სამატომიანი ჟანგბადი
122. აზრი
123. გიორგი სააკაძის სოფელი
124. უნივერსიტეტი ... მატერი
125. მიწის ფართობის ერთეული
126. განგაშის ხმა
127. საკვების ენერგიის ერთეული
128. აგენტი 007
129. ნიშნავს ცივს
130. მსახიობი ... ისტვუდი
131. ქალაქი ბელორუსში
131ა. მდინარე ინდოეთში
132. რიცხვი 3,14
133. მომღერალი ... მარლი
134. გადამდნარი კარაქი
135. გეიშა მოხალე
136. მეტყველების ორგანო
137. კანის ინფექც. დაავადება
138. მხ/ფ „... კანონია"
139. მინდვრის ყვავილი

პასუხები: 1. ბაზილიკა; 2. ბადრიჯანი; 3. ბროილერი; 4. ომბუდსმენი; 5. არბიტრი; 6. იანკი; 7. ენდი; 8. ასლი; 9. ზოდიაქო; 10. ალა; 11. მერილ; 12. მერინოსი; 13. დოლი; 13ა. ლილი; 14. ლარინგოლოგი; 15. დელ; 16. ნევადა; 17. ორატორი; 18. ზოლიანი; 19. ლაიმა; 20. ამუნიცია; 22. სტელა; 23. სირინოზი; 24. ეროლ; 24ა. რამპა; 25. ედგარ; 26. ვალი; 27. სიონი; 28. ანდამატი; 29. ბაკარა; 30. სეისმოლოგია; 31. უქარქაშო; 32. ვარნა; 33. კამიკაძე; 34. აბრეშუმის; 35. კუპატი; 36. ძმა; 37. ნაყინი; 38. „ქვინი"; 39. გიალნი; 40. აიოვა; 41. რქა; 42. ვანადიუმი; 43. ბეში; 44. პიურე; 45. ტენორი; 46. მაყალი; 47. გალიუნი; 48. ანა; 49. კლაუსტროფობია; 50. „ატმორი"; 51. ონდატრა; 52. დელტა; 53. ბალაკლავა; 54. ტროტილი; 55. ნელა; 56. ანი; 57. ლამა; 58. იგოეთი; 59. ედ; 60. მანიანი; 61. ანიმე; 62. ახტალა; 63. ტერა; 64. აკა; 65. ლიმონი; 66. მასრა; 67. აკირა; 68. გაგრა; 69. შაური; 70. იუბილარი; 71. ტაქსა; 72. ლუკასი; 73. იგავი; 74. კოლოდი; 75. ნაგომარი; 76. მონმარტრი; 77. აგავა; 78. კობეინი; 79. პარიიო; 80. პოლო; 81. რადარი; 82. კიტრი; 83. ბატატი; 84. ანრი; 85. ითაკა; 86. კაფია; 87. ისინდი; 88. კარლო; 89. სოლი; 90. ლულაქაბაბი; 91. სვანეთი; 92. ეიფელი; 93. კია; 94. ბიბი; 95. კლაქსონი; 96. კალიფორნია; 97. სირ; 98. ოინბაზი; 99. ეროს; 100. კოლი; 101. ავლაბარი; 102. თრიალეთი; 103. ინი; 104. „ავარა"; 105. ინკვიზიტორი; 106. ვარნა; 107. იულიუს; 108. ზინედინ; 109. აფროდიტე; 110; კირილიცა; 111. ვერონეზე; 112. ოდა; 113. აქილევსი; 114. იალბუზი; 115. ყვირილა; 116. ყლორტი; 117. ედიტა; 118. ირანი; 119. ნოინი; 120. ბრინჯი; 121. ოზონი; 122. იდეა; 123. ნოსტე; 124. ალმა; 125. არი; 126. სირენა; 127. კალორია; 128. ბონდი; 129. კრიო; 130. კლინტ; 131. ბრესტი; 131ა. ინდი; 132. პი; 133. ბობ; 134. ერბო; 135. მაიკო; 136. ენა; 137. მუნი; 138. კანონი; 139. გვირილა. იკითხება: იური ნიკულინი.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## პარკინსონს დაავადებას სუნი აქვს?



შესაძლოა, პარკინსონის დაავადების დიაგნოსტირება მალე სუნით გახდეს შესაძლებელი. მეცნიერებმა უკვე გაავრცელეს ინფორმაცია ძალლის შესახებ, რომელსაც კიბოს ამოცნობა ყნოსვით შეუძლია. ბრიტანელი ქალი ჯოი მილნი კი ამბობს, რომ მას შემდეგ, რაც მის მეუღლეს პარკინსონის დაავადების დიაგნოზი დაუსვეს, ავადმყოფს სუნი შეეცვალა და მისი სუნი მუშკის სუნს წააგავდა. ქალი ამბობს, რომ მსგავსი სუნი სხვა პაციენტებზეც აქვს შენიშნული. ედინბურგის უნივერსიტეტის მეცნიერებმა ჯოი მილნი ექსპერიმენტის ჩასატარებლად მიიწვიეს. ექსპერიმენტში 6 ჯანმრთელი და 6 პარკინსონით დაავადებული ადამიანი მონაწილეობდა. მილნმა მათ მაისურებზე დაყნოსვით 12-დან 11 სწორად გამოიცნო. ერთ შემთხვევაში კი აღმოჩნდა, რომ დაავადება სიმპტომების გამოვლენამდე 8 თვით ადრე იწინასწარმეტყველა. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ დაადგენენ, ზუსტად რომელ ნივთიერებას შეგრძნობს ქალი, რათა შემდეგ მის საფუძველზე ავადმყოფობის გამოსავლენი ტესტი შეიმუშაონ.



**med2.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო

## ილო ბეროშვილი: მე ჩემს მიზანს ჩემი სილამაზით მივაღწიე



სოციალურ ქსელში „ილო ბეროშვილის შოუს“ კულისებში გადაღებული ვიდეო გამოქვეყნდა. ვიდეო იუმორისტული ხასიათისაა. წამყვანს, ილო ბეროშვილს ჟურნალისტი ეკითხება: „როგორია შეგრძნება, რომ სილამაზით აღწევენ წარმატებას და არა ნიჭით?“, ბეროშვილი კი პასუხობს: „მთავარია, მიზანს მიაღწიო. მე ჩემს მიზანს ჩემი სილამაზით მივაღწიე. გამოვცადე საკუთარ თავზე და შესანიშნავია. თავიდან ძალიან რთულია, რაღაც გეუხერხულება. პირველი ნაბიჯია და გიტყდება, რომ სხვები ნიჭით აღწევენ და მე სილამაზით, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს მეთოდებს? მთავარია, მიზანს მიაღწიო. მე ჩემს მიზანს ჩემი სილამაზით მივაღწიე“, – ამბობს ტელეწამყვანი.

**daijesti.pia.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## რუსეთში ბავშვს სახელად ლუციფერი დაარქვეს



იჟევსკში მცხოვრებ ოჯახზე, სადაც ლუციფერი გაჩნდა, არანაირი დამაინტრიგებელი ინფორმაცია არ ვრცელდება, თუმცა სამაგიეროდ ცნობილია, რომ ამ სახელით გასულ ოქტომბერს პერმშიც დაბადებულა ბავშვი, რომლის მშობლებიც ოკულტიზმს აღიარებენ, რამაც მასმედიას საშუალება მისცა, რომ ისინი სატანის მიმდევრობაში ეჭვმიტანილად მიეჩნიათ. 10 ოქტომბერს კი, ლუციფერს ძმა გაუჩნდა, რომელსაც ვოლდემორდი დაარქვეს. თუ ერთი წლის წინათ რეესტრის სამსახურში მშობლების გადარწმუნებას ცდილობდნენ, ამჯერად სახელს არანაირი პრობლემები არ გამოუწვევია.

**nafan.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## „ალბათ, არ იყო მზად ოჯახური ცხოვრებისთვის... ვერ ვიტყვი, რომ არ ვუყვარდი“ — როინიშვილი ყოფილ ქმარზე



მომღერალი მარიამ როინიშვილი გადაცემაში **„selfie“** ყოფილ მეუღლესთან ერთად გატარებულ წლებს იხსენებს და აღნიშნავს, რომ ეს ყველაფერი ძალიან ლამაზი იყო. მარიამი განშორების მიზეზებსაც იხსენებს და ამბობს, რომ მათ ვერ შეძლეს ურთიერთობის გადარჩენა.

– ახლა არ მაქვს ის განცდა, რაც ადრე მქონდა და რაზეც თავს ვიკავებდი და არ ვლაპარაკობდი. თუნდაც სიყვარულსა და განშორებაზე, თუმცა განშორებაზე ახლაც არ მსიამოვნებს ლაპარაკი... მახსოვს ჩემი დაბადების დღეები, რომლებიც ფოიერვერკებით იწყებოდა და მთავრდებოდა, თუმცა შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. თანაცხოვრების დროს იცვლება ურთიერთობა. ამას ვერავინ ვერ გაექცევა. ბევრი ისეთი რაღაც ჩნდება, რასაც უნდა გაუძლო. მე ასე მგონია. ალბათ, არ იყო მზად ოჯახური ცხოვრებისთვის. მე არ ვიტყვი იმას, რომ გიორგის არ უნდოდა ეს ურთიერთობა, ან არ ვუყვარდი. რაღაც დალპა, რაც მე პირადად ვერ გადავარჩინე. გიორგიმ არ ვიცი. ეცადა, ალბათ, მაგრამ არც მას არ გამოუვიდა, – ამბობს მარიამი.

**daijesti.pia.ge**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები...



## რა გავლენას ახდენს წვერი მამაკაცების საქციელზე?

თურმე, ლამბერსექსუალობით, გარდა იმისა, რომ ქალს თავს ვერ მოაწონებ, შენს არასანდოობაზეც მეტყველებ. ბრიტანელმა მეცნიერებმა ჩაატარეს კვლევა, რა გავლენას ახდენს წვერი კაცების საქციელზე. კვლევაში 2 ათასმა მოხალისე მონაწილეობდა. შედეგად აღმოჩნდა, რომ წვერის მტარებელთა 40 პროცენტს ერთხელ მაინც ჰქონდა რამე მოპარული, მაშინ, როცა წვერგაპარსულ გამოკითხულთა შორის ეს მაჩვენებელი 17 პროცენტი იყო. გარდა ამისა, წვერის მოყვარულთა 47 პროცენტი გამოტყდა, რომ თავის პარტნიორს ღალატობდა, უწვერო მამაკაცებთან კი ღალატის რიცხვი 20 პროცენტი იყო.

დაბოლოს, ჩხუბებში წვერიანთა – 45 პროცენტი, გაპარსვის მოყვარულთა კი 29 პროცენტი მონაწილეობდა. ექსპერიმენტისას ქალებიც გამოკითხეს, რომელთა 62-მა პროცენტმა სუფთად გაპარსულ მამაკაცებზე გააკეთეს არჩევანი. ქალების 44 პროცენტი კი წვერს არასაკმარისი ჰიგიენის ნიშნად მიიჩნევს.

**msk.kp.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## რატომ შედის ბესო ზანგური საუნაში მეტანიებით



მსახიობი ბესო ზანგური სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელია და ხშირად სხვადასხვა შინაარსის პოსტებს აქვეყნებს. ამჯერად მისი ყურადღების ობიექტი მამაოები აღმოჩნდნენ.

– ბასეინზე იმდენი მამაო დადის ერთად, რომ საუნაში მეტანიებით შევდივარ და ბასეინში თითო ხელის მოსმაზე, დამლოცე მამაოს ვყვირივარ, წელან ერთად ჩაცურეს და კინაღამ დავიხრჩვე, იმდენი ვიძახე, ძლივს ამომათრიეს მფარველმა ანგელოზებმა! – წერს ბესო ზანგური „ფეისბუკში“.

**newposts.ge**

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



ეზოში ბავშვები ლაპარაკობენ:

– სახლში ასვლა თუ მაგვიანდება ხოლმე, მამაჩემი ქამრით მცემს.

– მამაჩემსაც უნდა ხოლმე, ქამრით რომ მცემოს, მაგრამ ვერ ახერხებს.

– რატომ?

– როცა ქამარს იხსნის, შარვალი სძვრება და დედა მაშინვე იყვირებს ხოლმე: „არიქა, შვილო, ცოტა ხანი ისევ ეზოში ჩადი!“

*****

– როგორ უნდა მოამზადოთ ომლეტი სომხურად?

– პირველ რიგში, სთხოვეთ 3 კვერცხი მეზობელს...

– და როგორ უნდა მოამზადოთ ომლეტი ბოშურად?

– პირველ რიგში, ტაფა უნდა მოიპაროთ...

*****

– შენი ქმარი ეწევა?

– კი, ოღონდ მხოლოდ სექსის შემდეგ.

– და ჯანმრთელობა?

– ნუ, არ მგონია, რომ წელიწადში ორი-სამი ღერი ჯანმრთელობას ვნებდეს...

*****

– რას გეტყვი, იცი? შენი აზრი უკან შეიტენე!

– არ შემიძლია: იქ უკვე დაკავებულია ადგილი ეკონომისტის დიპლომითა და შესანიშნავ მომავალზე ოცნებებით...

*****

– კოტე, რა სხვაობაა 20-მეტრიან ორმოში და 200-მეტრიან ხრამში ჩავარდნას შორის?

– აბა, როგორ გითხრა: მეორე შემთხვევაში კუბოს თავსახური აუცილებლად დაფარებული ექნება!..

*****

საოპერაციოდან გამოსულ ახალბედა ქირურგს კლინიკის დირექტორი ხვდება:

– აბა, როგორ ჩაიარა თქვენმა პირველმა ოპერაციამ?

– ოპერაციამ?! მე მეგონა, ეს გაკვეთა იყო...

*****



ექიმი პაციენტს სინჯავს და თავისთვის ბუტბუტებს:

– კარგია, ძალიან კარგია...

– ექიმო, რა არის კარგი?

– ძალიან კარგია, რომ ასეთი საშინელებები მე არ მჭირს!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## მეცნიერებმა ყველაზე გავრცელებული ღამის კოშმარების სია შეადგინეს



ცხოვრება ხომ გვაქვს დალხენილი და იდილიური, ახლა ღამის კოშმარებიც გულს გვიხეთქავს, მაგრამ რა გინდა, რომ ქნა?

ისე, თუ იცოდით, რომ თურმე, თითქმის ყველა ადამიანს ერთი და იმავე რალაცის ეშინია?

მეცნიერების განმარტებით, ღამის კოშმარი აუცილებლად ბუნებრივად ჩნდება, ანუ უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ნარკოტიკების შედეგად გაჩენილი საშიში ხილვები კოშმარებს არ განეკუთვნება.

მიიჩნევა, რომ ღამის კოშმარებს ზრდასრული ადამიანების მხოლოდ 5 პროცენტი ხედავს, მაგრამ როგორც უკანასკნელი კვლევები აჩვენებს, ახალგაზრდებში ეს მაჩვენებელი 70-დან 90 პროცენტამდე მერყეობს.

მონრეალის უნივერსიტეტის წამყვანი ფსიქოლოგი, ანტონიო ზადრა მიიჩნევს, რომ კოშმარების შინაარსი სერიოზულად განსხვავდება ადამიანის კულტურისა და ასაკიდან გამომდინარე. მიუხედავად ამისა, ყველაზე ხშირად, გაღვიძების შემდეგ ადამიანებს ახსოვთ, როგორ ეცემოდნენ, როგორ გაურბოდნენ ვიღაცას ან რაღაცას.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ჩატარდა არაერთი კვლევა, რომელთა საერთო მიზანი გახლდათ იმის დადგენა, რომელი კოშმარებია ყველაზე უფრო გავრცელებული.

ერთ-ერთი უკანასკნელი ასეთი კვლევა 2010 წელს ჩატარებულა, რომლის ავტორებიც გერმანელი მეცნიერები არიან. კვლევის ფარგლებში სპეციალისტებმა რამდენიმე ათასი ადამიანი გამოკითხეს, რომელთა მინიმალური ასაკი 16 წელი გახლდათ.

შედეგად, მეცნიერებმა ყველაზე უფრო გავრცელებული ღამის კოშმარების სია შეადგინეს, რომელიც შეიძლება ნებისმიერ ადამიანს ესიზმროს ან უკვე ჰქონდა „ბედნიერება“, ასეთი სიზმარი ენახა:

1. წაქცევა – 40 პროცენტი;
2. დევნა – 26 პროცენტი;
3. სრული პარალიზაციის შეგრძნება – 25 პროცენტი;
4. მნიშვნელოვან შეხვედრაზე დაგვიანება – 24 პროცენტი;
5. გაქრობა ან გარდაცვალება დახურულ სივრცეში მოხვედრის შემდეგ – 21 პროცენტი;

ანალოგიური კვლევა ჩაატარა ზემოაღნიშნული მონრეალის უნივერსიტეტის ფსიქოლოგმა ანტონიო ზადრამ და მანაც დაახლოებით მსგავსი შედეგები მიიღო:

1. ფიზიკური აგრესია – 48,6 პროცენტი;
2. პიროვნებათაშორისი კონფლიქტი – 21 პროცენტი;
3. პარალიზება ან დაუცველობა – 16,2 პროცენტი;
4. ჯანმრთელობის პრობლემები ან სიკვდილი – 9,1 პროცენტი;
5. პატიმრობა/შფოთვა – 8,7 პროცენტი.

*mainfun.ru*

## როგორ უნდა იკვებოთ მოწამვლის შემთხვევაში?



1. მთავარი წესი, რომელიც მოწამვლის შემთხვევაში პირველ რიგში უნდა დაიცვათ, ის არის, რომ მიიღოთ ჯანსაღი და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მსუბუქი საკვები, რათა ორგანიზმს აღდგენასა და მოძლიერებაში დაეხმაროთ.

2. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერ მსუბუქ საკვებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს „მარტივი გემო“ და ორგანიზმს მის მონელებაში ხელი არ ეშლებოდეს.

3. იქიდან გამომდინარე, რომ მონელების პროცესი ლეჭვით იწყება, საკვები არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს მაგარი.

4. აუცილებელია რაციონიდან ამოიღოთ ცხიმიანი და ცხარე საკვები. ასევე, უარი უნდა თქვათ საკვებზე, რომელიც შაქრისა და ალკოჰოლის მაღალი შემადგენლობით გამოირჩევა.

5. შეეცადეთ, თავი აარიდოთ ცილის „მძიმე“ წყაროებს. მაგალითად, საქონლის ხორცს.

6. უმჯობესია, მიიღოთ მსუბუქი ხორცი (თევზი, ქათამი), რომლითაც წვნიანს მოიხარშავთ.

7. ყოველ მიზეზგარეშე ამოიღეთ რაციონიდან პროდუქტები, რომლებიც არ არის გულდასმით დამუშავებული.

უნდა გაითვალისწინოთ, რომ არასაკმარისად მოხარშული პროდუქტი შეიცავს მავნე ბაქტერიებს, რომელთაც შეუძლიათ, განმეორებითი მოწამვლა გამოიწვიონ.

8. რაც შეეხება სასმელს (რა თქმა უნდა, არაალკოჰოლურს), ამ მხრივ დიდი შეზღუდვები საჭირო არ არის: სწორედ სითხეს გამოჰყავს ორგანიზმიდან ტოქსინები და აღადგენს მინერალურ ბალანსს. პირველი 1-2 დღე უმჯობესია, მიიღოთ ჩვეულებრივი გადადუღებული წყალი ან მსუბუქი შავი ჩაი შაქრის გარეშე – ერთ დალევაზე დაახლოებით ნახევარი ჭიქა.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*vk.com*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**30 ოქტომბერი:** მორალურ-ეთიკური პრობლემებით იქნებით შეწუხებული. გონიერებას მოუხმეთ. სამყარო ისეთია, როგორსაც ხედავთ. არ იდარდოთ.

**კურო 22.04-21.05**
**30 ოქტომბერი:** ყველაფერს სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ, რაც ფინანსებთანაა დაკავშირებული. თუ საშუალება გაქვთ, მსგავსი საქმეები გადადეთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**30 ოქტომბერი:** თქვენს გარშემო სიტუაცია შეიცვლება და შესაძლოა, არა თქვენთვის სასურველი მიმართულებით. ცუდი არაფერი მოხდება, მაგრამ ინერვიულებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**30 ოქტომბერი:** დღეს უკან დახევას მოგთხოვენ, თანაც ისეთი ფორმით, თითქოს მათი საკმაო ვალი გაქვთ. როგორც ჩანს, დათმობაზე წასვლა მოგიწევთ.

**ლომი 23.07-22.08**
**30 ოქტომბერი:** ზოგჯერ ძალისხმევის გარეშეც შეიძლება ბევრის მიღწევა. ახლა საამისო დღეა. ასეთ ვითარებას არ მიეჩვიოთ, ეს დროებითია.

**ქალწული 23.08-22.09**
**30 ოქტომბერი:** სათქმელის დამალვას აზრი არ ექნება, ყველაფერს თქვენი გამომეტყველება ისედაც იტყვის. დღეს საიმედო მესაიდუმლე ვერ იქნებით.

**სასწორი 23.09-22.10**
**30 ოქტომბერი:** შესაძლოა, სამსახურის შეცვლაზე სერიოზულად დაფიქრდეთ. შეიძლება ყველაფრით უკმაყოფილო ხართ, მაგრამ არ აჩქარდეთ. თქვენი შესაძლებლობები რეალურად შეაფასეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**30 ოქტომბერი:** აუჩქარებლად იმოქმედეთ, რადგან ჩვეულ ტემპში შესაძლოა, რაღაც მნიშვნელოვანი გამოგრჩეთ, რითაც თქვენს მომავალს საფუძვლიანად შეცვლით.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**30 ოქტომბერი:** შეიძლება მიზნის მიღწევა ვერ შეძლოთ, მაგრამ მიიღებთ შუალედურ შედეგს, რომელიც ახლო მომავალში შესაძლოა, მიზანზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

**თხის რქა 22.12-19.01**
**30 ოქტომბერი:** გარშემომყოფნი ბრაზდებიან ხოლმე, როცა მიანიშნებთ, რომ ისინი მხოლოდ თქვენი წარმოსახვის ნაყოფნი არიან. ასეც რომ იყოს, ნუ აწყენინებთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**30 ოქტომბერი:** შესაძლოა, რაღაცაზე უარის თქმა მოგიწიოთ. რაღაც შანსის შეგნებულად ხელიდან გაშვებით, თავი დაიმშვიდეთ, რომ ის უკანასკნელი არაა.

**თევზები 19.02-20.03**
**30 ოქტომბერი:** შედარებით მკაცრი და ხისტი უნდა იყოთ. ბედი დღეს მაინცდამაინც არ გაგანებივრებთ და სხვებს რატომ უნდა გაუწიოთ ანგარიში?

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

**სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

**577 74 99 89**

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი

(15 საათიდან)

ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

## ვარჯიშის შემდეგ წყალი... არ დალიოთ



როცა ადამიანი ვარჯიშობს, ან უბრალოდ, ფიზიკური აქტიურობა უწევს, ოფლის გამოყოფის გამო ორგანიზმი წყალ-მარილოვან ბალანსს კარგავს, რისი აღდგენაც, უბრალოდ, აუცილებელია.

გეცოდინებათ, რომ, როგორც წესი, ვარჯიშის შემდეგ უმეტესობა წყალს სვამს და თითქოს, ეს ყველასთვის მისაღებ პროცესად იყო აღიარებული, თუმცა აღმოჩნდა, რომ სიტუაცია განსხვავებული ყოფილა.

საქმე ისაა, რომ წყალ-მარილოვანი ბალანსის აღდგენას წყალი ან რომელიმე სპორტული სასმელი, მაქსიმუმ 1 საათის მანძილზე ეხმარება, შემდეგ კი პროცესი კვლავ უარყოფითად გრძელდება.

– ვარჯიშის შემდეგ აუცილებელია არა წყლის ან ნებისმიერი სხვა სასმელის, არამედ რძის მიღება, რომელსაც წყალ-მარილოვანი ბალანსის აღდგენა, საშუალოდ, 4 საათის მანძილზე შეუძლია, რაც პროცესისთვის სრულიად საკმარისი დროა, – განმარტავენ სპეციალისტები.

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*myjane.ru*



80 წლის ბაბუას უკვე დიდი ხანია, ყურში აღარაფერი ესმის. ბოლოს და ბოლოს, მაგარ ექიმთან მივიდა და იმანაც ბოლო თაობის აპარატი მისცა. სასწაული, ბაბუს ისევ ისე ესმოდა, როგორც ახალგაზრდობაში. ერთ თვეში მოხუცი ისევ მივიდა ექიმთან, კონსულტაციაზე.

– აბა, როგორ გრძნობთ თავს, ალბათ, თქვენი ოჯახის წევრები ძალიან ბედნიერები არიან, სმენა რომ დაგიბრუნდათ, არა?

– იცი, რაშია საქმე, ექიმო? ჯერ მათთვის არაფერი მითქვამს, ვზივარ და ვუსმენ, რას ლაპარაკობენ. ანდერძი უკვე შვიდჯერ შევცვალე...

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

ალია
211359457
კვირის ქრონიკა

გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაჭვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 04.24